საერთო გაზეთი

№22 (375) • 22 ივნისი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.

„ნაცმოძრაობა“ არჩევნებისთვის „ზონდერჯგუფებს“ აგროვებს?

2016 წლის არჩევნებში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი „ქართულ ოცნებას“ აქვს

მეხსიერების სავარჯიშო, ანუ რატომ დაავიწყდათ ვილაცებს, რამდენი პროფესორი და მასწავლებელი „ჩარეცხა“ სააკაშვილმა?

„მიირთვით გომბეშო“!

- რას ვუშვებით ხოლმე გომბეშოს?
- რა მოსდის გომბეშოს გადადებისგან?

დასავლეთი შოკშია: რუსეთმა ნატოს წყალქვეშა ნავების საიდუმლო ბაზა შეიძინა!

თვითგანადგურების ზღვარზე

„დედაჩემს როგორ შეეხნენ, ჩემი დედა მოვ..ან?!“

საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნეს-გარემოს მიღწევები და გამოწვევები

20 ივნისს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ბიძინა ივანიშვილის დაარსებული ორგანიზაციის „მოქალაქის“ ინიციატივით, „საქართველოს ბიზნესასოციაციისა“ და პარტნიორი ორგანიზაციების თანამონაწილეობით გაიმართა ეკონომიკური ფორუმი „საქართველოს ეკონომიკა და ბიზნესგარემო – მიღწევები და გამოწვევები“

ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ამ ეკონომიკური ფორუმის გამართვის შესახებ განცხადება წინა კვირაში ადგილობრივი, საერთაშორისო ბეჭდური მედიისა და საინფორმაციო საგენტოების წარმომადგენლებთან გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა და კონფერენციაზე დასასწრებად მიიწვია ბიზნესმენები და ეკონომისტები, ეკონომიკის ექსპერტები, განსაკუთრებით ოპოზიციურად განწყობილი ექსპერტები, რომლებიც უარგუმენტოდ აკრიტიკებენ მთავრობის ბოლო წლების ეკონომიკურ პოლიტიკას.

ეკონომიკურ ფორუმ-კონფერენციას, რომლის დაფუძნების იდეა ეკუთვნის ბიძინა ივანიშვილს, ხოლო განახორციელა „საზოგადოება 2030“-მა, ბიზნესმენებთან და ექსპერტებთან ერთად მთავრობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. უძღვებოდა ბიზნესმობუდსმენი გიორგი გახარია.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა. ფორუმზე იმსჯელეს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, არსებულ ბიზნესგარემოსა და იმ საკითხებზე, რომლებიც ადგილობრივი ბიზნესისთვის აქტუალურია.

კონფერენციაზე გაკეთდა რამდენიმე მოხსენება, მათ შორის, საქართველოში საკუთრების უფლების დაცვისა და ბიზნესის ხელშემწყობი რეფორმებისა და ბიზნესგარემოს შესახებ.

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა თავის მოხსენებაში შეაჯამა 2015 წლის მაკროეკონომიკური პარამეტრები და ვრცლად ისაუბრა 2016 წლის პირველი კვარტალის შედეგებზე; კონფერენციის მონაწილეებს გააცნო ის პოზიტიური დინამიკა, რომელიც არსებობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირებისა და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის მატების მიმართულებით.

ზოგიერთი სტატისტიკური მაჩვენებელი და ეკონომიკის მინისტრის კომენტარები:

2016 წლის პირველ კვარტალში შემოვიდა 376 მილიონი დოლარი, რაც 103 პროცენტით მეტია 2015 წლის I კვარტალთან შედარებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ვალუტაზე წნეხი შემცირდა, ეს ნიშნავს, რომ ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნა და ეკონომიკა წინ მიდის. ძალიან ბევრ საერთაშორისო რეიტინგში - ბიზნესის კეთების, საკუთრების უფლების, ბიზნესის თავისუფლებისა და კონკურენტუნარიანობის მხრივ - ყველა მიმართულებით გვაქვს გაუმჯობესება.

მსოფლიო ბანკმა საქართველოში სიღარიბის მდგომარეობის შესახებ ჩაატარა კვლევა: იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებსაც არა აქვთ შესაძლებლობა დღეში თავის თავზე 2,5 დოლარზე მეტი დახარჯონ, 2012 წელს იყო 1 900 000. ახალი ხელისუფლების პირობებში ამ ზღვარს 490 ათასმა ადამიანმა თავი დააღწია. თუმცა დღეს კვლავ არის დარჩენილი 1 400 000 ადამიანზე მეტი, ვისაც საამისო შესაძლებლობა არ გააჩნია.

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის „ბიზნესის ნდობის ინდექსის“ თანახმად, 2016 წლის მეორე კვარტალის შეფასება ასეთია: ბიზნესის ნდობის მაჩვენებელი 30 პუნქტით მეტია 2015 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, რაც ნიშნავს კერძო სექტორის მოლოდინებისა და საგარეო ფაქტორების გაუმჯობესებას, აგრეთვე იმ პოზიტიურ შედეგს, რაც ლარის დასტაბილურებამ გამოიწვია ბიზნესის ნდობის გაძლიერებაში. აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან, ინდექსის კვლევის წარმოების დასაწყისიდან, ამ მაჩვენებელმა მაქსიმუმს მიაღწია. ეს ინდექსი ნიშნავს იმას, რომ საქართველოს აქვს ჯანსაღი ეკონომიკა, ადგილობრივი ბიზნესი კი იღებს გადაწყვეტილებას, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები.

მოხსენების შემდეგ, კონფერენციაზე გაიმართა დისკუსია, რომლის დროსაც ბიზნესისა და საექსპერტო წრეების წარმომადგენლებმა მოსაზრებები გამოთქვეს მათთვის საინტერესო საკითხებზე და მოისმინეს მთავრობის შეხედულებები.

ამონარიდები ბიძინა ივანიშვილის გამოსვლიდან:

● დღევანდელ წარმომადგენლობას თუ შევხედავთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ძალას იკრებს ამ ტიპის ფორუმების გამართვა და აზრი ეძლევა მას. დღეს მეშვიდე შეხვედრაა. მმართველობის ის ტიპი, რომელიც პოლიტიკაში ჩვენი მოსვლის შემდგომ დავაფუძნეთ ეკონომიკასთან დაკავშირებით, მოითხოვს სწორ შეფასებებს. ახალი იდეების მოწოდებაც შეიძლება ასეთი ტიპის ფორუმებზე. ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდი, რომ ფორუმებს დასწრებოდნენ ოპოზიციური ძალების წარმომადგენლები, ექსპერტები, რომლებიც ოპოზიციურად არიან განწყობილი ხელისუფლებისა და იმ ეკონომიკის მიმართ, რომელიც 2012 წლის შემდგომ დაფუძნდა. დღესაც რომ ვუყურებ, ჩვენი დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, ოპოზიციურად განწყობილი ექსპერტები ძალიან იშვიათად ჩნდებიან... იქნებ, მაინც მოხერხდეს კრიტიკული შეფასება ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის მოღვაწეობისა, ზოგადად, ეკონომიკის შეფასება.

● მინდა მოსახლეობა დავარწმუნო, რომ არანაირი ინტერესი არ გამაჩნია გარდა ერთისა, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით განვითარდეს. თანამდებობის ძიებაში მე არა ვარ, არც ბიზნესს ვაკეთებ საქართველოში და ამას მინდა, ხაზი გავუსვა. ჩემი როლი არ არის დღეს ბიზნესში პირადული, რადგან პირადი ბიზნესინტერესები საქართველოში არ მაქვს.

● თუ ნებისმიერი პროექტი დაგაინტერესებთ, რომელიც თანაინვესტირების ფონდთან არის კავშირში, გადმოგცემთ ფასდაკლებით და შეღავათებით. ჩემი ერთადერთი მიზანი ამ პროექტებთან დაკავშირებით გახლავთ ის, რომ ტურისტული ბიზნესი და ეკონომიკა განვითარდეს.

● ჩემი ერთადერთი საზრუნავია ის, რომ ჩვენი ქვეყანა სწორი მიმართულებით განვავითაროთ. ამისთვის გვჭირდება, ეს არჩევნები ჩავატაროთ ღირსეულად, ისევე როგორც ორი არჩევნები ჩატარდა ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ. უნდა ჩავატაროთ ისეთი არჩევნები, რომ სალაპარაკო არ გახდეს მთელ მსოფლიოში და რაიმე ხინჯი არ ახლდეს. ძალიან დიდი იმედი მაქვს თქვენი ჩართულობის, საზოგადოების გაგების, სწორი ანალიზის, რომ სწორი არჩევანი გავაკეთოთ.

● ამ ხნის განმავლობაში ყველაზე დიდი პრეტენზიები და გადაჭარბებული კამათი იყო პრემიებზე. გარწმუნებთ, რომ მსოფლიოში ნებისმიერი ქვეყანა ინატრებდა მსგავს ხელისუფლებას, ნებისმიერი ქვეყანა მსოფლიოში ინატრებდა ასეთ ეკონომიკურ გუნდს, ნებისმიერი ქვეყანა იოცნებებდა გიორგი კვირიკაშვილის მსგავს პრემიერ-მინისტრზე. ამ ყველაფერს უნდა გაფრთხილება. ამიტომ არჩევნები სანიმუშოდ უნდა ჩავატაროთ.

● სიღარიბე, რომელსაც წარმოაჩენენ ოპოზიციურად განწყობილი პარტიული ძალები და მათგან მართული მედია, ქმნის გარკვეულ ხიბლს იმისთვის, დაარწმუნონ მოსახლეობა - ეს ხელისუფლების ბრალია და ასეთი ხელისუფლება უნდა მოვიშოროთო. ნაცვლად კი სთავაზობენ აბსოლუტურად არაარგუმენტირებულ დაპირებებს. ხიბლი, რომ ეს ხელისუფლებას გადააბრალონ, ძალიან დიდია. ჩვენ უნდა შევაფასოთ მთავრობა მხოლოდ რეალობის გათვალისწინებით, რისი გაკეთება შეეძლოთ და არ გააკეთეს, ან შეუძლიათ და არ აკეთებენ, მაგრამ ეიფორიული წინადადებებით შეცდომაში შეყვანა ხიფათთან არის დაკავშირებული.

● აძლევდნენ თავს უფლებას, ჩარეულიყვნენ კერძო ბიზნესში. ეს ჯგუფი კანონზე მაღლა იდგა და ისინი ყოველგვარი წესების გარეშე მოქმედებდნენ. სიტუაცია იყო ძალიან მძიმე. სწორედ ამ მიზნით მოვედი ხელისუფლებაში და რა გაკეთდა ოთხი წლის განმავლობაში, ეს ჩემს წერილში აღვწერე. დღეს ვერავინ იტყვის, რომ ვინმე ერევა პირად ქონებაში, ვინმე აყაჩაღებს ბიზნესს მთავრობის მხრიდან. მაქსიმალურად გაკეთდა ყველაფერი იმისთვის, რომ ადამიანის უფლებები პირველ ადგილზე იყოს დაყენებული.

● კვირიკაშვილი ყველაფერს აკეთებს, რომ ხელი შეუწყოს ბიზნესს. გვყავს გამჭვირვალე, არაკორუფციული მთავრობა და გვაქვს ასეთი სუსტი ეკონომიკა, როგორიც გვაქვს. გვაქვს ევროპული ტიპის დემოკრატია და თუ მოვახერხებთ ამის შენარჩუნებას, შევძლებთ, რომ ეკონომიკაც განვავითაროთ. დღეს გვყავს მთავრობა, რომელიც იმართება ხალხისგან, იმართება ბიზნესისგან და ყველა თქვენს გამოძახილს ეხმაურება, რომ ლობირება გაგიწიოთ.

● იმასაც შეგახსენებთ, რა დონეზე იყო ადამიანის უფლებები - ძალიან დაბლა, ნულთან ახლოს. ერთი ჯგუფი კი კანონზე მაღლა იდგა და ყველაფრის უფლებას აძლევდა საკუთარ თავს. სიტუაცია იყო ძალიან მძიმე, სწორედ ამ მიზნით მოვედი პოლიტიკაში. მოკლედ შეგახსენებთ, რა გაკეთდა: ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის მხრივ, საქართველო ევროპის შესადარი გახდა. დღეს ვერავინ იტყვის, რომ ვინმე ერევა პირად საკუთრებაში ან სასამართლოს დამოუკიდებლობაში ან მედიის თავისუფლებაში. ჩემი გადმოსახედიდან მაქსიმალურად გაკეთდა ყველაფერი, რომ ადამიანის უფლებები ძალიან ახლოს იყოს ევროპულთან. ამ დროს ეკონომიკა ექვსჯერ ჩამორჩება უფრო მეტჯერ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას. ასეთი დისბალანსი საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას...

* * *

შეხვედრის დროს იყო კითხვები ხელისუფლების მიმართ, იყო ასევე წინადადებები ხელისუფლების მიმართ... მათ შორის, კითხვები და წინადადებები ჰქონდა ბატონ ბიძინასაც, ასევე ექსპერტებსა და ბიზნესმენებს“.

ბიძინა ივანიშვილის კომენტარი ეკონომიკური ფორუმის შემდეგ:

„ვფიქრობ, ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო. ბიზნესი იყო წარმოდგენილი მასშტაბურად. მთავრობის ეკონომიკური გუნდი ძალიან მომზადებული მოვიდა“.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

„ნაცმოძრაობა“ არჩევნებისთვის „ზონდერჯგუფებს“ აგროვებს?

რამდენიმე დღის წინ ერთი პოლიტიკაში კარგად ჩახედული და ინფორმირებული ადამიანი შემეხმიანა და მითხრა, რომ ნაციონალები საარჩევნოდ განსაკუთრებულად ემზადებიან.

ყველამ ვიცით, სააკაშვილის მმართველობისას არსებობდა ე. წ. ზონდერ-ჯგუფები, რომელთა მისია საპროტესტო აქციების მონაწილეების, ანუ ხალხის დარბევა და უმოწყალოდ ცემა იყო.

თავდაცვისა და უხეშ მმართველ ძალასთან ბრძოლისთვის საპირისპირო ჯგუფებს ქმნიდნენ ოპოზიციური პარტიებიც.

წინა რეჟიმის სიმახინჯეებიდან ეს მანკიერებაც შემორჩა.

„უქმად“ დარჩენილი ძველი ოპოზიციური ჯგუფების ნარჩენი მოჩხუბრები, რომლებმაც ფუნქცია დაკარგეს, თურმე, „სამუშაოს“ ეძებენ და ჩვეულებრივად, ფულზე იყიდებიან. როგორც მითხრეს, არსებობს „მოჩხუბართა“ 20-30 და ზოგჯერ 60-კაციანი ჯგუფები, ძირითადად, ავღანეთში და აფხაზეთში ნაბრძოლი ხალხი, რომლებიც მზად არიან არეულობა მოაწყონ, ოღონდ გადაუხადონ.

ჩემი ინფორმატორის თქმით, ასეთი ჯგუფების თავკაცები ხვდებიან თურმე ნაციონალების შუამავლებს, რომელებიც დიდძალ თანხას სთავაზობენ: თუკი არჩევნების პერიოდში თქვენს ბიჭებს დაგვახმართ, უბნებზე გავგზავნით, რათა, საჭიროების შემთხვევაში, აყალმაყალი ატეხონ. ფულს რამდენსაც გვეტყვით, იმდენს მოგცემთო.

სხვათა შორის, ამ არაფორმალურ და არალეგალურ ე. წ. ზონდერ-ჯგუფებში 40 წელს გადაცილებული ისეთი ადამიანები არიან თურმე თავმოყრილი, რომლებიც, როგორც ზემოთაც ვთქვით, 90-იან წლებში ავღანეთის და შემდეგ კი საქართველოში წარმოებული აფხაზეთის და სამოქალაქო ომების მონაწილეები არიან და ძმათა სისხლის გემოც იციან. ასე მითხრეს, თუ დასჭირდათ, თავიანთ ძველ თანამებრძოლებსაც კი არ დაინდობენ და ყელებსაც გამოსჭრიანო.

ამ ორომტრიალში, ჩემი ინფორმატორის თქმით, აქტიურად არის ჩართული „მებრძოლ პატრიოტთა კავშირიც“.

ჩემი წყაროს ცნობით, ამ ხალხის უმეტესობას პოლიტიკური ინტერესები არა აქვს.

სამაგიეროდ, აქვთ ფინანსური ინტერესები და იმათ მოემსახურებიან, ვინც მეტს გადაუხდის.

როგორც მაუწყებენ, ამ მხრივ, ყველაზე ორგანიზებულად სამეგრელოში მოქმედებენ. შექმნილია და სამოქმედოდ მზადაა ახალაია-გუნავა-შამახიას ცეცხლსასროლი იარაღებით აღჭურვილი ჯგუფი, რომელშიც ძველი ციხის და სამართალდამცავი სტრუქტურების სამსახურებიდან დანაშულებრივი საქმიანობის გამო გათავისუფლებული პირები შედიან. მათი ძირითადი ინტერესი რევანში, ფული და მომავალი თანამდებობიაო.

წყარო იმასაც მიმტკიცებს, რომ ნაციონალების გარდა დღევანდელი ხელისუფლების ოპოზიციაში მყოფი სხვა პარტიებიც მუშტი-კრივით აპირებენ ხმების მოპოვებას.

ინფორმატორი კონკრეტულ სახელებსა და გვარებს მისახელებს, რომლებსაც, ამჯერად, გასაგები მიზეზები გამო, არ გავახმაურებ.

კერძოდ, საუბარია იმ ადამიანებზე და მათ მხარდამჭერებზე, რომლებიც 2012 წლის არჩევნების შემდეგ სამართლიანობის დამკვიდრებას ელოდნენ სასამართლოს გზით და ჯერჯერობით მათი საქმეები კვლავ თაროებზეა შემოდებული. დამნაშავეები არ დასჯილან და რადგან ეს არ მოხდა, დაზარალებული და ღირსებაშელახული ადამიანები ახლა თვითონ აპირებენ სამართლიანობის აღდგენას და იმუქრებიან: არჩევნების დღეს გაჩვენებთ, ნაცებსაც და „ოცნებასაც“, როგორ უნდა აბუჩად აგდებაო.

როგორც მე ვხედავ, ამ არჩევნებისთვის საარჩევნოდ კი არა, ყველა საჩხუბრად ემზადებაო, — დასძინა ჩემმა ინფორმატორმა.

მისივე თქმით, პაატა ბურჭულაძე განსაკუთრებით აქტიურობს მოჩხუბრების მოსაზიდად, „ნაცმოძრაობის“ აქტივისტების ნაწილი თავს ბურჭულაძის პარტიას აფარებს, აცხადებენ: კარგად გვიხდის ბურჭულაძეო.

ჩემი წყარო ამბობს, ზოგიერთები არც მალავენ, რომ ბურჭულაძის პარტიაში სწორედ თანხით დაინტერესების გამო გადავიდნენ.

რაც შეეხება ხალხს. გაუთვითცნობიერებელ ამომრჩეველთან ყველაზე ადრე ნაციონალები მივიდნენ უკვე. არწმუნებენ ხალხს, ამ არჩევნებში „ნაცმოძრაობა“ გაიმარჯვებს, ვისაც ტყავის გადარჩენა გინდათ, ჩვენ დაგვიჭირეთ მხარიო. ვინც არ უშინდება ამათ დაქადნებას, ელაქუცებიან და ფულს სთავაზობენ დახმარების სახით, სოციალური საჭიროების შემთხვევაში. მასიურად მუშაობენ თურმე დევნილთა დასახლებებში და მათ ჯერ კიდევ დაუკანონებელი საცხოვრებელი ფართების დაკანონებას ჰპირდებიან, თუ არჩევნებში ხმას „ნაცმოძრაობის“ მიერ შეთავაზებულ კანდიდატს მისცემენ.

როგორც მარწმუნებენ, ადამიანები, რომლებიც ქვეყანაში მასიური არეულობის მოწყობას გეგმავენ, ერთი ცენტრისგან იმართებიან, ეს არის „ნაცმოძრაობა“, რომელიც ფულს არ ზოგავს არჩევნების მოსაგებად და ნებისმიერი სტრატეგიისთვის ნებისმიერი თანხის დასახარჯად არის მზად.

თანხები არა მხოლოდ უკრაინიდან, არამედ „კეზერას“ და „ზარალას“ პირადი ანგარიშებიდანაც ირიცხებაო, ამტკიცებს ჩემი წყარო, რომელიც დასძენს: თვით ნაციონალებმა გაკვირვებულებმა მითხრეს, ისეთი სიტუაციაა, ისე აძლიერებენ „ნაცმოძრაობის“ თავკაცები პარტიას თანხებით, ისე მობილიზებულად მოქმედებენ, რომ „ნაცმოძრაობის“ ის წევრები, რომლებსაც ხელი ჩაქნეული ჰქონდათ და პარტიიდან თითქმის გასული იყვნენ, უკან ბრუნდებიან და „ნაცმოძრაობის“ რიგებს ავსებენო.

მოკლედ, დიდი მოძრაობები ყოფილა, ბატონებო, ჩვენს ზურგს უკან და როგორც ჩემს ინფორმატორს, ასევე მეც დიდი იმედი მაქვს, რომ შესაბამის სამსახურებში არ სძინავთ მათ, ვისაც ჩვენი უსაფრთხოებისთვის არ უნდა ეძინოთ...

ირანდა კალანდაძე
593 561 118

ბიძინა ივანიშვილი და „და სხვები“

ვახტანგ ხარჩილავა:

ბესო ჟღენტმა (იყო ასეთი კრიტიკოსი) მწერალთა კავშირის ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში მწერალთა გრძელი სია წაიკითხა – საანგარიშო პერიოდში ამ ამხანაგებმა და კიდევ სხვებმა საინტერესო ნაწარმოებები გამოაქვეყნესო.

ერთმა მწერალმა, რომელიც სიაში ვერ მოხვდა, ჟღენტს უსაყვედურა: რა არის, ბატონო ბესო, არასოდეს რომ არ მახსენებთ და სულ „და სხვებში“ რომ მგულისხმობთო?

– შენ იმ „და სხვებშიც“ არ გულისხმობ, კაცო, თავიო დამანებეო, – მიუგო ჟღენტმა.

ბიძინა ივანიშვილსაც უსაყვედურეს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა – თქვენს წერილში მხოლოდ „ნაცმოძრაობას“ რომ ახსენებთ, ჩვენ სად ვართო?

ივანიშვილს ამ „ჩამჭრელ“ კითხვაზე პასუხი არ გაუცია, თუმცა, ჩემი აზრით, პარტიები, რომლებიც მას არ უხსენებია, ივანიშვილმა „ნაცმოძრაობაში“, ანუ „და სხვებში“ იგულისხმა და სწორადაც მოიქცა.

ვფიქრობ, ჯერჯერობით, პარტიების გადანაწილება-გადაჯგუფების პროცესი არ დამთავრებულა, ჯერ მხოლოდ ვაჭრობისა და „ფლირტაობის“ პერიოდია, თუმცა კონტურები იმისა, ვინ ვის შეუგორდება ლოგინში, უკვე ჩანს.

ის კი არა, ზოგიერთ პოლიტიკურ სარეცელში იმდენი ვინმეა ერთად შეხორხლილი, თავ-ფეხის რაოდენობის დათვლა ჭირს.

მაგალითად, **„ნაცმოძრაობის“ პარტიული ტელევიზიის „რუსთავი-2“-ის „სპალნაში“ შექმნილი ზედახორის მიხედვით, თითქმის ზუსტად შეიძლება განსაზღვრო, ვინ აპირებს „ნაცმოძრაობასთან“ აქტიური „ინტიმური კაპირის“ დამყარებას.**

ესენი „რუსთავი-2“-ს, მათი თქმით, იმიტომ ესარჩლებიან, რომ სიტყვის თავისუფლებას იცავენ, თუმცა ცნობილი ლექსისა არ იყოს: ვამბობთ ლენინი და ვგულისხმობთ დიდი პარტია, ვამბობთ პარტია და ვგულისხმობთ დიდი ლენინი“, ვამბობთ „რუსთავი-2“-ს და ვგულისხმობთ „ნაცმოძრაობას“, **ვამბობთ „ნაცმოძრაობას“ და ვგულისხმობთ „რუსთავი-2“-ს, ანუ იცავ „რუსთავი-2“-ს, იცავ „ნაცმოძრაობას“ და მასთან თანამშრომლობ.**

არის კიდევ ერთი კატეგორია პარტიებისა, რომლებიც ორმაგ თამაშს ეწევიან და მარცხენა თვალს „ნაცმოძრაობას“ რომ უკრავენ, მარჯვენას „ქართულ ოცნებას“ უპაჭუნებენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, პოლიტიკურ ასპარეზზე ორი მთავარი პოლიტიკური ძალაა – ერთი „ქართული ოცნება“, მეორე – „ნაცმოძრაობა“.

ეს ორი ძალა და კიდევ ე. წ. „და სხვები“.

თუმცა არის კიდევ პარტიები, რომლებიც იმ „და სხვებშიც“ არ იგულისხმებიან, თუმცა, იცოცხლეთ, ისეთი შთამბეჭდავი სახელწოდებები აქვთ, გეგონებათ, ერთ დაძახებაზე ასიათასიან ლაშქარს გამოიყვანენ.

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, დარწმუნებული ვარ, ეს ერთი კაცი იმ ყველა დანარჩენს პირწმინდად მოუგებს და კიდევ ერთხელ დაგვანახებს მათ უსუსურობას, მათ ქვებუდანურ ზნეს და ხასიათს, მათ უბადრუკობას.

ის ერთი კაცი, ბიძინა ივანიშვილი, მოიგებს ამ ბრძოლას, რადგან ამ ერთი კაცის უკან სიმართლე და სამშობლოს უანგარო სიყვარული დგას, ხოლო იმ დანარჩენების უკან მხოლოდ ამპარტავნება, ამბიციები და ეგოიზმი.

აქეთ ნაპირზე ერთი ბიძინა ივანიშვილი, იქით „და სხვები“ და ისინიც, რომლებიც „და სხვებშიც“ კი არ იგულისხმებიან.

აქეთ ნაპირზე ერთი კაცი, ერთი ბიძინა ივანიშვილი, იქით კი ყველა დანარჩენი და ეს ყველა დანარჩენი ამ ერთ კაცს, ერთ ბიძინა ივანიშვილს, ებრძვის.

ებრძვისო, კი ვთქვით, მაგრამ მთლად ბრძოლა არ არის ეს, უფრო „გაღმა შეედავე – გამოღმა შეგრჩებას“ ჰგავს, ვიდრე ომს და ბრძოლას.

საკმარისია, რომელიმე მათგანს თითი დაუქნიოს ბიძინა ივანიშვილმა და თავისკენ იხმოს, მოხმობილი მყისვე მიატოვებს „თავისიანებს“ და სულ ფორთხვა-ფორთხვით მიეახლება დამძახებელს, რომ სამარადისო ძმობა და ერთგულება შეჰფიცოს...

მერე რა, რომ ერთი საათის წინ ეს ქვემხოხავი ათას სისულელეს აბრალებდა ივანიშვილს, ცილს წამებდა, შეურაცხყოფას აყენებდა, ერთი დაძახება და ყველაფერი ერთბაშად დავიწყებას მიეცა.

იქ „გაღმა“, შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვთ...

იქ, „გაღმა“, მართალია, წამწაუწუმ ახსენებენ სამშობლოს, ახსენებენ ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს, ბრტყელ-ბრტყელ ფრაზებს ისვრიან ხილული თუ უხილავი მტრების წინააღმდეგ და მზადყოფნას გამოთქვამენ, უყოყმანოდ შეეწირონ სამშობლოს, თუმცა სინამდვილეში მათ არავინ და არაფერი აინტერესებთ, გარდა საკუთარი ვიწრო პარტიული ინტერესებისა, გარდა კარიერისა, გარდა კეთილდღეობისა.

„საერთო გაზეთის“ არქივში ერთი ინტერვიუ ინახება, რომელიც 2011 წლის ოქტომბერშია ჩაწერილი, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლიდან ერთ თუ ორ კვირაში.

რესპონდენტი, ერთი ცნობილი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, კითხვაზე, როგორ შეაფასებთ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლასო, ასე პასუხობს: ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილის პროექტია. მისი პოლიტიკაში შემოსვლა იმას ისახავს მიზნად, რომ ოპოზიციური პარტიები თავის გარშემო შემოიკრიბოს, რომ მერე ყველა ჩაყლაპოს და გააუვნებელყოს, რითაც, რა თქმა უნდა, სააკაშვილი დარჩება მოგებულიო.

რესპონდენტი, ცხადია, თავისი პარტიის საერთო პოზიციას გამოხატავდა და ხაზგასმით იმეორებდა, ჩვენი პარტია ივანიშვილთან საქმეს არ დაიჭერს, ეგ ოპოზიციის ჩასაძირად არის შემოგზავნილი სააკაშვილის მიერო.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ინტერვიუს ჩაწერიდან მესამე დღეს პატივცემული რესპონდენტი და მისი „პრინციპული“ პარტია ივანიშვილის ბიზნესცენტრში ვნახე ივანიშვილის ფინ „სმირნაზე“ გაჭიმული და ეს „პრინციპულები“ ისე აქიციონებდნენ კუდებს და ისე აჟუჟნებდნენ თვალებს, თითქოს მზე და მთვარე ივანიშვილზე ამოსდიოდათ.

ვთქვა, ვინ იყო ის რესპონდენტი და რომელი იყო ის „პრინციპული“ პარტია?

კი, ბატონო, ვიტყვი: რესპონდენტი – პაატა ზაქარეიშვილი, პოლიტიკური პარტია – „რესპუბლიკელები“.

„რესპუბლიკელები“, კარგად მოძოვეს რა „ქართული ოცნების“ ველ-მინდვრები, უკვე გაღმა გადავიდნენ და ახლა იქიდან დაუწყებენ, ალბათ, ივანიშვილს ქვების სროლას.

ქართული პოლიტიკა დიდი ხანია უზნეობის, უტიფრობის, თვალთმაქცობისა და ფარისევლობის ჭაობშია ჩაფლული და ქართველ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი ამ ჭაობში ისე კარგად გრძნობს თავს, ამოსვლა არ უნდა იქიდან.

ე. წ. ოპოზიციურ პარტიათა გაღმა ნაპირას გაშლილი პოლიტიკური ბანაკის მოლაშქრენი ისეთი იდეოლოგიის გარშემო არიან გაერთიანებულნი და თავს ისეთი უცხოელი ინსტრუქტორები დასტრიალებენ, არ არის გამორიცხული, არც საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ გალაშქრებაზე თქვან უარი.

სინამდვილეში, ისინი ბიძინა ივანიშვილს კი არა, საქართველოს უპირისპირდებიან.

აქეთ ერთი კაცი, ერთი ბიძინა ივანიშვილი – იქით ყველა დანარჩენი, თავის „და სხვებიანად“.

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, დარწმუნებული ვარ, ეს ერთი კაცი იმ ყველა დანარჩენს პირწმინდად მოუგებს და კიდევ ერთხელ დაგვანახებს მათ უსუსურობას, მათ ქვებუდანურ ზნეს და ხასიათს, მათ უბადრუკობას.

ის ერთი კაცი, ბიძინა ივანიშვილი, მოიგებს ამ ბრძოლას, რადგან ამ ერთი კაცის უკან სიმართლე და საშობლოს უანგარო სიყვარული დგას, ხოლო იმ დანარჩენების უკან მხოლოდ ამპარტავნება, ამბიციები და ეგოიზმი.

გურამ ადამაშვილი:

2016 წლის არჩევნებში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი „ქართულ ოცნებას“ აქვს

მართლაც საინტერესო მოვლენების შემსწრე ვართ, ის ხალხი, რომლებიც წლების წინ ვითომდა ნაციონალურ მოძრაობას ებრძოდა და მის რუპორს „რუსთავი-2“-ს აკრიტიკებდა, დღეს „პერმანენტულ“ რეჟიმში სხედან ამ ტელევიზიის ეთერში „თავისუფალი სიტყვის“ დაცვის მოტივით. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რა გახდა ამ ადამიანების პოზიციის „შეცვლის“ მიზეზი, თუმცა საკითხავია, შეიცვალეს თუ ოპოზიცია რომ ერქვათ, ეს „პროტესტი“ მოსახლეობისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად ჭირდებოდათ. 2014 წელს პრესაში გავრცელდა პოლიტიკური პარტიების ლიდერთა ყოველთვიური ხელფასების 2013 წლის მონაცემები, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურითვის იყო მიწოდებული კანონით სავალდებულო სახელფასო დეკლარაციების სახით. ვერაფერს იტყვით, მართლაც შთამბეჭდავი ციფრებია, რაც პოლიტიკურმა პარტიებმა ასე განმარტეს, ეს ფული შემოწირულობების შედეგად გაგვიჩნდაო. ამ მონაცემების მიხედვით, „ეროვნული ფორუმის“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი პერსონა პარტიის თავმჯდომარე კახა შარტავაა, რომლის ყოველთვიური ხელფასიც 21.000 ლარია. „ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის“ თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე და გენმდივანი ლევან ვეფხვაძე 30-30 ათას ლარს იღებდნენ, აწ „მაესტროს“ ტოკ-შოუს წამყვანად მოვლენილი მაგდა ანიკაშვილისა და ნინო ბურჯანაძესთან „დაბლოკებული“ გიორგი ახვლედიანის ყოველთვიური ჯამაგირი 27.500 ლარი ყოფილა. „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის ირაკლი ქადაგიშვილის ხელფასი 23.500 ლარია, ხოლო „ახალი მემარჯვენეების“ ლოჯისტიკის სამსახურის უფროსის დავით ტყეშელაშვილის 8.250 ლარი. ამ მონაცემებში მითითებული არ არის რა ოდენობის ხელფასს იღებდნენ პრეზიდენტ მარგველაშვილის მრჩევლად „გადაპორტირებული“ ფიქრია ჩიხრაძე, პარტიის დღევანდელი ლიდერი მანანა ნაჭყებია და „მარადმწვანე პროტესტანტი“ მამუკა კაციტაძე. ყველაზე „ღარიბი“ პარტიის, ანუ ლეიბორისტების ყველაზე მაღალანაზღაურებადი პერსონა იოსებ სამხარაძე ყოფილა 12.386 ლარით, ოღონდ რა მოვალეობას ასრულებს ბატონი სამხარაძე, მითითებული არ არის, ასევე უცნობია შალვა ნათელაშვილისა და გიორგი გუგავას ყოველთვიური გასამრჯელო. „საქართველოს გზის“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი პირი თეიმურაზ მურვანიძეა, რომელიც ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით იღებდა 16.750 ლარს, „თავისუფალ საქართველოში“ თურმე ყველაზე მაღალ ხელფასს ბუღალტერს, ქეთევან ურდულაშვილს უხდიდნენ - 3.088 ლარი, ხოლო რესპუბლიკურ პარტიაში კი თამარ რომელაშვილს 16.800 ლარი. „ქრისტიანულ-დემოკრატიული სახალხო პარტიის“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ეკატერინე ჩიტიაშვილის ყოველთვიური ხელფასი 19.500 ლარი ყოფილა. „ქართულ ოცნებას“ განდგომილი არმაზ ახვლედიანის ხელფასი, როცა ამ პარტიის აღმასრულებელი მდივნის თანამდებობას იკავებდა, 8.899 ლარს შეადგენდა, რაც შეეხება ნაცმოძრაობას, მხოლოდ ცენტრალური ადმინისტრაციის უფროსის ელენე ჯავახაძის ხელფასია დაფიქსირებული – 18.000 ლარი. ანაზღაურების მხრივ ახლად გაპოლიტიკოსებული პაატა ბურჭულაძე ლიდერობს 65.000 ლარით. სახელფასო სიის ბოლომდე ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ, უბრალოდ ის გვაინტერესებს, რომელი წყაროებიდან ფინანსდებიან ასე მსუყედ ქართული პოლიტიკური პარტიები, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, ნამდვილად ვერ გაწვდება მათ ლიდერთა თუ წევრთა რბილად რომ ვთქვათ, სოლიდურ ხელფასებს. ეს კითხვა აქტუალობას განსაკუთრებით კარს მომდგარი არჩევნების წინ იძენს, მით უმეტეს, რომ ე.წ. ოპოზიციურმა სპექტრმა ძალზე საეჭვოდ მოიყარა თავი ნაცმოძრაობის გარშემო.

აღნიშნულ საკითხთან და საერთოდ, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით, გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიციის“ ხელმძღვანელი **გურამ ადამაშვილი**. ხსენებულმა ორგანიზაციამ არჩევნებთან დაკავშირებით საინტერესო კვლევები ჩაატარა, რომლის პრეზენტაციაც 28 ივნისს იგეგმება.

გურამ ადამაშვილი: „თუ ჩვენ 2008 წლიდან მოყოლებული დღემდე საარჩევნო პერიოდს განვიხილავთ, უდავოა, რომ 2008 წელს ერთპიროვნული დამოკიდებულება იყო არჩევნების მიმართ. მაშინდელი პოზიცია და ოპოზიცია კულისებში ერთნი იყვნენ, უბრალოდ საზოგადოებისთვის ხდებოდა იმის აფიშირება, რომ საქართველოში ოპოზიცია არსებობდა, რასაც მაშინდელი პარტიული დაფინანსებების და ოპოზიციური ძალების პოლიტიკურად დაკმაყოფილების მდგომარეობის შესახებ არსებული ინფორმაციები მიანიშნებს. ამ შემთხვევაში მთლიან ოპოზიციურ სპექტრს ვგულისხმობ. თუ მაშინდელ ხელისუფლებასთან კარგ ურთიერთობაში არ იყავი, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდი. 2012 წელმა ცალსახად აჩვენა, რომ აუცილებელი იყო ხელისუფლების შეცვლა. წინა ხელისუფლებას უამრავი მინუსი ჰქონდა, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებით უარყოფითი იყო ნაცხელისუფლების საზოგადოებისადმი დამოკიდებულება, ჩემთვის ახლადდაგებული გზა და ლამაზი შენობა არაფერს ნიშნავს, თუ ციხეში ნაწამები ხალხი ზის, ან ვინმეს უსამართლოდ სჯიან. ჯერ მოსახლეობა უნდა იყოს თავისუფალი, ბედნიერი და ეკონომიურად წელგამართული, ამის შემდეგ აქვს ყველაფერს ფასი. 2012 წელსაც თითქმის ერთპიროვნული დამოკიდებულება იყო, ერთ ძალას მეორე ცვლიდა, უბრალოდ ამ უკანასკნელში რამდენიმე პოლიტიკური პარტია იყო გაერთიანებული. ამ ერთიანობამ შეცვალა მანამდე არსებული ვითარება. შემდეგ იყო პრეზიდენტის და თვითმმართველობის არჩევნები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვნად მაინც საპარლამენტო არჩევნები მიმაჩნია, რადგან ის არის უმნიშვნელოვანესი ქვეყნისთვის. ჩემი აზრით, 2016 წლის არჩევნები გაცილებით საინტერესო იქნება, ვიდრე 2008 წლისა და 2012 წლის არჩევნები, რადგან წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდისგან განსხვავებით, დღეს გაცილებით თავისუფალია მასმედია, საზოგადოება და ბიზნესი, რაც არ ახსოვს საქართველოს პარლამენტის არჩევნების ისტორიას. 2016 წელს გვექნება მრავალპარტიული, თანაბარ პირობებში არჩევნების ჩატარების ვითარება. მრავალპარტიული არჩევნები იმითაა კარგი, რომ საზოგადოებას მეტი არჩევანის საშუალება აქვს, რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს 2016 წლის არჩევნები, დარწმუნებული ვარ ვიღაც მაინც დარჩება უკმაყოფილო, ამიტომაც კარგი იქნება სადამკვირვებლო მისია გაძლიერდეს, რომ შემდგომში პოლიტიკურ ძალებს არ გაუჩნდეთ პრეტენზია, რომ არჩევნები გაყალბდა, ან არასწორად იქნა ჩატარებული და ა.შ.

ძალიან არ მომწონს მოსაზრება, რომ პოლიტიკა ბინძური სფეროა, გარკვეულწილად მეც ვეთანხმები, მაგრამ ჩვენ ისიც შეგვიძლია, რომ პოლიტიკა არ გავაბინძუროთ. სამწუხაროდ, ქართველებს გვახასიათებს, რომ თუ რაღაცას სუფთა გზით ვერ მივაღწიეთ, ისეთ გზებს მივმართოთ, რაც შემდგომში საზოგადოებას აზარალებს. სხვათა შორის, მავანთა პარტიიდან პარტიაში გადასვლაა ამის მაგალითი, თითქოს ერთ პარტიას ვერ ერგებიან და იმიტომ გადადიან მეორეში. ჩემთვის გაუგებარია (შეიძლება ჩემი ასაკიდან გამომდინარე, ამის თქმისთვის გამკიცხონ კიდეც) მათი ეს საქციელი, ვერ წარმომიდგენია იმ მიზნებიდან და ორიენტაციიდან, რომლითაც ხარ მიზანმიმართული შენი ქვეყნის განვითარებისთვის, ოდესმე რაიმემ გადაგახვევინოს, თუ აქ არ არის რაღაც შეფარული სხვა ინტერესი. პირადად მე, კეთილშობილური მიზნის მიღწევას ერთ პოლიტიკურ ძალასთან, ან ჩემი გუნდით ვცდილობ. ადამიანი, რომელიც აზრს ხშირად იცვლის, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ქვეყანას დაღუპავს. ჩემთვის მიუღებელია, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სახელმწიფო სტრუქტურებშიც იცვლება მთელი კონტიგენტი, ეს განსაკუთრებით ნაციონალურ მოძრაობას ეხება. სამინისტროები არის ინსტიტუტი, სადაც ადამიანები თავის პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას დებენ, ამიტომ ეს სტრუქტურები აბსოლუტურად აპოლიტიკური უნდა იყოს. როცა საქმე ქვეყნის განვითარებას ეხება, კადრი იმის მიხედვით არ უნდა შეარჩიო, ჩემი ახლობელია, ან დროშას კარგად აფრიალებდაო. ახალი განათლებული ადამიანები უნდა გამოვიდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე, რადგან ქართულ პოლიტიკას გაცოცხლება ჭირდება.

- თქვენც ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ მოსახლეობა უკიდურესად ნიჰილისტურად არის განწყობილი და ამომრჩევლის 60% არჩევნებზე არ მივა?

- საზოგადოება დაიღალა იმით, რომ ყველა პოლიტიკური ძალა არჩევნების მოახლოების პარალელურად აქტიურდება. მას ისეთი აქტიურობა ჭირდება, რომელიც მის ყოველდღიურ ცხოვრებას გაუმჯობესებს. ამიტომაც აღარ მიდის არჩევნებზე და ეს არასტაბილური მდგომარეობა თვითონ უნდა შევცვალოთ. საზოგადოებაში უნდა გაჩნდეს იმის განცდა, რომ ხელისუფლება ზრუნავს მის მომავალზე. მესმის, რომ საზოგადოება დაიღალა მუდმივად დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში ცხოვრებით და მატერიალური შეჭირვებით, მაგრამ არის რაღაც გარდამავალი ეტაპი, როცა უფრო მეტი თმენის ვალდებულებაა საჭირო, რომ უფრო უკეთესი შედეგი დადგეს, ერთმა არასწორმა ქმედებაც კი შეიძლება უკან დაატრიალოს ყველაფერი. ამიტომ საზოგადოებამ კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ თუნდაც ამ მარტივი მიზეზიდან გამომდინარე უნდა მივიდეს საარჩევნო ყუთთან და მიიღოს გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საარჩევნო ხმები ისეთ ნეგატიურ ჭრილში გადავიდეს, რომ იმაზე უარესი შედეგი მივიღოთ, ვიდრე ამ ოთხი წლის განმავლობაში მოლოდინის რეჟიმში ვცხოვრობდით. როგორც გითხარით, 28 ივნისს ვგეგმავთ ჩვენი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების გამოქვეყნებას, ახლა დათვლის პროცესში ვართ და 28 ივნისისთვის გვექნება უფრო დაზუსტებული პასუხი, რამდენი ადამიანი აპირებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. მე დღევანდელი ხელისუფლების ყველაზე დიდ მინუსად სწორედ ის მიმაჩნია, რომ მოსახლეობამ ძალიან ნაკლებად იცის დადებითი რა კეთდება ქვეყანაში. სხვა მედიასაშუალებებს რომ თავი დავანებოთ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, რომელიც ხალხის ჯიბიდან ფინანსდება, ხომ უნდა მიაწოდოს ამის შესახებ ინფორმაცია. მე თვითონ აღმომიჩენია, რომ რაღაც კარგი გაკეთებულა და არ ვიცოდი. სხვათა შორის, ეს ბევრი ადამიანისგან მომისმენია.

- რომელი პოლიტიკური პარტია მიგაჩნიათ იმ ძალად, რომელსაც უკეთ ესმის საზოგადოებას რა ჭირდება და შესაბამისად ვის ეჭნება ამ საზოგადოებისგან ყველაზე მეტი ნდობა?

- მოქმედ ხელისუფლებას აქვს ძალიან დიდი შანსი, რომ არსებული მდგომარეობა იმ ფაზაში გადაიყვანოს, რასაც ქვეყნის განვითარება ჰქვია, რადგან ამ ოთხი წლის განმავლობაში კარგი გამოცდილება დაუგროვდათ. მმართველ ძალას ჰქონდა ურთულესი პერიოდი, რადგან ქვეყნის განვითარების, ვითარების შეცვლის პარალელურად, ნაცმოძრაობის პროვოკაციების მოგერიება უწევდა და უწევს, რაც არ არის მარტივი საქმე და ეს მინდა საზოგადოებამ კარგად გაითავისოს. მიუხედავად ამისა, „ქართულ ოცნებას“ ვურჩევდი, რომ არ გასცენ ისეთი დაპირებები, რაც ვერ შესრულდება, რადგან ეს უმნიშვნელოვანესია საზოგადოების აზროვნების, ფსიქიკისა და ცნობიერებისთვის, რაღაცას რომ მპირდები, შენი იმედი მაქვს, ამ იმედს თუ მომიკლავ, მეორედ ხმას აღარ მოგცემ. ეს ბუნებრივი პროცესია. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ არჩევნებში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი სახელისუფლო პარტიას აქვს, ვგულისხმობ, უშუალოდ „ქართულ ოცნებას“, მაგრამ თუ მან სწორი სვლები არ გააკეთა, ქვეყანა ისევ ჩიხში შევა. საზოგადოებას გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ხელისუფლება უმძიმეს მდგომარეობაშია, თუნდაც ამ შიდა მრავალპარტიულობიდან გამომდინარე, რასაც გარე პოლიტიკური მდგომარეობაც ემატება. მიუხედავად ამისა, ყველაზე მეტი შანსი მაინც „ქართულ ოცნებას“ აქვს თუ სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს და პარტიულ სიას სათანადო პერსონებით დაკომპლექტებს.

რაც შეეხება პაატა ბურჭულაძის პარტიას, რესპუბლიკელებს, „თავისუფალ დემოკრატებს“, ნაციონალებს და ა.შ., როგორც გითხარით, ყველა თავისას ცდილობს, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია ის პარტია, რომელიც არაკანონიერი გზებით, საზოგადოების მოტყუებით ცდილობს წარმატების მიღწევას. მე ვიცი ადამიანები, ოღონდ მათ ვინაობას ვერ დაგისახელებთ, რომლებიც არჩევნების დროს ტყავიდან ძვრებოდნენ, მერე თავისი რომ გაინაღდეს სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, დაინიშნენ გარკვეულ პოლიტიკურ თანამდებობებზე, ამომრჩეველი საერთოდ დაავიწყდათ. ასეთი ადამიანებისგან უნდა გაიწმინდოს ქართული პოლიტიკა, უნდა დამთავრდეს სარჩოს მოპოვების მიზნით პოლიტიკაში და მით უმეტეს ხელისუფლებაში მოსვლა. სარჩოს შოვნა თუ გინდა, წადი ბიზნესში, დღეს ნამდვილად არის ქვეყანაში ისეთი გარემო, რომ ელემენტარული ბიზნესი აკეთო და მშიერი არ დარჩე. რატომ გინდა ხალხის ფულით მოიწყო კომფორტი და კეთილდღეობა? მიმაჩნია (ეს ჩემი სუბიექტური აზრია), რომ ბევრი პოლიტიკური ძალა გარკვეულ ნიღაბს არის ამოფარებული და ეს ნიღაბი ყოფილ მმართველ გუნდს უკავშირდება, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ, ამისთვის ყველაფერზე არიან წამსვლელები, იმიტომ, რომ ხელისუფლების „გემო“ იციან, თანაც ისეთი ხელისუფლების, რაც ცხრა წლის მანძილზე ვიწვნიეთ. ეს არის ყველაზე საშიში რაც საზოგადოებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ზვიად ჯანყარაშვილის ადვოკატი ელისო კილაძის საქმიანობის შესწავლას მოითხოვს

თბილისის პროკურატურამ "ოცნების" ყოფილი აღმასრულებელი მდივნის, გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსის, ზვიად ჯანყარაშვილის მიმართ ელისო კილაძის მიერ საჯაროდ გამოთქმულ ბრალდებებზე გამოძიება დაასრულა.

ჯანყარაშვილის ადვოკატის, დიმიტრი გაბუნიას თქმით, 2016 წლის 12 აპრილს პროკურატურამ ერთწლიანი ძიების შემდეგ, ზვიად ჯანყარაშვილის მიმართ საჯაროდ გამოთქმულ ბრალდებებზე მრავალეპიზოდიანი გამოძიება შეწყვიტა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

ადვოკატის თქმით, საქმე ეხებოდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ჟურნალისტ ელისო კილაძის მიერ გავრცელებულ არაერთ ბინძურ, ცილისმწამებლურ, შეუსაბამო ცნობების გავრცელებას, რაც სისტემატურ ხასიათს ატარებდა.

"აშკარად არის გამოკვეთილი აღნიშნული ბინძური პიარკამპანიის დამკვეთი და მისი უშუალო შემსრულებლები. პროპაგანდისტური მანქანის ძირითადი სამიზნე იყო პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნება" და დღეს მოქმედი ხელისუფლების დისკრედიტაცია, რათა საზოგადოებაში ხელოვნურად გაჩენილიყო ნეგატიური დამოკიდებულება მმართველი ძალის მიმართ", – განაცხადა გაბუნიამ.

ადვოკატმა კონკრეტული პირების დასახელებისგან თავი შეიკავა, თუმცა აღნიშნა, რომ პროპაგანდისტულ ჯგუფში უშუალოდ, "ნაციონალური მოძრაობის" წევრებს მოიაზრებს, რისი ფაქტებიც და მტკიცებულებებიც არსებობს.

მისი თქმით, "ნაციონალური მოძრაობა" ელისო კილაძეს სიცრუის გავრცელებაში თანხას უხდიდა, რისი კონკრეტული ფაქტებიც არსებობს, თუმცა ამ ეტაპზე, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ფაქტების დასახელებისგან თავი შეიკავა.

"ეს ყველაფერი ჩვენი მხრიდან უპასუხოდ არ დარჩება. უახლოეს დღეებში, განცხადებით მივმართავთ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, რათა დეტალურად იქნას შესწავლილი ელისო კილაძის საქმიანობა. ვთვლით, რომ ეს სუბიექტი არ უნდა იყოს ასეთი მაღალი პასუხისმგებლობის პროფესიული გაერთიანების წევრი. მოვითხოვთ, მას ჟურნალისტური საქმიანობა აეკრძალოს, რადგან ის დაკავებულია მხოლოდ სიცრუის ტირაჟირებით, ყოველგვარტი ფაქტების და არგუმენტების გარეშე. ელისო კილაძე ჩიტების მოტანილ ამბებზე ავრცელებს სიცრუეს. მივმართავთ ასევე საქართველოს პარლამენტს, რათა ცილისმწამებლური ცნობების გავრცელების გამო, შესაბამისი კანონმდებლობა გამკაცრდეს. აქვე მოვუწოდებთ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, დროულად დანიშნოს საქმის ზეპირი განხილვა, სადაც ჩვენ დაახლოებით ერთი წლის წინ, სარჩელი შევიტანეთ ელისო კილა-

ძის საქმეზე და ამ პერიოდში, არც ერთი, მოსამზადებელი სხდომაც კი არ ჩატარებულა", – განაცხადა ადვოკატმა.

დიმიტრი გაბუნიამ ჟურნალისტებს პროკურატურის დადგენილება გადასცა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ, სადაც, მისი თქმით, ძირითადად, 4 ცილისმწამებლურ განცხადებაზე მიმდინარეობდა გამოძიება.

ეს იყო კაზინო აჭარის საქმე, სადაც ჯანყარაშვილთან ერთად, თამაზ თამაზაშვილი ფიგურირებდა, ქრთამის აღების ფაქტთან დაკავშრებით, ასევე "ჯეოტრანსის" საქმე, სადაც თითქოს, ჯანყარაშვილმა ბერძენი ბიზნესმენი აწამა და აიძულა, თითქოს, გადაეფიქრებინა ტენდერში მონაწილეობა. ასევე "ალტკომის" საქმე, სადაც თითქოს, ჯანყარაშვილმა 43 მილიონის ოდენობის ქრთამი აიღო იმისთვის, რომ უკრაინულ კომპანიას გაემარჯვა ტენდერში.

მეოთხე საქმე, გაბუნიას თქმით, იყო გარდაცვლილ ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით, სადაც, თითქოს, ჯანყარაშვილი ამ პროცესს ხელს უშლიდა.

გაბუნიას თქმით, ყველა საქმეზე დაიკითხა მოწმეები, ასევე ელისო კილაძეც, რომელსაც არც ერთ საქმესთან დაკავშირებით, მტკიცებულებები არ გააჩნია და აცხადებს, რომ ჰყავს წყარო, რომლის დასახელებისგანაც ამ დრომდე თავს იკავებს.

www.kvira.ge

მეხსიერების სავარჯიშო, ანუ რატომ დაავიწყდათ ვიღაცებს, რამდენი პროფესორი და მასწავლებელი „ჩარეცხა“ და როგორ მოაოხრა განათლება დიდმა „განმანათლებელმა“ მიხეილ სააკაშვილმა?

საპარლამენტო არჩევნების მოახლოვებასთან ერთად, განათლების სისტემაში დასაქმებულთა ერთი ნაწილისგან სულ უფრო ხშირად გვესმის, რომ ხელისუფლებამ პედაგოგთა იმედები არ გაამართლა და „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში მათი მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეს. უკმაყოფილო პედაგოგების გააქტიურებას თითქოს შემთხვევით, 28 მაისს აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ასმათ დიასამიძის ორგანიზებით გამართული ტრენინგ-კურსიც დაემთხვა, რომელზეც საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან და ოდესის ამჟამინდელ გუბერნატორთან „სკაიპის“ საშუალებით პირდაპირი კავშირი შედგა. მიხეილ სააკაშვილმა მასწავლებლებთან განათლების სისტემაში დაშვებულ შეცდომებზე, მიღწევებზე და დღეს არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა. ტრენინგი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის სააგიტაციო შეხვედრა აღმოჩნდა, რამდენიმე პედაგოგმა პროტესტის ნიშნად დატოვა, დანარჩენებმა

ხათუნა ენუქიძე

კი ბოლომდე მოისმინეს ყოფილი პრეზიდენტის მიერ ჩამოყალიბებული სისტემის „ღრმა და ყოვლისმომცველი“ ანალიზი. ჩვენთვის უცნობია, რამდენად წაადგება სამომავლო პედაგოგიულ საქმიანობაში სააკაშვილის „ტრენინგები“ იქ მყოფ მასწავლებლებს, თუმცა კარგად არის ცნობილი მეთოდები, რომლის საშუალებითაც, იმართებოდა განათლების სისტემა მისი პრეზიდენტობის დროს. სწორედ ამიტომ, გულმავიწყი პედაგოგების მეხსიერების „დატრენინგებისა“ და ყოფილსა და ამჟამინდელს შორის პარალელების გასავლებად, უახლოეს წარსულში, მცირე ისტორიულ ექსკურსს შემოგთავაზებთ.

ცნობილია, რომ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდან, განათლების სისტემა ნაციონალური მოძრაობის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. რევოლუციით მოსული ძალისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო, რომ სფერო, რომელშიც დიდი მატერიალური და ადამიანური რესურსი (შესაბამისად, ამომრჩეველი) იყო თავმოყრილი, მთლიანად მის გავლენას და კონტროლს დაქვემდებარებოდა. პირველ ეტაპზე სისტემის სააკაშვილის რეფორმებით უკმაყოფილო და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანებისგან გაწმენდა იყო საჭირო. მალე უმაღლესი განათლების სისტემაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და კონკურსების საშუალებით, უნივერსიტეტები ათასობით პროფესორ-მასწავლებელს დაატოვებინეს. თავის ერთ-ერთ გამოსვლაში სააკაშვილმა ეს ადამიანები „ჩარეცხილებად“ მოიხსენია. „ჩვენი ფასეულობა თურმე არის კარგი სმა-ჭამა, ე.წ. ქალაქელობა, „უბნელობა“ და საქართველოს დაქუცმაცება. ეს ხალხი ჩაირეცხა და ჩაირეცხება ბოლომდე ასეთი მენტალიტეტის მატარებელი ხალხი“– განაცხადა სააკაშვილმა. უმუშევრად დარჩენილი პროფესურა, არათუ „კარგი სმა-ჭამის“, ელემენტალური საზრდოს გარეშე დარჩა. თავმოყვარეობის შელახვის, შეურაცხყოფისა და ნერვიულობის ფონზე და სამკურნალო სახსრების არარსებობის გამო, იმ წლებში 80-მდე „ჩარეცხილი პროფესორი“ უკიდურეს სიღატაკეში გარდაიცვალა. ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც კარგი ჭამა-სმის მადას არასოდეს უჩიოდა, ერთხელაც არ დაინტერესებულა მათი ბედით და საარსებო პირობებით.

რაც შეეხება მასწავლებლებს, ყოფილმა ხელისუფლებამ მათთან საბრძოლველად უფრო მარტივი გზა აირჩია და 2005 წელს გამოსცა შრომის კოდექსი, სადაც 37 მუხლის „დ“ ქვეპუნქტში ჩაწერა, რომ დამსაქმებელს დასაქმებულის გათავისუფლება ყოველგვარი ახსნა-განმარტებებისა და მიზეზების გარეშე შეუძლია. 2008 წლის სექტემბერში პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირების თავმჯდომარე მანანა ღურჭუმელიძე განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე სიმბოლურად თოკით ხელებშეკრული მივიდა და კაბალური, ევროკავშირის მოთხოვნებთან შეუსაბამო „შრომის კოდექსში“ ცვლილებების შეტანა მოითხოვა. მასწავლებელთა უფლებების დამცველი აცხადებდა, რომ სკოლის დირექტორები მასწავლებლებს სამსახურიდან უსაფუძვლოდ ათავისუფლებენ, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო, მასწავლებელთა უფლებების დამცველის მცდელობას შედეგი არ გამოუღია და შრომის კოდექსის 37 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მასწავლებლების სკოლებიდან მასობრივად გაშვების პროცესი გაგრძელდა. 2010 წლის 5 აგვისტოდან 14 აგვისტოს ჩათვლით, მარტო „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ კახეთის ოფისში საჯარო სკოლებიდან გათავისუფლებული 247 მასწავლებლის განცხადება შევიდა. უკეთესი მდგომარეობა არც თბილისსა და სხვა ქალაქებში იყო. არსებობს დადასტურებული ფაქტები, რომ სკოლის დირექტორებს გამგეობებიდან პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო და მიუღებელი პედაგოგების „შავი სიები“ ეგზავნებოდათ. დირექტორი, რომელიც სიაში ჩასმული პედაგოგის გათავისუფლებაზე უარს იტყოდა, თავადაც უმუშევართა არმიას ემატებოდა. ამ მიზეზით, თანამდებობა რამდენიმე დირექტორმა დაკარგა. მათი ნაწილი თანამდებობას ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ დაუბრუნდა.

2008 წელს განათლების სამინისტრომ სკოლის დირექტორებს რეკომენდაცია მისცა, რომ საპენსიო ასაკის პედაგოგები სამსახურიდან გაუშვათ. სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე რეკომენდაციის გამოქვეყნებისთანავე, სკოლის დირექტორებმა საპენსიო ასაკს მიღწეული მასწავლებლები მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ გააფრთხილეს. პედაგოგთა პროფკავშირებმა ყვირილი ატეხა, რომ ქვეყანაში ასაკოვანი მასწავლებლების დევნა დაიწყო. „საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი და საერთაშორისო კანონმდებლობა ასაკის გამო ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლებას კრძალავს. მიუხედავად ამისა, განათლების სამინისტრო სკოლის დირექტორებს მსგავს

წინადადებას აძლევს–აცხადებდა პროფკავშირების თავმჯდომარე მანანა ღურჭუმელიძე, თუმცა ქვეყანაში დაწყებული „პედაგოგთა მასობრივი წმენდის“ პროცესის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

„ჩარეცხილი პროფესურის“ მსგავსად, სამსახურის დაკარგვა ბევრი მასწავლებლისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

192–ე სკოლის ყოფილი პედაგოგი ვენერა ფეიქრიშვილი ერთ-ერთი მათგანია, ვინც სამსახურიდან 37–ე მუხლის დ პუნქტით, 2011 წელს გაუშვეს, თუმცა სკოლაში დაბრუნებისთვის ბრძოლა ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგაც არ შეუწყვეტია. იმ საბედისწერო დღესაც, როდესაც თავი შეუძლოდ იგრძნო, მეუღლეს სკოლის შესახებ უამბობდა. პედაგოგი, რომელმაც საყვარელი საქმის გარეშე მხოლოდ ორი წელი გაძლო, საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

სკოლიდან გამოშვებას შეეწირა 215-ე სკოლის ახალგაზრდა პედაგოგი ლაშა ჯაჯვანი, რომელიც უამრავი კოლეგის მსგავსად, სამსახურიდან ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის მიზნით შეგროვებული ხელმოწერების გამო გაათავისუფლეს. გადატანილმა სტრესმა და სასამართლო პროცესებმა მის ჯანრთელობაზე ისე იმოქმედა, რომ სრულიად ახალგაზრდა კაცი, ინფარქტით გარდაიცვალა. ამჯერად, ყოფილი ხელისუფლების საგანმანათლებლო პოლიტიკას შეწირულ პედაგოგთა ჩამონათვალს აქ დავასრულებთ და საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ყოფილი ხელისუფლების მიერ გატარებული საგანმანათლებლო რეფორმებისა და ოპტიმიზაცია-ლიკვიდაციის პროცესების შედეგად, 2004 წლიდან დღემდე ქვეყნის მასშტაბით 1000-ზე მეტი საჯარო სკოლა დაიხურა, რამაც სისტემაში მნიშვნელოვანი დეფიციტი შექმნა. გარდა იმისა, რომ ლიკვიდირებული სკოლის მოსწავლეს ალტერნატიულ სკოლამდე მისასვლელი გზა გვარიანად დაუგრძელდა, დახურვას გადარჩენილი სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტი თითქმის გაორმაგდა, რამაც ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვა შეუძლებელი გახადა. განათლების პროფკავშირი, რომელიც მოგვიანებით სააკაშვილის ხელისუფლებამ სამაგალითოდ დასაჯა და მისი ხელმძღვანელი პოლიტიკურ დევნილად აქცია, საუბრობდა, რომ სკოლების ოპტიმიზაციის შემდეგ, რაიონებში მცხოვრებ მოსწავლეებს სკოლამდე მისასვლელად კილომეტრების გავლა



უწევდათ, რაც ზამთრის პირობებში საკმაოდ ძნელი და საშიში იყო. პროფკავშირები სკოლაში მიმავალი მოსწავლეების გაუჩინარების კონკრეტულ ფაქტებს ასახელებდა და არ გამორიცხავდა, რომ ბავშვები გარეული ცხოველის მსხვერპლად იქცნენ.

2007-08 წელს დაიხურა ნუცუბიძის პირველ მიკრორაიონში მდებარე 125-ე საჯარო სკოლა, სადაც ამჟამად კახა ბენდუქიძის „თავისუფალი უნივერსიტეტია“ განთავსებული და გაიყიდა ე.წ. შანხაიზე მდებარე 101-ე საჯარო სკოლის შენობა, სადაც ამჟამად ბეჟუაშვილების „ევროპული სკოლა“ მდებარეობს. სკოლების პედაგოგთა უმეტესობა უმეტესობა უმუშევარი დარჩა. 2005 წელს გაურკვეველ ვითარებაში დაიწვა ისანი-სამგორის რაიონში მდებარე 84-ე საჯარო სკოლა. ხელისუფლებამ სკოლის დაწვაში ყოფილი პარლამენტარი ვალერი გელაშვილი დაადანაშაულა და მოსახლეობას სკოლის უმოკლეს ვადაში აღდგენის პირობა მისცა, მაგრამ ვერც გელაშვილის მიერ სკოლის დაწვის ფაქტის დადასტურება შეძლო და არც დამწვარი სკოლის აღდგენაზე უზრუნია. სამაგიეროდ, თანამდებობიდან გაათავისუფლეს 84-ე სკოლის დირექტორი გიორგი შავლაძე, რომელიც დამწვარი სკოლის აღდგენას ჯიუტად ითხოვდა და ამ ტერიტორიით გიგი უგულავას დაინტერესებაზე მიანიშნებდა. 84-ე სკოლის მსგავსად, გაურკვეველ ვითარებაში მოხდა გლდანი-ნაძალადევის რაიონში მდებარე მე-15 საჯარო სკოლის დაზიანებაც: 2008 წლის 13 სექტემბერს დაახლოებით დილის შვიდ საათზე სკოლის შენობაში დერეფნის ნაწილი ჩამოინგრა. როგორც წინა, ისე ამ შემთხვევაშიც, ხელისუფლებამ სკოლის უსწრაფესად აღდგენის პირობა დადო თუმცა არც გამოძიება დაუწყია და არც დაპირებული სკოლის მშენებლობა. ავარიული სკოლების მოსწავლეები მეზობელ სკოლებში გადაანაწილეს, სადაც გაორმაგებული კონტინგენტის გამო, გაკვეთილები ლამის საპირფარეშოებში ტარდებოდა.

ხის ერთი ადგილიდან მეორეზე გადარგვით აღშფოთებულ მოქალაქეებს შევახსენებთ, რომ მიხეილ საკაშვილის 2011 წელს გამოცემული დადგენილებით, 2011-12 წლებში ათამდე საჯარო სკოლა პირდაპირი მიყიდვის წესით გაიყიდა. მთლიანად გაყიდულების გარდა, არსებობს ნაწილ-ნაწილ გაყიდული სკოლებიც, რომელთა ეზოებში ამჟამად სახინკლეები, სახაშეები თუ საცხოვრებელი კორპუსებია განთავსებული. მაგალითისთვის, ქალაქის ცენტრში ყაზბეგის გამზირზე მდებარე 52-ე სკოლის დასახელებაც კმარა, რომელსაც სახინკლე მიაშენეს.. ამჯერად, აქ შევჩერდებით და განათლების სისტემაში წინა ხელისუფლების დროინდელ მდგომარეობასა და ახალი ხელისუფლების დროს განხორციელებული ცვლილებების შეფასებას პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების თავმჯდომარეს **მაია კობახიძეს** ვთხოვთ:

– დავიწყებ იმით, რომ წინა ხელისუფლების დროს, განსაკუთრებით საგანგაშო იყო 2005 წელს მიღებული შრომის კოდექსი და კერძოდ, 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, რომელიც დამსაქმებელს შესაძლებლობას აძლევდა, დასაქმებული სამსახურიდან ყოველგვარი მიზეზისა და ახსნა-განმარტებისა გარეშე გაეთავისუფლებინა. შესაბამისად, მთლიანად დამსაქმებელთა ინტერესებზე ორიენტირებული შრომის კოდექსში აბსოლუტირად იგნორირებული იყო დასაქმებულთა ინტერესები. შრომის კოდექსის კაბალური ნორმები დასაქმებულთა დაშინებისთვის კარგ იარაღად იქცა. თავად

მაია კობახიძე



მე წავაგეთ და მხოლოდ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, უზენაესმა სასამართლომ შეძლო მიეღო სამართლიანი გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში, პედაგოგის სოციალური პრესტიჟი მთლიანად განადგურებული იყო– მასწავლებლის ხელფასების ზრდა 2010-2011-2012 წლებში საერთოდ არ განხორციელებულა, მანამდე კი მხოლოდ 25 ლარიანი მატება მოხდა. ასე, რომ ყოველგვარი უტრირების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ 2011-2012 წლებში პედაგოგთა საზოგადოება ყველაზე დაჩაგრულ კატეგორიას წარმოადგენდა

– როგორ შეიცვალა შრომის კოდექსი და მანდატურის სამსახურის ფუნქციები „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში და რა მდგომარეობაა მასწავლებელთა სოციალური დაცვის კუთხით ამჟამად?

– 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ერთერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად სწორედ „შრომის კოდექსში“ შეტანილი ცვლილებები მიმაჩნია. 2013 წლის ზაფხულიდან ამოქმედდა ახალი „შრომის კოდექსი“, რომელიც მეტად ითვალისწინებს დასაქმებულთა ინტერესებს და გათავისუფლებულია კაბალური მუხლებისგან. ახალი „შრომის კოდექსში“ ცალკეული ნორმები დასახვეწია, მაგრამ ამ შემთხვევაში, მასწავლებელთან მინიმუმ 3-5 წლიანი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს. ხელშეკრულების ვადის ამოწურვის საფუძველზე გათავისუფლებული პედაგოგების საქმეზე, ოთხი სასამართლო პროცესი მოვიგეთ და ოთხივე ადამიანი სამსახურში დავაბრუნეთ. ნამდვილად სასიხარულოა, რომ ახალი „შრომის კოდექსი“ პედაგოგთა შრომითი ხელშეკრულების ვადებს აღარ ითვალისწინებს. შესაბამისად, 2015 წლის სექტემბრიდან სკოლებში ამგვარი ფაქტები აღარ დაფიქსირებულა.

– როგორი მდგომარეობაა პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული მასწავლებლების სამსახურში დაბრუნების მხრივ?

– სამწუხაროდ, პოლიტიკური დევნის შესახებ სისტემიდან გაშვებული ბევრი მასწავლებელი საუბრობდა. მათ რიცხვს ის პედაგოგებიც დაემატენ, რომლებიც სამსახურიდან ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებდა. მარტო სამტრედიიდან, ამ მიზეზით გათავისუფლებული ოთხი პედაგოგი მახსენდება. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო სამწუხარო გარემოება, რომ განათლების სამინისტროს პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული პედაგოგების სამსახურში აღდგენის შესაძლებლობა არ ჰქონდა და ვერც სკოლის დირექტორს აიძულებდა, ვინაიდან ამას შეიძლება სხვა მასწავლებლის უფლებების დარღვევა გამოეწვია. ამ კატეგორიის მასწავლებლების სკოლაში დაბრუნების შესაძლებლობა მხოლოდ სასამართლოს ჰქონდა, მაგრამ 2013 წლამდე, ამ მიმართულებით სასამართლოში საქმის მოგება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. როცა გათავისუფლების საფუძვლად 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი იყო მითითებული, მოსამართლეც პირდაპირ მასწავლებლის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას იღებდა. მხოლოდ ერთი, გორის მე-3 საჯარო სკოლის შემთხვევა მახსენდება, როცა სასამართლომ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება დაადასტურა, თუმცა ესეც მოგვიანებით, ახალი ხელისუფლების პირობებში მოხდა. რომ გითხრათ, რომ ყველა დასაქმებულისთვის სამართლიანობა აღდგა, ასე არაა. ალბათ ყველაფერს თავისი დრო ჭირდება, თუმცა პროგრესი აშკარად სახეზეა.

მნიშვნელოვანია, რომ 2013 წლის პირველი იანვრიდან მასწავლებლის საბაზო ხელფასი 60 ლარით გაიზარდა. მთლიანობაში, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, მასწავლებლის საბაზო ხელფასი 160 ლარით გაიზარდა.

– მასწავლებლების ნაწილს მიაჩნია, რომ ინფლაციის ტემპები ხელფასის მატებას მნიშვნელოვნად აღემატება და მასწავლებლის ხელფასით ცხოვრება შეუძლებელია.

– როცა უახლოეს წარსულთან მიმართებაში მიწევს საუბრის წარმართვა, გამოდის, რომ დღევანდელი განათლების სამინისტროს ადვოკატი გამოვდივარ, მაგრამ რაც რეალობაა აუცილებლად უნდა ითქვას და რაც არ მოგვწონს, ისიც სათქმელია. ჩვენს პროფკავშირებს დღის წესრიგიდან არ მოუხსნია მოთხოვნა, რომ პედაგოგის საბაზო ხელფასის ზრდა ეტაპობრივად უნდა გაგრძელდეს და მისი ოდენობა საჯარო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასს გაუთანაბრდეს. იმ დროს, როცა პედაგოგის საქმიანობაზე დიდწილად დამოკიდებულია ქვეყნის განვითარება, პედაგოგის საბაზო ხელფასი 405 ლარია, საჯარო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი კი 850 ლარი, ამიტომ მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდა არ უნდა დასრულდეს აპრილში განხორციელებული ხელფასის ზრდით. აქვე აღვნიშნავ, რომ შემუშავდა პედაგოგთა სასერტიფიკაციო დანამატებისა და ხელფასების ზრდის ახალი სქემა. თუ აქამდე მასწავლებლის სასერტიფიკაციო დანამატი 75 ლარს შეადგენდა, ახლა მისი ოდენობა 180 ლარი ანუ თითქმის სამჯერ მეტია. სასერტიფიკაციო დანამატების ზრდა იგეგმება 2017 წლის 1 იანვრიდანაც. აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ განათლების სამინისტროს ბიუჯეტში 2012 წელთან შედარებით, 82%-ით გაზრდილია მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის მიმართულებით გამოყოფილი სახსრები. ისიც უნდა ვთქვათ, რომ 2012 -დან 2016 წლამდე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებების დანახარჯები 164%-ით არის გაზრდილი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მეცნიერების განვითარება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ნელი თორდია
571 35 36 88

(გაგრძელება იქნება)

„სარკოფაგიდან დგება მუმია“,

ანუ რატომ ჩაიშალა ლენინის გაცოცხლების პროექტი?

რეინკარნაცია კვლავ ამქვეყნად მოსვლას ნიშნავს. “რე” პრეფიქსი ხელახალს, განმეორებადს აღნიშნავს, ინ ში-ს, კარნ ფუძე კი ხორცია. ამ ტერმინის ზუსტი ქართული შესაბამისობა კვლავ-გან-ხორციელება იქნებოდა. მე მჯერა რეინკარნაციის და მჯერა, რომ გარდაცვალებიდან 45 წლის შემდეგ ლენინი, 1967 წლის 21 დეკემბერს მიხეილ სააკაშვილის სახით მოევლინა სამყაროს „ჭკუის სასწავლებლად და წინა ცხოვრების განუხორციელებელი გეგმების დასასრულებლად“ რასაკვირველია ბოლშევიზმის ძირითადი პრინციპები გულის ფიცარზე ეწერა და ერთგულად ამსახურებდა „ამხანაგებსაც“... „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია და უნდა განადგურდეს!“

მიხეილი და „მისი რაზმი“ კადრების შერჩევისას პარტიული ერთგულებით ცვლიდნენ პროფესიონალიზმის საჭიროებას და იყენებდნენ ბოლშევიკების ისტორიულ „გამოცდილებას“, რომ ქვეყნის მართვა მზარეულ ქალსაც კი შეუძლია, მთავარია იგი ერთგული მზარეული ქალი იყოს! ბოლშევიზმი ცინიკურად ანაცვლებდა ასაკოვან კადრებს რევოლუციური ახალგაზრდა კადრებით, რომელთა ერთადერთი გამომრჩეველი მახასიათებელი ფანატიური ერთგულება და ფანატიური მორჩილებაა, რაც უხშირესად უცოდინრობას, არაპროფესიონალიზმს და დაბალ ინტელექტს „ეყრდნობა“. „მიშლენინს“ არ დავიწყებია, „ამ ცხოვრებაშიც“ წინა თაობების როლის და პოზიტიურ დამსახურების დაკნინება და ისტორიული ათვლაც თავისი საწყისიდან დაიწყო. ანუ 2003 წლის 23 ნოემბრიდან!

ძველი ბოლშევიკივით მიშლენიც ვერ შეეგუა, ვერც ერთ პარალელურ სტრუქტურას, რომელსაც მაღალი ავტორიტეტი გააჩნდა. იგი თავგამოდებით ებრძოდა განათლების კერებს, ხელოვნებას და, განსაკუთრებით – რელიგიას. მიშლენინს ჰქონდა ამბიცია, თავად გამხდარიყო ახალი რელიგია. ყოფილიყო ავტორი ახალი „კულტურის“ და ახალი „განათლების“.

ბოლშევიზმი და „ენმ“ აბსოლუტურად უარყოფდნენ ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობის და უზენაესობის პრინციპს. ეყრდნობოდნენ ძალისმიერ სტრუქტურებს – საძიებო სამსახურებს, სადამსჯელო სამსახურებს, პოლიციას, უშიშროებას, პროკურატურას, ახალგაზრდათა გასამხედროებულ ჯგუფებს და არმიას. აკნინებდნენ და იმორჩილებდნენ სასამართლოს და ადვოკატურას, ხელს უწყობდნენ პოლიციური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და ახალგაზრდებში პოლიციური კარიერის რეკლამირებას. ბოლშევიზმის და შემდგომ „ენმ“ -ს იდეალი იყო ნაკლებგანათლებული, კონტროლირებადი, ეგზალტირებული მასა, რომელსაც ნებისმიერ იდეურ მოწინააღმდეგეს მიუსევდნენ.

ბათუმის და ფოთის პორტები, საქართველოს რკინიგზა, თბილგაზი, რუსთავის მეტალურგიული, ზესტაფონის ფერო, მადნეული, თბილისის წყალი, ბათუმის აეროპორტი, საავადმყოფოები.

სააკაშვილმა და მისმა ოჯახმა თავის ხელში უკვე პირველივე წლებში მოაქცია საქართველოში ბიზნესის ყველაზე შემოსავლიანი დარგები, რომელთაც სააკაშვილის ოჯახი – დედა, მამა, ბიძა და ძმები აკონტროლებენ – „მადნეული“, „ვისოლ – კანარგო“, „ბილაინ – ჯორჯია“, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, საქართველოს უნივერსიტეტი, შავი ზღვის უნივერსიტეტი, თბილისის ბალნეოლოგიური... დახურა ბაზრები, გაჭირვებულ ხალხს აუკრძალა გარევაჭრობა, და იძულებული გახადა, ევაჭრათ მისი ახლობლების მიერ აშენებულ ფეშენებელურ ცენტრებში, სადაც მაღალი გადასახადის გამო გაჭირვებულთა 90% ვეღარ შევიდა და საარსებო წყაროს გარეშე დარჩა. სააკაშვილის მიერ წარმოებული ვითომ-და მასიური დასაქმების პროგრამა იყო ყველაზე დიდი ბლეფი, რაც მის მთავრობას მოაფიქრდა და რეალურად მხოლოდ წინასაარჩევნოდ ხმების ყიდვას წარმოადგენდა, განსაკუთრებით – ახალგაზრდებში. ხალხის გაძარცვა ასეთი დრაკონული მეთოდებით მანამდე არცერთ მმართველს არ განუხორციელებია.

მიშლენინმა, რომელმაც საკუთარი კარიერული აღმასვლა კლანური კორუფციის წინააღმდეგ და სხვისი სახლების სურათების აფრიალებით დაიწყო, „გამეფებიდან“ მოკლე დროში შექმნა ისტორიაში ყველაზე უფრო ძლიერი და მაფიოზური კლანური სისტემა, აი, მაშინდელი, ნეობოლშევიკების უკანონოდ მითვისებული ქონების არასრული სია: ბეჟუაშვილები (გაზის ბიზნესი, ტელეკომპანიები „რუსთავი2“ და „მზე“), ვარშალომიძეები (აჭარის ბიზნესის ლომის წილი, ვაკის სამშენებლო ბიზნესი), მერაბიშვილი (სამცხე-საჯავახოს ბიზნესები, საგაზეთო ბიზნესი, ევროპული სკოლა), ადეიშვილი (სამშენებლო და სასტუროების ბიზნესი კახეთში), უგულავა, (სამშენებლო და სარეკლამო ბიზნესები თბილისში), გოროზიები (სამეგრელოში არსებული ბიზნესები), გიგა ბოკერია (მამამისის სამშენებლო ბიზნესით), ლადო ჭიპაშვილი („ბლოკ-ჯორჯია“), მამა-შვილი ჯუღელები („ბელასეტა“) ძმები კოდუები (ავიაკომპანიები სხვებისათვის შეწერილი ვალებით, მშენებლობები, ჰოსპიტლები, ჟურნალ-გაზეთები), გია გეწაძე (სასტუმრო „აჭარა“), რატი სამყურაშვილი (კაზინოების ბიზნესი), ბენდუქიძე(???) პატარკაციშვილის ბიზნესის მიმთვისებელი ცნობილი ავანტიურისტი ჯოზეფ კეიც (თავის ადვოკატით ზელცერით), რომელზეც სააკაშვილი და ნაცმოძრაობა ახდენდა თავისი სიმდიდრის დიდი ნაწილის დროებით გადაფორმებას.

მიშლენინი გაზეთ „ისკრა-ს“ ამ ცხოვრებაში ბელადის გვირგვინის მოსარგებად ვეღარ გამოყენებდა, სამაგიეროდ მის განკარგულებაში მასმედიის 100%-ი, მოექცა, თუმცა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ფარული, მაგრამ სასტიკი ბრძოლა დაუწყო სწორედ თავისუფალ მედიას – „არადემოკრატიულად“ დახურა გადაცემები და არხები – „დარდუბალა“, „მე-9 არხი“, „60 წუთი“, „202“. „კავკასია“ და „ასავალ-დასავალი“ ოფისებიდან გამოაძევა, „იმედს“ სამთავრობო ბოიკოტი გამოუცხადა, „კავკასიას“ და „იმედს“ ლიცენზირება შეუჩერა მოგონილი მიზეზებით. შეუზღუდა მაუწყებლობა „მაესტროს“ და აპირებდა დაეხურა „კავკასია“, და საზოგადოებრივი მაუწყებელიც! გზიდან ჩამოიშორა ყოფილი თანამებრძოლი ზურაბ ჟვანია და დანაშაულის დაფარვის მიზნით მისმა თანამზრახველებმა, სიცოცხლეს გამოასალმეს ლევან სამხარაული (რომელიც თითქოს მისმა კლასელმა 10 წლის წინანდელი წყენისთვის „მოკლა“ და „თავიც მოიკლა“), მისი ბრძანებით მოკლეს, გურამ შარაძე, ბადრი პატარკაციშვილი... მიშლენინმა ტურების ხროვის წევრები წააქეზა მოეწყოთ საჩვენებელი ნადირობა ახალგაზრდებზე და შემდეგ ისინი გამოეცხადებინად კრიმინალებად... ათეულობით უმოწყალოდ დახოცილი ბიჭების მშობლები სამართლიანობის ბრძოლას შეეწირნენ, გადარჩენილები დღესაც აგრძელებენ უთანასწორო ბრძოლას „დასავლელი“ მიშლენინის მფარველები კი „პირმშოს“ თავის „ამალით“ გააფრთებულები იცავენ და ახალ ხელისუფლებას დაუფარავად თითს უქნევენ... აშშ-ს ადმინისტრაციის მიერ „დემოკრატიის შუქურად“ აღიარებული ნეობოლშევიკი, „პატრონებმაც“ აღარ იციან როგორ „გაიტანონ“...

სახალხო დამცველის – სოზარ სუბარის 1300-გვერდიანმა ანგარიშმა 2007 წელს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის დარღვევების შესახებ, მიძინებული საელჩოები ვერ გამოაფხიზლა, დიპკორპუსს არ ესმოდა არც პოლიტიკური პარტიების, არც მედიის, არც ინტელიგენციის წარმომადგენლების.არც უდანაშაულო მრავალრიცხოვანი პატიმართა ბედით დაინტერესებულან...აღარაფერს ვამბობ აშშ ს ელჩის „გაპრავებულ“ 7 ნოემბერზე, რომელსაც 8აგვისტო, 26 მაისი და კიდევ მრავალი სისხლიანი კალო მოჰყვა თუმცა, მიშლენის დავალებით ჩადენილ მძიმე დანაშაულზე ყოველთვის დუმდა, საქართველოში აკრედიტებული ამერიკა-ევროპის დიპკორპუსი. სამაგიეროდ აშშ-ს ელჩმა ნოლანდმა თვალი მოჰკრა რა ზუგდიდში, „ნაცგასაჭირს“ უმალ იქ გაჩნდა, რათა ეხსნა ისინი განსაცდელისგან. ჰილარი კლინტონმაც არ დააყოვნა და ივანიშვილს დაურეკა, გაღიზიანებულმა – ეს, როგორ შეიძლებაო. მაგრამ არც მას და არც ერთ ევროპელ მაღალჩინოსანს სიტყვაც არ დაცდენია, 2011 წლის მაისის დარბევის დროს დაპატიმრებულთა გათავისუფლებაზე, ისე, როგორც უამრავ უკანონო თუ პოლიტპატიმრის გათავისუფლებაზე! არადა, რამდენი ადამიანი ყოფილა – სახელმწიფო „ღალატისთვის“, სახელმწიფო“ გადატრიალებისთვის“, „ჯაშუშობისთვის“ დაპატიმრებული, სად იპოვეს ასეთი დებილი გამომძიებლები „ცხელ კვალზე“ მაშინდელი ხელისუფლების პირველ პირებზე, რომ ვერ გავიდნენ, ეჰ, არც ლენინს და არც მიშას სამშობლო და მისი მომავალი არ აინტერესებდათ, რადგან ისინი მსოფლიო რევოლუციის ბელადებად მოევლინენ სამყაროს, უბრალო მოკვდავები არასწორედ აღვიქვამთ მათ!

კეზერა ზესამართლიანმა ევროპულმა სასამართლომ ლამის წმინდანად შელახა, მერე რა, რომ დღემდე არაერთმა „ბიზნესახეულმა“ ხმამაღლა დაიწყო საუბარი რომელ ევროპის თუ ისრაელის მაღალი კლასის სასტუმროებში ხდებოდა მასთან შეხვედრები და ვაჭრობა მიშლენის სახელით, არც ფარულად გადაღებული კადრები აინტერესებთ და არც სხვა სახის მტკიცებულებები, არც კერძო საკუთრების დაბრუნებას აპირებენ...დიახ, დასავლეთი დედამიწაზე დაბრუნებულ ლენინს ვერ გაამტყუნებს და თუნდაც დაიღუპოს მსოფლიო ჩვენს ქვეყანაში კოჰაბიტაცია უნდა გაიფურჩქნოს! ვფიქრობ, სანდრა რულოვსიც წინა ცხოვრებაში ლენინის მარჯვენა ხელი იქნებოდა, კრემლის გასაიდუმლოებულ იატაკქვეშეთის ლაბორატორიაში დაწყებული ექსპერიმენტები მიმდინარე „განსხეულებაში“ გააგრძელა და ორგანოებით ვაჭრობის შავი ბიზნესი „ააყვავა“. პატიმრების ორგანოების გაყიდვით დაიწყო და ცხელი წერტილე-

ბიდან დაჭრილი მებრძოლების „გაფატვრით“ გააგრძელა... რამოდენიმე დღის წინ, უკრაინული არხიდან ნაზად მოგვახსენა მიშლენი საქართველოს და უკრაინას გააერთიანებს და ააყვავებსო!

„ხმა ხალხისა და ხმა ერისა“ არ ესმით დასავლელ მიშლენინის „ხროვის“ მცველებს...აი რას წერს ნეობოლშევიკების მიერ დაზარალებული ბიზნესმენი მამია სანადირაძე – „...კავკაზუს ონლაინის“ კონკურენტი კომპანია იყო „სილქნეტი“, რომლის მეპატრონეც გახლავთ გიორგი რამიშვილი, მეტსახელად „ზარალა“. ის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მეტად დახლოებული პირი იყო. „ზარალა“ ხედავდა ჩვენი კომპანიის აღმასვლას და ჩვენ წინააღმდეგ აკძალული მეთოდებით ბრძოლა დაიწყო. ყოველდღიურად გვიზიანებდნენ აპარატურას, ჭრიდნენ ჩვენს კაბელებს, არ გვიშვებდნენ საკომუნიკაციო ჭებში, რომლებიც მხოლოდ მათ ჰქონდათ და ვალდებულნი იყვნენ, მოგვმსახურებოდნენ. ამ ყველაფერს „სილქნეტი“ და „ნაცმოძრაობა“ დუეტში აკეთებდა, მაგრამ მუშაობას მაინც განაგრძობდით.

ამ პატარ-პატარა ხრიკებით რომ ვერ გაგვანადგურეს, 2009 წლის შემოდგომაზე დაიწყეს ჩვენი კომპანიის კაბელების გადაჭრა თბილისის მასშტაბით. ხელში ჩაიგდეს ჩვენი ქსელის სქემა, რაც შს სამინისტროსა და მერიის საზედამხედველო სამსახურის დამსახურებაა – გიგი უგულავა, ივანე მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი... – ყველა ერთად გვებრძოდა.

- მოგვიანებით გადავუფორმე. რა მექნა? ლევან ყარამანიშვილი და მისი დამქაში ვითომ ბიზნესმენები ყოველდღე მემუქრებონენ, მაგინებდნენ, ლიკვიდაციითაც კი ცდილობდნენ ჩემს შეშინებას. კრიმინალურმა ბანდამ – სააკაშვილმა, ადეიშვილმა, მერაბიშვილმა და სხვებმა, ბიზნესმენთა გატყავებითა და მათი საცვლების ამარა დატოვებით მილიონები ჩაიჯიბეს. დღეს ამბობენ, სააკაშვილის 8 მილიარდის ოდენობის ქონება მოიპარაო, ვანო მერაბიშვილმა – 4 მილიარდისო და ა. შ. მათ მიერ ნაწამებ და მოკლულ ადამიანებზე აღარაფერს ვამბობ.

ეს ყაჩაღები, რომლებიც ქართველი ხალხის ცრემლსა და სისხლზე აღზევდნენ, დღეს ისევ ხელშეუხებლად ბოგინობენ, კვლავ გამოუძიებელია მათი საქმეები. ჩემი საქმე, წელიწად-ნახევარია, პროკურატურაში დევს მთელი რიგი მტკიცებულებებითა და ჩანაწერებით, მაგრამ რა აზრი აქვს? იმ ხნის განმავლობაში, რაც მემუქრებოდნენ, ფარული ჩანაწერები ვაწარმოე და პროკურატურაში მივიტანე. მოისმინეს გამომძიებლებმა და ერთხმად თქვეს, სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ხელყოფაა ქონებისო, მაგრამ ხელი არ გაუნძრევიათ...“ ზემოთ დასახელებულ ბანდას ამრავი ადამიანები ყავთ გაძარცულ გაუბედურებული, თუმცა ევროპული სასამართლო და დასავლელი „კოლმერნეობის თავმჯდომარეები“ ისეთი მოჯადოებული, რომ ვერაფერს ხედავენ და არაფრის ჯერათ!

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, 2004 წლის

იანვარში საქართველოს ახლადარჩეული ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა გადაწყვიტეს ხელში ჩაეგდოთ „ომეგა ჯგუფის“ კუთვნილი ტელეკომპანია „იბერია ტვ“-ს სამაუწყებლო ლიცენზია, რათა ტელევიზია ხელისუფლების მიერ ყოფილიყო კონტროლირებადი. ამ მიზნით, შემუშავებულ იქნა დანაშაულებრივი გეგმა, რომლის განხორციელებაც საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა და მისმა მოადგილემ გიორგი ლაცაბიძემ ითავეს. საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს და მის მოადგილეს გიორგი ლაცაბიძეს ბრალდება წარედგინათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ზურაბ ადეიშვილს და ივანე მერაბიშვილს ბრალი წარედგინათ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, 2004 წელს ჩადენილი სისტემური დანაშაულისთვის, მიმართული მოქალაქეებისათვის ქონების იძულებით ჩამოსართმევად, რომელშიც ერთობლივად და წინასწარ შეთანხმებული სქემით მონაწილეობდა იმჟამინდელი სამართალდამცავი ორგანოები და ეროვნული ბანკი, რის შედეგადაც დაზარალებულებს თეიმურაზ მეგრელიშვილს და ნოდარ მოდებაძეს იძულებით ჩამოართვეს თელავში მდებარე აკურას ღვინის ქარხანა. უამრავი ადამიანის უდანაშაულოდ ციხეში გამომწყვდევის დიდოსტატები ცალი კალოშით წლების წინ დედაქალაქს, რომ სტუმრობდნენ ასეულ მილიონობით ქონება დააგროვეს უდანაშაულო ადამიანების დაყაჩაღების და გაუბედურების ხარჯზე, დღეს კი ისინი დაუსჯელად დასეირნობენ და უსინდისოდ აცხადებენ, რომ თავს დამნაშავედ არ გრძნობენ! მიშლენის ხროვის ყოფილი წევრების აღიარებაც ვერ უხელთ თვალს დასავლელ „დამცველებს“. აი რა განაცხადა რამდენიმე დღის წინ სასამართლოზე დავით კეზერაშვილის ყოფილმა მოადგილემ მამუკა მუჯირმა „სენტა პეტროლიუმის“ საქმესთან დაკავშირებით. მისი ჩვენება სრულად აღწერს იმ სქემას, რომლითაც 2004-2012 წლებში ქონების წართმევა, ბიზნესმენების დაჭერა და მათთვის თავისუფლების სანაცვლოდ ფულის გამოძალვა ხდებოდა – „იმ პერიოდში საქართველოში რაც ხდებოდა, სულ იყო მმართველი გუნდის 3-4 ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ისინი წყვეტდნენ ნებისმიერი ადამიანის ბედს. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი იყო დათო კეზერაშვილი. კეზერაშვილის ნათქვამი ავტომატურად ნიშნავდა ადეიშვილის ნათქვამსაც და მერაბიშვილის ნათქვამსაც. რას ქვია იტყოდა დაგიჭერო და არ შეასრულებდნენ მერაბიშვილი, ან ადეიშვილი?!

ჩემი თვალით ვარ შემსწრე, ჩემი მუშაობის პერიოდში, ყოველ საღამოს მიდიოდა კეზერაშვილი ადეიშვილთან და იქ იყო კრება. ან ყოველ საღამოს ამასთან იკრიბებოდნენ ხოლმე უგულავა, ადეიშვილი, მერაბიშვილი. ძალიან ბევრჯერ. მაგ შეხვედრებზე კაბინეტში ერთი-

ორჯერ ვარ შესული, როდესაც ერთად იყვნენ შეკრებილები. ეს იმდენად ხშირი იყო, ცხადია, დაუკითხავად არ შევდიოდი. ინტენსიობა საკმაოდ ხშირი იყო.“ ვფიქრობ, მიშლენის დამცველებს და „შამქმნელებს“ ისღა დარჩენიათ მასთან ერთად მოიხარშონ კუპრით მოთუხთუხე ქვაბში. მათი შეშფოთება და აღშფოთება მხოლოდ ღიმილისმომგვრელია. საუკუნეში ორჯერ განსხეულებული მიშლენისგან ვერც ზეადამიანი და ვერც მსოფლიო რევოლუციის ბელადი „გამოჩორკნეს“, ამიტომ დროა „პროექტის ჩავარდნა“ აღიარონ და ისტორიის ქარტეხილში ჩაიკარგონ...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

5 წლის შემდეგ საქართველოში C ჰეპატიტის არცერთი ახალი შემთხვევა აღარ უნდა იყოს – თენგიზ ცერცვაძე

სასტუმრო რედისონში C ჰეპატიტის აღმოფხვრის პროგრამის, მკურნალობისა და მართვის საკითხებზე სიმპოზიუმი მიმდინარეობს. ღონისძიებაზე სპეციალისტები ერთი წლის შედეგებს აჯამებენ და C ჰეპატიტის მკურნალობის ახალ მიდგომებზე მსჯელობენ. როგორც ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის გენერალურმა დირექტორმა თენგიზ ცერცვაძემ განაცხადა, საქართველო C ჰეპატიტის აღმოსაფხვრელად პირველ სამოდელო ქვეყნად შეირჩა და ეს მსოფლიოში ინოვაციური პროგრამაა. ცერცვაძის თქმით, 5 წლის შემდეგ საქართველოში C ჰეპატიტის არც ერთი ახალი შემთხვევა აღარ უნდა დაფიქსირდეს.

„ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა ამ პროგრამას და იმას, თუ რატომ იყო ამისთვის საქართველო შერჩეული, მაგრამ ამისათვის ობიექტური და სერიოზული მიზეზები არსებობდა. ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრმა და კომპანიამ „გილიადი” გადაწყვიტეს მრავალმილიონიანი ინვესტიციის საქართველოში განხორციელება“, - აღნიშნა თენგიზ ცერცვაძემ.

სიმპოზიუმი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ გახსნა. სერგეენკოს თქმით, პროგრამაში ჩართვისათვის კრიტერიუმები მოიხსნა და უფრო მეტ ადამიანს აქვს მკურნალობის მიღების შესაძლებლობა.

„მართლაც ბრწყინვალე შედეგებია, რომელსაც საერთაშორისო პარტნიორები ადასტურებენ, რაც გამოიხატა იმაში, რომ უკვე 11 000-მდე ადამიანია ჩართული ამ მკურნალობაში, მეორე მხრივ, მოიხსნა ჩართულობის კრიტერიუმები და ბევრად მეტ პაციენტს შეუძლია მიიღოს ეს მკურნალობა და რა თქმა უნდა, საჭირო არის ხარისხის კონტროლი და ექსპერტების უფრო მეტი ჩართულობა“, - განაცხადა დავით სერგეენკომ.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პროგრამის პირველი ფაზის ფარგლებში 27 000 ადამიანი დარეგისტრირდა, საიდანაც 9 000-ს მკურნალობა უკვე ჩაუტარდა.

ბელგიაში ტერაქტის დაგეგმვაში 12 ეჭვმიტანილი პირი დააკავეს

დაკავებულები ტერაქტების დაგეგმვაში არიან ეჭვმიტანილი.

BBC-ს ინფორმაციით, პოლიცია სამძებრო სამუშაოებს ბრიუსელის 16 მუნიციპალიტეტში აწარმოებდა.

ბელგიის ფედერალური პროკურორის განცხადებით, ოპერაციის დროს არც იარაღი და არც ასაფეთქებელი მოწყობილობები ნაპოვნი არ იყო.

გავრცელებული ცნობით, ბელგიის პოლიციამ, 10 დღის წინ მიიღო შეტყობინება, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკები სირიიდან ევროპაში გაემგზავრნენ. პოლიციისვე ინფორმაციით, ისინი თურქეთის ტერიტორიიდან ნავებით საბერძნეთში მოხვედრას ცდილობენ.

შეგახსენებთ, რომ ბელგიის დედაქალაქში, 22 მარტს, საერთაშორისო აეროპორტსა და მეტროპოლიტენში ძლიერი აფეთქება მოხდა. ტერაქტის შედეგად 32 ადამიანი დაიღუპა, 250 ადამიანზე მეტმა სხვადასხვა სახის ჭრილობა მიიღო. მომხდარზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა დაჯგუფებამ „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო.

თბილისის პარკებსა და ბაღებში გამწვანების სამუშაოები სრულდება

თბილისში პარკებისა და ბაღების გამწვანების საგაზაფხულო სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა. სხვადასხვა ჯიშის, 40 მარადმწვანე ხე ირგვება 9 აპრილის ბაღში, ვაკის პარკში, დედა ენის ბაღსა და ვერის ბაღში. სამუშაოები თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, მერის მოადგილე გიორგი ლილუაშვილთან, მერიისა და „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

აქციის ფარგლებში, „თბილსერვის ჯგუფი“ 12 (სამმეტრიანი) ესპანურ სოჭს, 8 (ორმეტრიანი) ფორმირებულ ბზასა და 20 (ერთმეტრიანი) უთხოვარას ჯიშის ხეს რგავს.

„თბილისის სკვერებსა და პარკებში სრულდება საგაზაფხულო გამწვანების სამუშაოები. დღეს ვატარებთ მონიტორინგს, იმისათვის, რომ ვნახოთ, რა გაკეთდა. მინდა აღვნიშნო, რომ დედაქალაქის ყველა ძირითადი სკვერი და პარკი განახლებული და გამწვანებულია. ჩვენს თანამოქალაქეებს აქვთ მოწესრიგებული გარემო დასვენებისა და გართობისათვის“, - განაცხადა დავით ნარმანიამ.

აღნიშნულ ტერიტორიებზე, პირველ ეტაპზე, დაირგო ხეები და დეკორატიული ბუჩქები, მოეწყო საყვავილე თარგები, ახალი სარწყავი სისტემა და მწვანე გაზონი, დაიწყო შადრევნების რეაბილიტაცია.

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით, „თბილსერვის ჯგუფი” “9 აპრილის სახელობის ბაღის”, “დედა ენის ბაღის”, “დიღმის ტყე-პარკის”, “ვასო გოძიაშვილის სახელობის ბაღის”, “მზიურის პარკის”, “რიყის პარკის”, “თბილისის ზღვის პარკის”, “ვაკის პარკის”, “ვერის ბაღისა” და “ვეტერანთა ბაღის” მოვლა-პატრონობას 2016 წლის მაისიდან ახორციელებს.

თამაზ ტეტუნაშვილი, სოსო მანჯავიძე

საქართველოს ლოკალური გეოპოლიტიკა

საქართველოს ლოკალური გეოპოლიტიკა ეფუძნება გლობალური გეოპოლიტიკის კანონზომიერებებსა და პრინციპებს; მის გეოპოლიტიკურ მდებარეობას მსოფლიო რუკაზე; მის გეოგრაფიას, ისტორიას, კულტურას და, საერთოდ, საქართველოს და ქართველი ერის ყველა მნიშვნელოვან მახასიათებელს

კავკასიის პალეოგეოგრაფია

კავკასიის ტერიტორია შედის დედამიწის ერთ-ერთ ტექტონიკურ მოძრავ ზონაში, რომელმაც წარსულში არაერთხელ განიცადა ფიზიკურ-გეოგრაფიული გარდაქმნა. ასეთ გარდაქმნებს იწვევდა მთის წარმოქმნის პროცესები და კლიმატური ცვლილებები, რაც დაკავშირებული იყო პოლუსის გადაადგილებასთან და მზის რადიაციის რხევებთან. ამის გამო მნიშვნელოვნად იცვლებოდა ხმელეთისა და წყლის განაწილება, რელიეფი და ჰიდროგრაფიული ქსელი და აქედან გამომდინარე, ორგანული (ფლორა და ფაუნა) ევოლუციით. ასეთი ცვლილებები კავკასიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა უძველესი გეოლოგიური დროიდან, მაგრამ მისი დღევანდელი ფიზიკურ-გეოგრაფიული სახის ჩამოყალიბების პროცესი იწყება კაინოზოური ერის პალეოგენური პერიოდის ბოლოს, ოლიგოცენურ ეპოქაში, 23-28 მილიონი წლის წინ.

ამ პერიოდში დიდი კავკასიონის ქედი წარმოადგენდა წაგრძელებულ კუნძულს, რომელსაც ჩრდილოეთიდან მაიკოპის ზღვა ეკვროდა (გაერთიანებული იყო დღევანდელი შავი და კასპიის ზღვები), ხოლო სამხრეთიდან, მცირე კავკასიის ხმელეთიდან, გამოყოფილი იყო სამხრეთ კავკასიის სრუტით, მრავალი დიდი თუ პატარა კუნძულებით და ყურეებით. სრუტე დასავლეთიდან ორ ტოტად იწყებოდა (კუნძული ყოფდა, რომლიდანაც ერთი მდინარე რიონის შესართავთან მდებარეობდა) და მთავრდებოდა აღმოსავლეთით მდინარე მტკვრის შესართავთან. რა მიმართულებითაც სრუტე თანდათან ფართოვდებოდა და მაქსიმუმს აღწევდა. იმ დროს მცირე კავკასია უფრო მაღალი იყო, ვიდრე დიდი კავკასია. ამავე პერიოდში სამხრეთ კავკასია (ჩრდილოეთ კავკასია, როგორც ხმელეთი, მაშინ არ არსებობდა) წარმოადგენდა კლიმატის თვალსაზრისით ტროპიკული ზონის ნაწილს. ეს იყო უტყეო სივრცე.

შემდგომში, ნეოგენური პერიოდის მიოცენური ეპოქის ბოლოს, 5-7 მილიონი წლის წინ, სამხრეთ კავკასიამ მიიღო ერთიანი ხმელეთის სახე, დღევანდელი შავი და კასპიის ზღვების მხრიდან ღრმა ყურეებით.



რომლის დროსაც დიდი კავკასიონის ქედი კუნძულიდან იქცა ნახევარკუნძულად, რომელსაც ჩრდილოეთიდან ეკრა სარმატიის ზღვა (დღევანდელი ჩრდილოეთ კავკასიის მთის წინა და ბარი). ამ პერიოდში დღევანდელი შავი ზღვის ნაპირი, ყურის სახით, ლამის ქუთაისამდე მოდიოდა, ხოლო სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთის მხრიდან დღევანდელი კასპიის ზღვის ნაპირი, მინგეჩაურამდე ქმნიდა ყურეს. მკვეთრად გაიზარდა დიდი კავკასიონის ქედის სიმაღლე. კლიმატი დარჩა ტროპიკული, მაგრამ აღმოსავლეთით და სამხრეთით კლიმატი იყო მშრალი, ხოლო დასავლეთით — ნესტიანი. შესაბამისად, დასავლეთით, ფლორა იყო ტყიანი, ხოლო აღმოსავლეთით უფრო სტეპიანი.

პლიოცენის პერიოდის შუა და ბოლო მონაკვეთებში, 1,8-3,6 მილიონი წლის წინ სარმატიის ზღვა გაიყო კუალნიცკის (შავი) და აგჩაგლინსკის (კასპის) ზღვებად. ამ პერიოდისათვის ჩამოყალიბება დაიწყო ჩრდილო კავკასიის მთისწინეთმა და ბარმა, რომელიც გრძელდებოდა დღევანდელი მდინარე თერგის შესართავამდე. მტკვრის ყურე ლამის თბილისამდე მოდიოდა. მაშინდელი კლიმატი და ფლორა, დაახლოებით, დღევანდელის მსგავსი იყო. ამ პერიოდის ბოლოდან იწყება ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი[1].

კავკასიის (საქართველოს) გეოპოლიტიკური მდებარეობა

კავკასია გეოპოლიტიკური მსოფლიო კუნძულის (ევრაზია+აფრიკა) ცენტრში, გზაჯვარედინზე და ევროპისა და აზიის საზღვარზე მდებარეობს. საქართველო არის ევროპისა და აზიის საზღვრის ყველაზე სამხრეთი მონაკვეთი, ყველაზე ახლო მყოფი აფრიკასთან, ანუ წარმოადგენს მსოფლიო კუნძულის ცენტრს — "ჭიპს" (ანალოგიური მდებარეობა აქვს ქალაქებს შორის კონსტანტინეპოლს).

კავკასიის საზღვრები, ასევე მისი ევროპისათვის ან აზიისათვის მიკუთვნება დღესაც საკამათოა, განიხილავენ რამდენიმე ვარიანტს:

პალეოგეოგრაფიაზე დაყრდნობით, ევროპისა და აზიის საზღვარი გადის ყუმა-მანიჩის ღრმულის გასწვრივ, რომელიც როგორც ზევით იყო აღნიშნული, გეოლოგიურ წარსულში შავ და კასპიის ზღვებს აერთებდა. (ყუმა-მანიჩის ღრმულზე გადის კავკასიის ჩრდილოეთი საზღვარი). ამ მოსაზრებით, კავკასია მთლიანად აზიაშია მოქცეული;

კავკასიის გეოგრაფიაზე დაყრდნობით, ევროპისა და აზიის საზღვარი გადის კავკასიონის ქედზე. ამ მოსაზრებით, ჩრდილოეთ კავკასია მოქცეულია ევროპაში, ხოლო სამხრეთ კავკასია (მათ შორის საქართველო) აზიაში;

ანტიკური ხანის ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს მოსაზრებაზე დაყრდნობით, ევროპისა და აზიის საზღვარი გადის სამხრეთ კავკასიის (საქართველოს) შუაში, სადაც საზღვრებს ქმნიან მდინარეები მტკვარი და რიონი (ანუ ემთხვევა პალეოგენურ პერიოდში არსებულ სამხრეთ კავკასიის სრუტეს). ამ მოსაზრებით, სამხრეთ კავკასიის (საქართველოს) მდინარეების რიონის და მტკვრის ჩრდილოეთი ნაწილი ჩრდილო კავკასიასთან ერთად მოქცეულია ევროპაში, ხოლო სამხრეთი ნაწილი აზიაში;

კავკასიის ბუნებრივ გარემოზე დაყრდნობით, ევროპისა და აზიის საზღვარი გადის ისე, რომ ჯავახეთისა და სომხეთის ვულკანური ზეგნები განეკუთვნებიან აზიას, ხოლო პონტოს ქედის ჩრდილოეთი, შავი ზღვისკენ მიქცეული დატენიანებული ფერდობები (ფაქტობრივად, ლაზეთი) და ელბურსის ქედის ჩრდილოეთი, კასპიის ზღვისკენ მიქცეული დატენიანებული ფერდობები (ირანის კასპიის ზღვის ნაპირი) განეკუთვნებიან ევროპას, ანუ საქართველო და აზერბაიჯანი (არა ირანის აზერბაიჯანი), ჩრდილო კავკასიასთან ერთად, მოქცეულია ევროპაში, ხოლო სომხეთი — აზიაში;

კავკასიის ამჟამინდელ პოლიტიკურ ვითარებაზე დაყრდნობით, ევროპისა და აზიის საზღვარი გადის სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების, თურქეთთან და ირანთან არსებულ საზღვრებზე. ასეთი მიდგომით თითქმის მთელი კავკასია ევროპას მიეკუთვნება.

თვითონ კავკასიის საზღვრებში ამჟამად განიხილავენ: ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდან რუსეთის ფედერაციაში შემავალ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებს, სტავროპოლის და კრასნოდარის მხარეებს. (მაგრამ თუ კავკასიის ჩრდილოეთ საზღვრად მიჩნეულია ყუმა-მანიჩის ღრმული, მაშინ კავკასიის ტერიტორიაში შემოდის როსტოვის ოლქის ტერიტორიის სამხრეთი ნაწილი და ყალმუხეთის რესპუბლიკის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთის მცირე ნაწილი); სამხრეთ კავკასიის მხრიდან სამ სახელმწიფოს საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს; ასევე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის მიწებს (ძირითადად, ყოფილ ქართულ პროვინციებს ტაო-კლარჯეთს და აღმოსავლეთ ლაზეთს) და ირანის ჩრდილო-დასავლეთის მიწებს (ძირითადად, სამხრეთ აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ზოლს და კასპიის ზღვის სამხრეთის სანაპიროს დასავლეთ ნაწილს).

რთული დასადგენია კავკასიის სამხრეთი საზღვარი. რადგან სამხრეთ კავკასიის თითოეულ სახელმწიფოს აქვს თავისი ისტორიული ტერიტორიის სამხრეთის გაგრძელება და საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე, რომლებიც უდაოდ გადიან კავკასიის სამხრეთი ნაწილის გეოგრაფიული გააზრების საზღვრებიდან.და ეს ეხება სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს. გეოგრაფიულ გააზრებაში ჩვენ ვგულისხმობთ შავ და კასპიის ზღვებს შორის მოქცეული კავკასიის სამხრეთის ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მოქცეულია ამ ორი ზღვის უკიდურესი სამხრეთის წერტილების შემაერთებელი ხაზის (გეოგრაფიული ან ბუნებრივი საზღვარი არ არსებობს) ჩრდილოეთით, მაგრამ არ შედის სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებში. ეს ტერიტორიაა ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთი (საქართველოს და სომხეთის ისტორიული ნაწილი, ამჟამინდელი თურქეთის ტერიტორია) და მდინარე არაქსისა და მდინარე კარასუს შეერთების ადგილთან მიმდებარე ტერიტორია (ამჟამინდელი ირანის აზერბაიჯანის ტერიტორია).

ამჟამად არსებული ჩრდილოეთ კავკასიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობიდან და სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს პოლიტიკური საზღვრებიდან გამომდინარე, კავკასიის ტერიტორია შეადგენს 462, 0 ათას კმ² (აქედან,

1 1999 წელს არქეოლოგებმა დმანისის ნაქალაქარში აღმოაჩინეს ადამიანის შორეული წინაპრის ქალის და მამაკაცის თავის ქალა (შემდგომში კიდევ რამდენიმე), რომელთა ასაკი დაახლოებით 1,7-1,8 მილიონი წლით თარიღდება. ამ აღმოჩენით დამტკიცდა, რომ ადამიანის წინაპარი წარმოშობის კერიდან, აფრიკიდან, განსახლდა და დაიკავა ახალი საცხოვრებელი ადგილი სამხრეთ კავკასიაში, ხოლო შემდეგ გადავიდა ევროპასა და აზიაში.

ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორია შეადგენს 276, 0 ათას კმ2-ს, ხოლო სამხრეთ კავკასიის ტერიტორია 186,0 ათას კმ²-ს). თუმცა გეოგრაფიული კავკასიის ფართობი 500,0 ათას კმ2-ს გადააჭარბებს.

საქართველოს ლოკალური გეოპოლიტიკის საფუძვლები

ქართველი ტომების განსახლების არეალი ყოველთვის იყო სამხრეთ კავკასიის ცენტრალური, დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი (მცირედ ჩრდილო კავკასიის პირიქითა ფერდობებიც). შემდგომში ქართული სახელმწიფოების ჩამოყალიბება და განვითარება ჩვენ წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის ბოლოდან დაწყებული, ყოველთვის ხდებოდა ამ არეალში, დაახლოებით, 135,0 ათასი კმ²-ის ფარგლებში. გარდა ქართულ-კავკასიური სახელმწიფოებრიობის პერიოდებისა.

საქართველოს სახელმწიფო (სახელმწიფოები, სამთავროები) მდებარეობდა და მდებარეობს იმ ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს გზაჯვარედინს – დიდ სახელმწიფოთა ინტერესს; განსხვავებულ ცივილიზაციათა, რელიგიათა და რასათა გადაკვეთის ადგილს. შესაბამისად, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველოს როგორც დამოუკიდებელ (ან ნაწილობრივ დამოკიდებულ) სახელმწიფოს შეეძლო ეარსება დროის იმ მონაკვეთებში, როცა სამხრეთ კავკასიაში გაბატონების მოსურნე ძლიერ სახელმწიფოებს შორის გარკვეულ ძალთა წონასწორობა არსებობდა. წონასწორობის მკვეთრი დარღვევა, რომელიმე დიდი სახელმწიფოს სასარგებლოდ, ნიშნავდა ჩვენი სახელმწიფოს ან მისი ნაწილის "ჩაყლაპვას" (გარდა საქართველოს ძლიერების ხანისა). ქვემოთ განვიხილავთ საქართველოს სახელმწიფოს ლოკალური გეოპოლიტიკის საფუძვლებს.

კ. გამსახურდიას ნაწერებში ოდესღაც ამოვიკითხეთ მისი მოსაზრება საქართველოს გეოგრაფიულ კონფიგურაციაზე, სადაც საქართველოს ტერიტორიას ის ადარებს გველეშაპს, რომელიც ცდილობს გადაყლაპოს შავი ზღვა, მაგრამ ვერ ახერხებს. ამ მოვლენაზე ჩვენი წინა თაობის ერთ ჭკვიან კაცს ასეთი მოსაზრება ქონდა, რომ საქართველოს ლოკალური გეოპოლიტიკური აუცილებლობაა, ფუნდამენტალურად "დამაგრდეს" თავის კუთვნილ ისტორიულ ტერიტორიაზე. მით უმეტეს, რომ მას ამის საშუალებას აძლევს "შემოფარგლული ბუნებრივი საზღვრები" (პ. ინგოროყვა).

როდესაც დავიწყეთ ამ საკითხის გეოპოლიტიკური თვალთახედვით შესწავლა ისტორიის სხვადასხვა პერიოდში და მომავლის თვალსაწიერში, აღმოჩნდა, რომ ორივეს ძალზე სწორი მიდგომა ჰქონდა ამ საკითხზე. ერთმა მხატვრულად აღიქვა საქართველოს სახელმწიფოს და ქართველი ერის განსახლების სწრაფვა, მეორემ კი გეოპოლიტიკური საჭიროება მოუძებნა ამ მოვლენას.

საქართველო რომ "დამაგრდეს" თავის კუთვნილ ისტორიულ ტერიტორიაზე, ამ გეოპოლიტიკურად ურთულეს რეგიონში, ამისათვის საჭიროა განახორციელოს ორი სტრატეგია.

პირველი – აკონტროლოს და აფართოოს სამხრეთ კავკასიის ცენტრალური რეგიონი და მეორე, უშუალოდ ისწრაფოდეს შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთით ("ჩრდილოეთის ყბა") და სამხრეთ-დასავლეთით ("სამხრეთის ყბა") გავლენის სახღვრების განვრცობისათვის. ეს კარგად ესმოდათ ჩვენს მეფეებს და მთავრებს და როგორც კი საშუალება მიეცემოდათ, მუდმივად ცდილობდნენ ამის განხორციელებას.

ანალოგიური მიმართულებით იღვწოდა ქართული მართლმადიდებული ეკლესია, თავისი გავლენის არეალის გაზრდისთვის. საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ ქართული მართლმადიდებული ეკლესია მუდამ იყო საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის დვრიტა. სახელმწიფოებად და სამთავროებად დაშლის შემდეგაც საქართველო მაინც ერთიანი იყო სარწმუნოებრივი ცენტრალიზაციის თვალსაზრისით (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა). ამასთან, მისი სამწყსოს (ეპარქიების) საზღვრები ხშირად აღემატებოდა პოლიტიკურ საზღვრებს.

შესაბამისად, ადრეც, ახლაც და მომავალშიც საქართველოს სახელმწიფოსათვის საჭიროა თავისი ძალისხმევის ვექტორები მიმართული ჰქონდეს ზემოთ მინიშნებული მიმართულებებით.

შედარებით მეორეხარისხოვან, მაგრამ საჭირო ძალისხმევის ვექტორად მიგვაჩნია ტაოკლარჯეთისკენ მიმართულება.

რადგან საქართველო ერთი დიდი ხეობაა განფენილი კავკასიის ქედსა და სამხრეთ მთიანეთს შორის, მისი სახელმწიფოს ტერიტორიის ძირითადი ღერძი გადის ამ დიდი ერთიანი ხეობის ძირში, სამხრეთ კავკასიის ცენტრის მდ. მტკვრის არეალიდან, მდ. რიონის შავ ზღვასთან შესართავამდე. ანუ თბილისი-ფოთის ხაზი, რომელიც ემთხვევა პალეოგენურ პერიოდში არსებულ სამხრეთ კავკასიის სრუტეს.

(გაგრძელება იქნება)

თითოეულმა ქართველმა ხელები უნდა დავიკაპიწოთ და ქვეყანას ვუშველოთ!

ჩუღურეთის რაიონი ერთ-ერთი უძველესი რაიონია თბილისში, რომელიც დღეისათვის, ფაქტობრივად, დანგრეულია. ამასთან დაკავშირებით წერილი გამოვაქვეყნე ერთ გაზეთში. დღევანდელ მაჟორიტარ დეპუტატს, როგორც ჩანს, ეს წერილი საერთოდაც არ წაუკითხავს ან თუ წაიკითხა, თვითონ უნდა დაგვხმარებოდა იმ საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც ამ წერილშია მოცემული.

რაც მე ამ რაიონში ვცხოვრობ, რჩეულიშვილიდან ვიქტორ დოლიძის ჩათვლით ერთ-ერთი გამონათება ამ კუთხით იყო აწ განსვენებული ზეზვა ღუღუნიშვილი, რომელიც პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე იყო. ათეულობით ადამიანი გადაარჩინა მისმა მოქმედებამ. მინდა, ეს ადამიანი კეთილად მოვიხსენიო, რადგან არა მხოლოდ ამ რაიონში, არამედ სამტრედიის რაიონში მცხოვრები ადამიანი გადაარჩინა სიკვდილს. როდესაც ამ საკითხზე მიმიღო თავის კაბინეტში, იმწამსვე გაგვზავნა გოჩა ინგოროყვას ნეიროქირურგიულ საავადმყოფოში, რომელიც მაშინ რესპუბლიკური საავადმყოფოს მე-8 სართულზე მდებარეობდა. ხსოვნა და არდავიწყება ყოფილიყოს ამ სულნათელი ადამიანის.

ძველის გახსენება კარგია, მაგრამ დღევანდელ დღეზე მინდა ვისაუბრო. ჩუღურეთის რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრებისას თავიანთ მხარდამჭერებს იხმობენ, სხვას არც აგებინებენ. ზუსტ დროს ვერ მოგახსენებთ, ჩუღურეთის რაიონში, „ვარდების ბაღში“ შეკრებილი იყვნენ საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, რამინა (რიმა) ბერაძე, გამგებელი ზურაბ ჩიკვილაძე, მერი დავით ნარმანია. გამომსვლელები წინასწარ შერჩეული. მე როდესაც გადავეცი ქალბატონ რამინას (რიმა) წერილობით თხოვნა გამოსვლისათვის, მან შეკრებილებს განუცხადა, დარბაზიდან არავინ ითხოვს სიტყვით გამოსვლასო. ამის შემდეგ თავისიანებს მაინც მისცა საკმაოდ სასაუბრო წუთები, ლექსებიც კი წაიკითხეს. ამის შემდეგ რიმა ბერაძეს ცრუ მჟორიტარი დავარქვი. რადგან, ვინც იცის, რომ სიმართლეს ეტყვის, იმას არ აძლევს სიტყვას.

აი, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტყუილი ფიროსმანის ქუჩის განაშენიანებასთან დაკავშირებით. რამინა ბერაძე ჩინეთში მოგზაურობის შემდეგ ჩამოვიდა და ხალხს განუცხადა, სახლებს დავანგრევთ და ჩინელები ააშენებენო. არ მოვიდა ის ნოემბერი, როდესაც ამ სახლებს დაანგრევდნენ და ახლებს ააშენებდნენ.

ჩვენი ყოფილი საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილიც დაჰპირდა ხალხს, საბურთალოზე „ხრუშჩოვკებს“ დავანგრევო და ახლებს ავაშენებთო. ამ ხალხის ჯერ არც დანგრეული მინახავს და არც აშენებული. ასე ცრუობენ ზოგიერთი ჩვენი მოქმედი და ყოფილი დეპუტატები.

გონს მოვიდეთ და ერთად ავირჩიოთ არა მატყუარა, ცრუ ადამიანები, არამედ კეთილსინდისიერი და შუბლის ძარღვგაუწყვეტელი დეპუტატები, რომლებიც ხალხთან ერთად გადაარჩენენ საქართველოს.

მე მინდა ჩემი მცირედი წერილი ჩვენი სასიქადულო მხატვრის მოსე თოიძის ნახატის „დედა სამშობლო გვაძახის“ მცირე შეცვლილი სახით წარმოგიდგინოთ: „დედა საქართველო გვეძახის“. ჩვენ, თითოეულმა ადამიანმა, ხელები უნდა დავიკაპიწოთ და საქართველო გადავარჩინოთ მატყუარა პოლიტიკოსებისგან!!!

პატივისცემით
რევაზ ფახურიძე
599 908 986

ლადო ბედუკაძე:

საფრთხე რეალურია! არ დავუშვებ ქვეყანაში ფაშიზმის ნებისმიერი ფორმით ხელახალ გამოვლინებას !

გვესაუბრება პარტია „ცენტრისტების“ ერთ-ერთი ლიდერი, ციხის სკანდალური კადრების ავტორი **ლადო ბედუკაძე.**

— ბატონო ლადო, რატომ მაინცადამაინც ცენტრისტები? თუმცა ამ პარტიის აქტიურობა არ გვინახავს, თქვენ ბრძანეთ, რომ ეს პარტია, თურმე, წლებია არსებობს. რა ნიშნით გამოარჩიეთ, ანუ თქვენთვის მისაღები რა აქვს ამ პარტია „ცენტრისტებს“?

— არც „ქართული ოცნების“ და არც რომელიმე პარტიის წევრი არ ვყოფილვარ. დღემდე ჩემი ნებისმიერი ქმედება, განცხადება, მხოლოდ იმ ადამიანის მოსაზრება გახლდათ, ვინც თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოს ფაშიზმისგან გათავისუფლების საქმეში.

თუმცა, დღეს, როცა ეს საფრთხე კვლავ არსებობს, არ შემეძლო არ დავთანხმებოდი პარტია „ცენტრისტების“ თავმჯდომარის ბატონ **თემურ ხაჩიშვილის** წინადადებას, გავწევრიანებულიყავი საქართველოს „ცენტრისტულ“ პარტიაში და ერთად აგვეცილებინა ახალი ფაშისტური საფრთხე თავიდან — სააკაშვილის სხვადასხვა ნიღაბ მორგებული პარტიებისგან!

საფრთხე რეალურია!

არ დავუშვებ ქვეყანაში ფაშიზმის ნებისმიერი ფორმით ხელახალ გამოვლინებას !

მოვუწოდებ ყველას, ვისაც სტკივა ეს ქვეყანა, ქართველებს, არაქართველებს, მართლმადიდებლებს, მუსულმანებს, სხვა რელიგიის წარმომადგენლებს: მოდით ჩვენთან, ერთად დავამარცხოთ მტერი, რომელიც ძალიან ახლოსაა!

გავერთიანდეთ საბრძოლველად, დროა დავბრუნდეთ ოცნებიდან რეალობაში!

მოგიწოდებთ ყველას მობრძანდით პარტიის ოფისში, ჩვენ წერილობით შემოგთავაზებთ „ხელშეკრულებას ამომრჩეველთან“, ჩამოთვლილი პუნქტებით და დაპირების შესრულების ვადებით, რომლის შეუსრულობის შემთხვევაში ვკისრულობთ, როგორც პოლიტიკურ, ისე იურიდიულ პასუხისმგებლობას.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ბუდაპეშტის 42, ტელ: 790 20 22 26

— რატომ მიგაჩნიათ, რომ ხალხის ნდობას მოიპოვებს პარტია, საკუთარი ავტორიტეტის იმედი გაქვთ?

— არანაირად არ ვაკნინებ ბატონი ივანიშვილს ღვაწლს. მისი როლი განუზომელია ახალი ქართული რეალობის შექმნასა და ქვეყნის ფაშიზმისგან გათავისუფლების საქმეში. კიდევ ერთხელ მადლობა მას ამისთვის, მაგრამ დაწყებული ბრძოლა, რაშიც ჩემი მცირე წვლილიცაა, ბოლომდეა მისაყვანი.

ბრძოლა, რომელიც კოაბიტაციის ქარიშხალმა მიანავლა. ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე!

პარტიის განსხვავება საქართველოში მოქმედი ასეულობით პარტიისგან მისი მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიაა: რუსეთთან და არა ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობა და მჭიდრო ეკონომიკურ- პოლიტიკური კავშირის დამყარება, ვიმეორებ, ეს მოგვცემს საშუალებას უმოკლეს ვადაში გადავჭრათ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემა — აღვადგინოთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

— მართალია, საზოგადოებას მართლაც ყელში ამოუვიდა ე.წ. პროდასავლური აგიტაცია-პროპაგანდა.

— თავისი არსებობის მანძილზე საქართველო ბევრჯერ მდგარა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე.

ქართველი მეფეების გამჭრიახი პოლიტიკა ერთმანეთისგან გაერჩიათ ჟამი სიჩუმის და ჟამი ხმაურის, ჟამი ქვების შეგროვებისა და ჟამი ქვების სროლისა, როცა საჭირო იყო ებრძოლათ, ეომათ, მაგრამ არ შეეწირათ ქართული გენი ზვარაკად მტრისთვის, მოგვიყვანა დღევანდელ რეალობამდე.

აფხაზეთში ქართული სისხლი შევარდნაძის, ხოლო სამხრეთ ოსეთში საკაშვილის კისერზეა!

მრავალი იმპერია დაცემულა, აღგვილა პირისაგან მიწის, სწორედ ქართველი მეფეების- გიორგი ბრწყინვალის, ერეკლე მეორის თუ სხვათა გონივრულმა პოლიტიკამ იხსნა საქართველო საბოლოო გაქრობისგან.

დღესაც დიდი განსაცდელის წინაშე ვდგავართ.

დღეს, საქართველოს რეალურ თავისუფლებამდე ძალიან შორს ვართ.

საოცრად უჭირს ეკონომიკური თვალსაზრისით ადამიანებს, გამრავლების ნაცვლად საქართველოს მოსახლეობის მეოთხედი ემიგრაციაშია, სიკვდილიანობა სჭარბობს შობადობას, ქართული გენი კატასტროფის წინაშე დგას.

ისტორია მეორდება.

ისევე როგორც, მე-18 საუკუნის დასასრულს,როდესაც მეფე ერეკლემ იხსნა ქვეყანა საბოლოო გაქრობისგან, დღეს საქართველო, რეალურად, გეოპოლიტიკური საფრთხის წინაშე დგას. თუმცა მთავარი განსხვავება ხილულ და უხილავ მტერშია.

ადრე ხილული მტერი თუ ხმლით ცდილობდა ჩვენს დაპყრობას, დღეს იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური ომია და ამაში ისევ შინაური, არასამთავრობო სექტორად წოდებული, საქართველოს ფარგლებს გარედან დაფინანსებული აგენტურა, რეალურად კი სპეცსამსახურები თუ კერძო „დამუკიდებელი“ მედიის, „რუსთავი 2“-ის, ნეონაცისტური პროპაგანდა აქტიურობს.

ვკვდებით და ვნადგურდებით როგორც ერი. ხელისუფლება სხვადასხვა „მიღწევების“ ფარატინა ქაღალდის ფრიალის ნაცვლად, დემოგრაფიულ სტატისტიკას უნდა ტიროდეს!

დიახ, უნდა ტიროდეს ხელისუფალი, რომელსაც ერი თვალსა და ხელს შუა უკვდება!

მართლმადიდებელი ადამიანი დაცინვის ობიექტი გახდა...

საქართველო ბევრჯერ ყოფილა ოკუპირებული — ოსმალეთის თუ ბიზანტიის იმპერიების მიერ, ბევრ მეზობელ თუ არამეზობელ სახელმწიფოსთან გვქონია ომი, დღესაც ბევრი მეზობელი სახელმწიფოს დღევანდელ საზღვრებშია საქართველოს ძირძველი მიწები...

მაშინ რა ქენათ, ვეძახოთ ყველას ოკუპანტი, ჩავიკეტოთ და თვითიზოლაცია გამოვაცხადოთ როგორც ერმა?

— როგორ ფიქრობთ, რუსეთს სურს ჩვენნაირი ქვეყანა, ახლა, უხეშად რომ ვთქვათ, აიკიდოს?

— რუსეთის ინტერესშია მისი სამხრეთ საზღვრების გამაგრება, რასაც ძლიერი და ერთიანი საქართველო სჭირდება, აკიდება აქ არაფერ შუაშია.

რუსეთშია იმიგრირებული საქართველოს მოსახლეობის მეოთხედი, რომელიც ღვთის ანაბარაა მიტოვებული.

ამ ხალხს ელემენტარული ყურადღება და მშობლიურ მხარეში დაბრუნება სჭირდება.

საერთო ქართულ-რუსული ეკონომიკური სივრცე, უვიზო რეჟიმი, საერთო საზღვრის დაცვის ღონისძიებების გატარება ტერორიზმის საშინელი ფონზე მოგვცემს უმოკლეს ვადაში ქვეყნის განვითარების, გამთლიანების და აღორძინების პერსპექტივას.

ქართველ გლეხს უნდა გაეხსნას რუსული ბაზარი, გლეხი არ უნდა იყოს ხელისუფლების შემჭყურე. რუსეთის ფედერაციის როლი, ქართველების, აფხაზების, ოსების კვლავ ერთიან სახელმწიფოში ცხოვრებისათვის განუზომელია. ვინც რუსეთის როლს ეწინააღმდეგება, ჩემი აზრით, ის ქვეყნის მტერია და მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის ირჯება.

— რა გარანტიები გაქვთ, რომ რუსეთის მაღალ პოლიტიკურ პირებს შეხვდებით და საქართველოსთვის რაიმე სასიკეთოს გააკეთებთ?

— პოლიტიკური მოღვაწეობისათვის საჭირო ლეგიტიმაციას საზოგადოება არჩევნების გზით ანიჭებს ამა თუ იმ პარტიას.

ვიმეორებ, ერთადერთი ჩვენი პარტია ემხრობა რუსეთთან მჭიდრო სამხედრო პარტნიორობას, ევრაზიულ კავშირში ინტეგრაციას, სავიზრო რეჟიმის გაუქმებას, ყველა იმ სიკეთის მიღებას, რაც ქმედებებით მიიღწევა.

საერთოდ, ჩემი და ჩემი პარტიის პოზიციაა საზოგადოებას ვესაუბროთ ჩვენი დაპირებების, ქვეყნის ხსნის ჩვენი გეგმის და არა სხვა პოლიტიკური პარტიების საქმიანობის მონიტორინგის, მათი პოლიტიკური დაპირებების, თუ ამა თუ იმ ქვეყანაში ვიზიტების შესახებ.

არ ვაპირებთ ჩასაფრებულის პოზიციიდან დაილოგს და მათ შეცდომებზე ქილიკს.

ნაწილი პარტიებისა ბედავს და საუბრობს დიალოგის აუცილებლობაზე რუსეთთან. პარტიის ლიდერს ბატონ თემურ ხაჩიშვილს რუსეთთან დიალოგის გზა უკვე გავლილი აქვს.

დავიწყოთ იმით, რომ ბატონი ხაჩიშვილი 1992-1993 წლებში აფხაზეთის ომის დროს გახლდათ შევარდნაძის სპეციალური წარმომადგენელი სამთავრობო დონეზე ქართულ -რუსული მოლაპარაკებების პროცესში და უშუალო კონფიდენციალურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსულ მხარესთან.

რუსული მენტალიტეტი ისე არავინ იცის, როგორც ხაჩიშვილმა.

ჯერ კიდევ იმ წლებიდან არსებობდა ფორმულა: უარი გვეთქვა საქართველოს უაზრო სწრაფვაზე ევრო-ატლანიკური უსასრულობისკენ და ამ შემთხვევაში, რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის გარანტი იქნებოდა.

თუმცა შევარდნაძის და შემდგომ საკაშვილის გამყიდველური პოლიტიკის წყალობით, საქართველომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დროებით დაკარგა. ქართველებს, აფხაზებს, ოსებს, რუსებს შორის კი სისხლიანი ნისლი ჩამოდგა.

რუსეთს რომ სურდეს, აფხაზეთსაც და ე.წ. სამხრეთ ოსეთსაც ერთ საათში მიიერთებდა. თუმცა ის ქართული სახელმწიფოს ლიდერების კეთილგონიერების მოლოდინშია.

თუ მართლა სურთ, დაუთმონ ეს მისია ჩვენს პარტიას და ნახავენ შედეგს.

— რუსულ პენსიაზე ბრძანეთ. აგვიხსენით, რას ნიშნავს ყველა პენსიონერს რუსული პენსია ეძლება. რუსეთი რატომ მისცემს ჩვენს პენსიონერებს პენსიას? იცით თუ არა, რომ რუსეთში ეკონომიკური კრიზისია?

— რა სისულელეა! რუსეთი დღეს რომ ძლიერია, ისე არასდროს.

დიდხანს მოგვიწევს ლოდინი მისი „ჩამოშლის“ შემდეგ როდის დაგვიბრუნებენ ხონჩით ჩვენი ამერიკელი პარტნიორები აფხაზეთს და ოსეთს.

მაგრამ მათ აფხაზეთი და ოსეთი სულ არ ადარდებთ.

მათი ერთადერთი მიზანი საქართველოს პოლიგონად ქცევაა რუსეთთან საომრად.

რაც შეეხება პენსიას.

პირობითად, რუსული პენსია, ასე ჰქვია იმ დახმარებას, ინვესტიციას თითოეულ ქართულ ოჯახში, რასაც რუსეთის სახელმწიფო, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე იჩენს საკუთარი ყოფილი მოქალაქეებისადმი.

ასეთივე პენსიას ღებულობენ — აფხაზეთში, ოსეთში, სომხეთში და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ისრაელშიც.

გამეხარდება, თუ რომელიმე პროდასავლური პარტია გერმანულ ან ფრანგულ ვარინტს შემოგვთავაზებს.

— პარტიას წინასაარჩევნოდ და საერთოდ, მოქმედებისთვის, ფული სჭირდება, მართალია დაფინანსების წყაროებს, ალბათ, არ გაგვიმხელთ, მაგრამ გვაინტერესებს რას ფიქრობთ ამ თემაზე.

— გაგიმხელთ, რატომაც არა. ჩვენნაირ იდეოლოგიაზე დამყარებულ პარტიას უმნიშვნელო ფინანსები სჭირდება, რაც პარტიის ოფისის შენახვისა და გადაადგილებისთვის საჭირო აუცილებელ თანხებს გულისხმობს.

თუმცა აქაც საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერების იმედი გვაქვს.

არსებობს პარტიის ანგარიში, ყველა მსურველს შეუძლია მცირეოდენი შემოწირულობით დაეხმაროს ამ თამამ და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საქმის წამოწყებას.

— რომ შემოგთავაზონ რომელიმე გაერთიანებაში თუ შეხვალთ? კოალიციას ვგულისხმობ პოლიტპარტიებთან.

— მე ვერ ვხედავ ამ ეტაპზე ქართულ პოლიტიკაში ასეთი თამამი განცხადებებით და პროგრამით მოღვაწე რომელიმე პარტიას, ამიტომაც გაერთიანებზე ჯერ პალარაკი არ არის.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ორშაბათს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში თემურ ჭკუასელის ახალი წიგნის „როცა სარკეები აღარ ილიმებიან“ პრეზენტაცია გაიმართა. გთავაზობთ ორ მოთხრობას მწერლის ახალი კრებულიდან

ფლამინგო

სამხრეთ საფრანგეთი. არლი. ვან-გოგის გამაოგნებელი „მზესუმზირების“ ქალაქი. ესპანეთის საზღვართანაა იგი ახლოს და როგორც ხშირად ხდება ხოლმე საზღვრისპირა ქალაქებში, ორ ენაზე საუბარი გვესმის ყველგან. ფრანგუ ლი, რომელიც მუდმივად გაკვირვებული ადამიანის საუბრად გვეჩვენება და ესპანური, წისქვილის ღარში გადაგდებული წყლის ხმაურს რომ გვაგონებს.

აი, ამ ქალაქის ძველი ბაზილიკის საკურთხეველთან ვიდექით ცხრა ქართველი. ვიდექით, ტანზე -– შავი ჩოხებით, ფეხზე – შემოსალტული უძიროებით, წელზე – ხანჯლებით და დოღისთვის გამზადებული ულაყებივით გვიცმუკავდა სიმღერის მოლოდინით დაბერილი ხორხები.

ორი ერთმანეთისთვის უცნობი სამყარო – ცხრა უცნაურ სამოსიანი, გაუგებარი ქვეყნიდან ჩამოსული მამაკაცის საკურთხეველთან და მათთვის უცნობი გემოვნების მქონე უცხო ხალხით სავსე გრძელი ბაზილიკა. ჩამოცხა. დარბაზიდან ოთხი ესპანელის ცნობისმოყვარე თვალებიც შემოგვცქეროდა თურმე.

ოთხი ესპანელი ვირტუოზი – პედრო, პაკო, ხორხე და მშვენიერი კარმენი. ორი მეგიტარე და ორიც მომღერალი, „ფლამინგოს“ ცნობილი სტილი. მათი გიტარის ხმოვანებაც და მათი ნამღერიც ხან ფლამენგოს საქორწინო როკვასავით მოქნილი იყო, ხან ფლამენგოსავით ფარფატა, როცა ეს გრაციოზული ფრინველი თავთხელზე ეშვება, ხან ფლამენგოს ფრთებივით ლაღი, ძლიერი და გაშლილი, როცა იგი თავმომწონე მომღერალივით ისედაც უზომოდ გრძელ კისერს კიდევ უფრო წაიგრძელებს და შორეული გადაფრენისთვის ემზადება და ხან კიდევ დაჭრილ ფლამენგოსავით სევდის მომგვრელი და აცახცახებული.

ესპანელები ჩვენს ნამღერს უცნაურად შეაფასებენ, მაგრამ ეს ყველაფერი მერე მოხდება, კონცერტის შემდეგ. მათ ნამღერსაც მერე, მეორე დღეს მოვისმენთ.

მანამდე კი საათნახევარი ტანჯვის სიამოვნება გველის, 26-ჯერ უნდა მიატოვოს მშვილდის საბელივით მოჭიმული ჩვენი სხეული გულმა და სცენაზე გააგრძელოს ფეთქვა, 26-ჯერ უნდა ვახსენოთ წინაპრები, 26 სიმღერა უნდა ვთქვათ.

„გულო, ჩადექ საგულესა, გულო, ჩადექ საგულესა, გულო ჩადექ საგულესა“...

ვღელავთ.

დავიწყეთ!

როგორც იქნა დაგვადგა საშველი.

სიტყვებთან ლაციცი

სიტყვა საგნის ან ცნების სახელია მხოლოდ, მაგრამ როგორც ყველაფერი ამქვეყნად, ცუდი პატრონის ხელში, ისიც მალე ცვდება. მიყვარს სიტყვებთან ლაციცი. ლაციცი, ფერება და ჩხრეკა ქართული სიტყვებისა. როცა ჩამოვუჯდები და ვეთამაშები, ჩემ თვალწინ ცოცხლდებიან და ჟღურტულებენ. ადამიანებს ჰგვანან, ზოგი კეთილი და ლამაზია, მაგალითად, „დღესასწაული“,

„ცისარტყელა“, ზოგიც შეუხედავი და შემაშინებელი, მაგალითად, „ღლავი“, „მუხანათი“, ზოგი გიბღვერს და ზოგი შემოგცინის. სიტყვებმა ერთმანეთთან შუღლიც იციან და საოცარი მეგობრობაც. თუ დამეგობრდებიან, განუყრელად ერთად არიან.

ერთს თვალი მოჰკარი სადმე? მეორეც იქვე



იქნება მიმალული. მაგალითად, თუ „გამარჯობა“ დაინახე, დარწმუნებული იყავი, „გაგიმარჯოსაც“ მალე იხილავ, აბა! ასეთი მეგობრობა იციან, მაგრამ თუ ერთმანეთს გადაემტერნენ, ერთურთის ჩაქოლვასა და მოსპობას კი არ ცდილობენ, უბრალოდ, გაიბუტებიან, შორი-შორს გადასახლდებიან და ერიდებიან შემთხვევით შეხვედრებს. მაგალითად, „სიხარულს“ „სევდა“ არ უყვარს და პირიქით, მაგრამ ორივემ იცის, როგორ სჭირდებიან სამშობლოს. რომელ სამშობლოსო, იკითხავთ... არ იცით? სიტყვების სამშობლო ჩვენი ენაა, ქართული ენა. ასე რომ, თუ კარგად დავფიქრდებით, ზემოთ ნათქვამი, სიტყვები ადამიანებს ჰგვანან-მეთქი, არ უნდა იყოს მთლად ზუსტი, მათ მეგობრობაც უკეთესი იციან, მტრობაც უფრო ლმობიერი აქვთ და სამშობლოსაც ჩვენზე მეტად უფრთხილდებიან. ნამდვილად ღირს მათი მიბაძვა.

სხვათა შორის, სიტყვებმა არა მარტო მეგობრობა, შეუღლებაც კი იციან. მოეწონებათ ერთმანეთი, შეუღლდებიან და მალე პირმშოც უჩნდებათ. ახალგაჩენილ პირმშოს კი, თქვენ წარმოიდგინეთ, უფრო ზუსტად ესადაგება ადამიანთათვის გამოგონილი ერთი ცნობილი გამოთქმა: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო.“ თუ ორივე მშობელი კეთილსიტყვაობით იწონებს თავს, შვილიც ასეთივე ეზრდებათ, თუ მშობელი სიტყვიდან, ერთი მაინც უკეთურია, შვილიც მას ემსგავსება. თუმცა, როგორც ჩვენს ცხოვრებაში, გამონაკლისები იქაც გვხვდება. მაგალითად, „შური“ უზნეო ხასიათითაა ცნობილი, „ძიება“ კი მუდამ საქმიანი და მოფუსფუსეა, მაგრამ ხომ გვიდგება ხანდახან ჟამი, როცა ყველაფერი გვავიწყდება მათი მემკვიდრის გარდა, ნახეთ, როგორ ზარივით რეკს: „შურისძიება“! „შურისძიება“! „შურისძიება“!

ისე, ყველა სიტყვას ჩვენსავით ორი მშობელი როდი ჰყავს. შესაძლებელია ზოგს ერთი ჰყავდეს და ზოგს სულაც სამი. თუ „წყალობას“ ერთი მშობელი ჰყავს, – „წყალი“, ხოლო „წისქვილს“ „წყალთან“ ერთად „ფქვილიც“ ეფერება...

რეზო ამაშუკელი - 80

ჩვენ, ქართველებს, ჩვენი ჭირ-ვარამიანი და მაინც გმირული ისტორიის მანძილზე, თუ რამ გვქონდა სულის მოსაბრუნებელი და მანუგეშებელი, - ეს იყო და არის ჩვენი პოეზია: - უფლისა და სამშობლოს სიყვარულით, მაღალი სულიერებით დამუხტული ქართული ლექსი.

ბედნიერებაა, რომ ჩვენი პოეზიის მადლი სხვებმაც იგრძნეს და რომ უცხოელი, თანაც დიდი პოეტური კულტურის მქონე ქვეყნის შვილი აღტაცებით იტყვის: - ღმერთს საქართველო იმისთვის შეუქმნია, რომ პოეზიას სამშობლო ჰქონოდაო. ეს აღფრთოვანებული სიტყვები რეზო ამაშუკელის ლექსებმა ათქმევინა ფრანგ მწერალს. ჩვენი დროის დიდი პოეტი, ბატონი რეზო ამაშუკელი ოთხმოცი წლისაა და კვლავ შემართებით, გულში ჩამწვდომი ლექსებით ეთაყვანება სამშობლოს, ვაჟკაცობას, პატიოსნებას. დიდხანს სიცოცხლეს და მისთვის ჩვეულ დაუღალავ მოღვაწეობას ვუსურვებ დიდებულ პოეტს, დავლოცავ მის დიდ ოჯახთან ერთად და მოკრძალებული ლექსით შევეხმიანები:

რეზო ამაშუკელს - 27 ივნისს

შენ „ძმისგანცა უფრო ძმესი“ ხარ
და სულზე მუდამ მზის ნათელს ივლებ,
სდარაჯობ მამულს ვით მეციხოვნე,
ლექსით ამხნევებ მამულიშვილებს!

მე შენი ძმობის სულ მახსოვს მადლი -
იმ სიჭაბუკის დღეები ბადრი,
როგორ უყვარდი ძმადნაფიცს შენსას
და ის „ხსოვნები“ მამხნევებს დღესაც...

მინდა გაჩუქო თეთრი ვარდები
თურმე თეთრ ვარდებს უძღვნიან დები
ღვთაებრივ მგოსნებს, - ვისი მადლითაც,
მჯერა, - არასდროს გადავშენდებით!

თამარ ჯავახიშვილი-ამირეჯიბი
21.06.2016

„საერთო გაზეთის“ რედაქცია დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავს დიდ ქართველ პოეტს ბატონ რეზო ამაშუკელს დაბადების 80 წლის იუბილეს და უსურვებს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

რისკის ზონა

● ბიორაგი – „ნარკომანი“ მიწის მკურნალი ● მუსიკა – უნივერსალური თერაპევტი

„საერთო გაზეთი“ აგრძელებს საუბარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორთან, პროფესორ **რამაზ გახოკიძესთან**. ამჯერად, ბატონი რამაზი მის მთავარ გამოგონებაზე – „ბიორაგზე“ და ასევე, მუსიკალური კოდის გაშიფვრაზე გვესაუბრა, რამაც მას ახალი თაობის რეგულატორების – „ბიოენერგოაქტივატორების“ შექმნის საშუალება მისცა:

– კაცობრიობის საკვებით უზრუნველყოფა უპირველესი პრობლემაა. ამჟამად, მსოფლიოში ერთ მილიარდზე მეტი ადამიანი შიმშილობს. ყოველწლიურად, შიმშილისგან, 10 მილიონი ადამიანი იღუპება, ხოლო 100 მილიონი სიკვდილის პირასაა მისული. გასული საუკუნის 70-იანი წლების მწვანე რევოლუციამ სამწუხაროდ, შიმშილის პრობლემა მხოლოდ დროებით მოხსნა. მწვანე რევოლუციამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ფართოდ გავრცელებას, აგრო-ქიმიკატებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გლობალიზაციას და დაჰყრობას ამერიკული კომპანიების მიერ. მან კაცობრიობას ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის კუთხით ახალი პრობლემები შეუქმნა. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებას ჯერ კიდევ ვერ გაუცნობიერებია მიწათმოქმედების გადაჭარბებული ქიმიზაციის საშიშროება. მრავალპროდუქტიულ სავარგულზე ზრუნვა უპირველესად, ბიოსფეროს გაუმჯობესებაზე ზრუნვაა. შხამქიმიკატებისა და სასუქების ხელაღებით გამოყენებამ ნიადაგის ნაყოფიერება შესამჩნევად შეამცირა, გააუარესა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თვისებები. შხამქიმიკატებს ცალკეულ კომპანიათა ხანმოკლე მოგებისა და ადამიანთა ჯანმრთელობის გაუარესების ხარჯზე იყენებენ. სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია დღეს პროდუქციის მაღალი ხარისხისა და მისი უვნებლობის გარანტიას არ იძლევა.

– ბატონო რამაზ, პესტიციდები სოფლის მეურნეობაში აქტიურად გამოიყენება. მათ უსაფრთხოებაზე რას გვეტყვით?

– მოგახსენებთ. უნდა აღინიშნოს, რომ ჰაერში, წყალსა თუ საკვებში არსებულ ქიმიურ ნივთიერებებს შორის ყველაზე მავნე პესტიციდებია. იგი ლათინურად მავნებელთა მკვლელს ნიშნავს. მსოფლიო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ადამიანისათვის უვნებელი პესტიციდი არ არსებობს. მათი ყოველწლიური წარმოება ხუთ მილიონ ტონას აღწევს. პესტიციდების 90% მიზანს ვერ აღწევს, გარემოში იფანტება და ჩამდინარე წყლებით წყალსატევებში ხვდება. არსებულ პესტიციდებს მცენარეთა და ცხოველთა პრაზიტების ექვსასი სახეობა შეეგუა. ამიტომ, მათ წინააღმდეგ საბრძოლველად სულ უფრო და უფრო ძლიერ შხამებს იყენებენ. ასევე, ნიტრატების – აზოტიან სასუქთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით, ადგილი აქვს ცხოველთა დაავადებისა და დაღუპვის ფაქტებს. გერმანიაში ისპანახით მასობრივი სასიკვდილო მოწამვლის მიზეზი აზოტიანი სასუქები აღმოჩნდა.

– საქართველოში თუ მოიხმარენ აზოტიან სასუქებს?

– რა თქმა უნდა, მოიხმარენ. მცენარეს რომელზეც ახლა მოგახსენეთ უნარი აქვს ნიტრატი (სასუქი) ადვილად გარდაქმნას ნიტრიტად – ადამიანისათვის საშიშ შხამად. ცალკეულ კულტურათა წრებრუნვაში არც თუ ისე იშვიათად ირღვევა სასუქების დოზა და გამოყენების აგრონომიული ტექნოლოგია. ამ დროს სასუქები – ცოცხალი ბუნების მეგობრები და თანაშემწენი მის მტრებად იქცევიან. მაგალითად, აზოტიანი სასუქების გადაჭარბებული ხმარება კარტოფილში სახამებლის შემცველობას ამცირებს, აუარესებს მის კვებით თვისებებს. ასეთი ბოლქვები ადვილად ზიანდება სხვადასხვა დაავადებით, ცუდად ინახება. ჭარბი აზოტი საკვებს ცხოველებისათვის სრულიად უვარგისს ხდის. უნდა აღინიშნოს, რომ მიწათმოქმედების გადაჭარბებულმა ქიმიზაციამ მიწა ნარკომანი გახადა. მას ქიმიკატების გარეშე არსებობა არ შეუძლია. ეს კი მართლაც საშინელებაა.

– გამოსავალი რა არის?

– შეწყდეს სასუქებისა და პესტიციდების გამოყენება და სოფლის მეურნეობის ძველ მეთოდებს დავუბრუნდეთ. ეს კი პრობლემის გადაჭრის ყველაზე ცუდი ვარიანტია. მაშ, სად არის გამოსავალი?

– კითხულობთ თქვენ – პრიორიტეტი დაცვის ბიოლოგიურ საშუალებებს უნდა დავუთმოთ. ჩვენს ნიადაგებზე „ქიმიური იერიში“ დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს.

– მაგრამ ხშირად ისმის შეკითხვა, თუ უარს ვიტყვით პესტიციდებზე, მაშინ რა ეშველება სასოფლო-სამეურნეო წარმოებას?

– აშშ და იაპონია ხომ ადვილად წყვეტს „უქიმიო“ ჯანმრთელი საკვების პრობლემას და პროდუქტებიც უხვად აქვთ. დღეს, ქიმიის გამოყენების შეზღუდვით, სოფლის მეურნეობა ასევე წარმატებით ვითარდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის „ჩამორჩენილ“ ქვეყნებში და ჩინეთში, აღარაფერს ვამბობ ფინეთზე, შვეიცარიაზე, ნორვეგიაზე და ა.შ. განსაკუთრებით საგულისხმოა ინდოეთის მაგალითი. ამ ქვეყანამ მსოფლიო ბაზარზე თავისი მარცვლეული გაიტანა და 50-იან წლებთან შედარებით მისი წლიური შემოსავალი საგრძნობლად გაზარდა. ჰოლანდიამ, პრაქტიკულად, შეწყვიტა ადამიანისათვის მავნე პესტიციდების გამოყენება. ამის მიუხედავად, ამ ქვეყანაში მიწაზე მომუშავე ერთი სპეციალისტი 112 ადამიანს კვებავს.

– ბატონო რამაზ, მრავალწლიანი ფუნდამენტური კვლევის საფუძველზე თქვენ გამოავლინეთ ახალი თაობის რეგულატორები – ბიოენერგოაქტივატორები, რას გვეტყვით ამის შესახებ?

– ბიოენერგოაქტივატორები ბიოლოგიურად სუფთა და მაღალი ხარისხის უხვი მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა და მსოფლიოში ანალოგი არ აქვს, რაც დღეს ერთ-ერთი უსერიოზულესი პრობლემაა კაცობრიობის გადასარჩენად. ბიოენერგოაქტივატორების ერთ-ერთი წარმომადგენელია „ბიორაგი“, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას. მან ათეული წლების მანძილზე როგორც ჩვენთან ისე უცხოეთში გაიარა ტოქსიკურ-ეკოლოგიური ექსპერტიზა და სამეურნეო გამოცდები. დადგენილია მისი სრული უვნებლობა. უფრო მეტიც, გამოვლენილია მისი მაღალი ანტიმუტაგენური აქტივობა და პროფილაქტიკურ-სამკურნალო თვისებები, რის გამოც რეკომენდებულია როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მედიცინასა და კვების მრეწველობაში გამოსაყენებლად. აღსანიშნავია, რომ ათი წლის მანძილზე, „ბიორაგის“ გამოყენებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მიღებულია ხორბლის მოსავლიანობა 1,8-2ტ/ჰა-ს ნაცვლად 9-12ტ/ჰა, სიმინდის – 3ტ/ჰა-ს ნაცვლად 14-16ტ/ჰა, შაქრის ჭარხლის – 145ტ/ჰა 40ტ/ჰა-ს ნაცვლად და ა.შ. თითო ძირ ქართულ პომიდორზე მიღებულია 25-30კგ ნაყოფი 2-4კგ-ს ნაცვლად, ხოლო თითო ძირ საპიკულე კიტრზე 45-50კგ, ნაცვლად 4-6კგ-ისა. მნიშვნელოვნად იზრდება მცენარეთა მწვანე მასაც, რაც ვიტამინების, პროტეინისა და ნახშირწყლების მაღალი შემცველობის გამო საუკეთესო საკვებს წარმოადგენს მეცხოველეობაში. „ბიორაგის“ გამოყენებით მნიშვნელოვნად იზრდება მოსავლის ხარისხობრივი მაჩვენებლები. მაგალითად, სიმინდის მარცვალში იზრდება შეუცვლელი ამინმჟავა ლიზინი 80%-ით, უმნიშვნელოვანესი მიკროელემენტი იოდი – 960%-ით, სელენი – 200%-ით. კარტოფილში ც ვიტამინის შემცველობა იზრდება 52%-ით, ქართულ ხორბალში წებოგვარას შემცველობა, რომელიც პურცხობის ხარისხის მაჩვენებელია, 25%-დან 43,2%-მდე გაიზარდა, მზესუმზირას ზეთიანობა იზრდება 50%-ით, შაქრის ჭარხლის შაქრიანობა აღწევს 21%-ს. „ბიორაგი“ ხელს უწყობს დაფესვიანებას, რის გამოც გამოიყენება მრავალწლიან მცენარეთა ვეგეტატიური გზით გასამრავლებლად. ბატონი რამაზის მიერ დამუშავებული ახალი აგრობიოტექნოლოგიით, როგორც ბევრი გამოჩენილი მეცნიერი თვლის, ახალ მწვანე რევოლუციას უნდა დაედოს საფუძველი.

– ბატონო რამაზ, მეცნიერების აზრით, „ბიორაგმა“ ახალ მოძრაობას „ბიოორგანულ მწვანე რევოლუციას“ უნდა დაუდოს საფუძველი. რა განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევა ბიორაგი?

– „ბიორაგით“ შესაძლებელია: მარცვლოვანი, ბოსტნეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გაზრდა, 2-3ჯერ და მეტჯერ; მრავალწლოვან კულტურათა კალმების სწრაფად დაფესვიანება და ნაყოფმსხმოიარობის რამდენიმე წლით დაჩქარება; მეწლეობის თავიდან აცილება; მოსავლის ხარისხობრივი მაჩვენებლის მკვეთრი ამაღლება; სასუქების გამოყენების ოპტიმიზაცია; ჰიბრიდული მცენარეების მოსავლიანობის და ხარისხის გაზრდა; გარემოდან საკვებ ნივთიერებათა შეთვისების გაძლიერება; დაავადებებისადმი მცენარეთა მდგრადობის ამაღლება; ყინვა და გვალვაგამძლეობის ამაღლება; ბიოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღება პესტიციდების გამოთიშვით; სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების მქონე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღება; ბავშვთა კვებისათვის აუცილებელი მაღალი ხარისხის პროდუქტების მიღება; შაქრის დამგროვებელ კულტურებში შაქრიანობის მნიშვნელოვანი გაზრდა, რაც, დააკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებებს როგორც კვების პროდუქტებზე, ისე ბიოსაწვავის წარმოებაზე.



– ბატონო რამაზ, თქვენ

დიდი კომპოზიტორის ალექსანდრე ბოროდინისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის ავტორი ბრძანდებით. დიდ მუსიკაში დიდი ქიმიიდან მოხვედით. შეძელით ქიმიის მუსიკისთვის დაკავშირება და მუსიკალური კოდიც კი გამოიკვლიეთ, რაში მდგომარეობს მისი პრინციპი?

– რაც შეეხება ქიმისაა და მუსიკის კავშირს, გეტყვით თუ როგორ მეხმარება მუსიკა ჩემს აღმოჩენებში. სწორედ მუსიკალურმა ხედვამ მომცა იმპულსი სერიოზულ დასკვნამდე მივსულიყავი. აინშტაინი წერდა, მუსიკა და მეცნიერება ერთნაირ აზროვნებას მოითხოვსო და ეს ნამდვილად ასეა. ახლა, აგიხსნით ჩემს მიერ გამოკვლეული მუსიკალური კოდის პრინციპს: ადამიანისა და ყველა ცოცხალი არსების ორგანიზმი ცილებისგან შედგება, ცილა კი პატარა „აგურებისგან“ – ამინომჟავებისგან. ეს ამინომჟავები ისეა დალაგებული, როგორც ბგერები მელოდიაში, რასაც საფუძვლად „შვიდობის“ პრინციპი უდევს – შვიდი დღე, შვიდი ფერი, შვიდი პლანეტა, შვიდი ბგერა – დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი. როცა ამ პრობლემაზე მუშაობა დავიწყე, მაშინ კომპიუტერული ტექნიკა ასე განვითარებული არ იყო როგორც დღესაა. ამინომჟავების განლაგება მუსიკალურ ბგერებს მივუსადაგე და გამოვიდა ნაწარმოები – „ფუგა“. ანუ, როცა გავშიფრე მსხვილი, რქოსანი საქონლის ცილის ფრაგმენტი და როცა ის სანოტო სისტემაში გადავიყვანე, ბახის „ფუგა“ მივიღე – ზუსტად ისე აჟღერდა. წარმოგიდგენიათ, რა საოცრებაა?! ამიტომაც არის გენიალური ბახი, ბეთხოვენი, რუსთაველი, დანტე და ა.შ. ე.ი. ყოველ ინდივიდს თავისი შესაბამისი მელოდია გააჩნია, რაც მასში თავიდანვეა ჩადებული. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს სიცოცხლის ღვთაებრივ წარმოშობაზე და შეიძლება უმცირესმა ცვლილებებმა დისონანასი გამოიწვიოს და ნორმალური ცილა „დაავადდეს“. დღეს, როცა მედიცინის პრობლემა ნაადრევი დიაგნოსტიკაა, კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით შესაძლებელია ბიოლოგიური არსების მელოდიის ჩაწერა, რაც ორგანიზმის მდგომარეობის ადრეულ დიაგნოსტიკაში დაგვეხმარება.

– გამოდის, ადამიანზე, ბგერებითა და სიტყვებით ზემოქმედებაა შესაძლებელი?

– რა თქმა უნდა. წყევლას ან ლოცვას ხომ აქვს ძალა? – ქართველმა კაცმა ამ ფენომენის შესახებ დიდი ხნის წინ იცოდა. ჩვენში, „ბატონების“ განსაკურნავად, წარმართული დროის სამკურნალო სიმღერები არსებობს. საოცარი რამ ხდება – ავადმყოფობა მართლაც იკურნება. აღმოვაჩინე მუსიკალური კოდის პრინციპი. როგორც მოგახსენეთ, ყველა არსებას, ყველა ადამიანს საკუთარი მელოდია აქვს, რომლის მიხედვით ადამიანის ხასიათის, მისი ბედის დადგენაა შესაძლებელი. როგორც არ უნდა დამალოთ თქვენი განწყობილება, მელოდიაში ყველაფერი ჩანს. შინაგანი მელოდიის მიხედვით შესანიშნავად შეიძლება პარტნიორის, ცხოვრების თანამგზავრის პოვნა და რაც მთავარია, მრავალ დაავადებათა უადრესი დიაგნოსტიკა. ისეთი მემკვიდრული დაავადება როგორიც კიბოა, საკმაოდ გვიან იჩენს თავს. რა არის კიბო? – როცა გენეტიკური კოდის ინფორმაცია იცვლება და ამინომჟავების, ანუ მუსიკალური ბგერების თანმიმდევრობა ირღვევა. თავიდან ეს ცვლილება არ ჩანს, ადამიანი ჯანმრთელია, მის ბიოქიმიურ ანალიზში ცვლილება არ არის, ამ დროს კი უჯრედი იშლება. როცა საქმე ექიმამდე მიდის, მკურნალობა უკვე დაგვიანებულია, რადგან მთელი ბიოლოგიური სტრუქტურა დანგრეულია. მუსიკალური კოდის გამოკვლევით, კომპიუტერი მაშინვე აჩვენებს რომელი ბგერაა შეცვლილი და მკურნალობაც მაშინვე შეიძლება. ამაზე ჩემს ბევრ კოლეგას ეცინებოდა. ყველას გვახსოვს ფილმი „უდიპლომო სასიძო“, სადაც ვეტექიმი ნიკოლოზი ღორებსა და ხბორებს მუსიკით ზრდის. ეს სულაც არაა სასაცილო. იაპონიაში ყოფნისას სპეციალურად მიმიყვანეს საქონლის ფერმაში, სადაც მუსიკის გავლენით წველადობამ 40%-ით მოიმატა, ოღონდ, კლასიკური მუსიკის გავლენით. ჯაზი და როკი საქონელს თრგუნავს. აფრიკის ხალხები დოლზე ბრაგუნით აშინებენ ბოროტ სულებს. ჯარს რატომ აქვს მარში და საომარი სიმღერები? – მხედრული სულისკვეთების ასამაღლებლად. გგონიათ, ჰიტლერმა ვაგნერის მუსიკა შემთხვევით აირჩია? ან, რატომ შეიქმნა სამგლოვიარო რექვიემი? სტალინის მითითებით კი „წმინდა ომი“? მუსიკას უდიდესი ძალა აქვს, შესაძლოა სერიოზულ დანამგრეველ იარაღადაც კი იქცეს, მაგრამ თუ სასიკეთოდ გამოიყენებ, სასწაულებს მოახდენს. გარემო რომელშიც ვცხოვრობთ, ინფორმაციას საუკუნეების განმავლობაში ინახავს. ერთ ამბავს მოგიყვებით: ერთი საკმაოდ დიდი თანამდებობის მქონე პიროვნება (სახელს და გვარს არ დავასახელებ) სერიოზულად ავად გახდა. ექიმებმა ვერაფერი გაუგეს. ბოლოს გამოირკვა, რომ სამსახურში აივაზოვის გემის დაღუპვის ამსახველი სურათი ეკიდა, რომლიდანაც იმხელა უარყოფითი ემოცია მოდიოდა, რომ ფაქტობრივად, ამ ადამიანს კლავდა. ჩამოხსნეს სურათი და ეს პირი გამოჯანმრთელდა. შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა ჩვენი სიტყვა ინფორმაციის მატარებელია.

– ბატონო რამაზ, როგორც ახსენეთ, „ბიორაგის“ გამოსაგონებლად სწორედ მუსიკალური კოდის გაშიფვრამ მოგცათ სტიმული?

– დიახ, ასეა. მუსიკალური კოიდს გაშიფვრამ საშუალება მომცა მცენარეთა, ცხოველთა ზრდის ახალი თაობის რეგულატორები – „ბიოენერგოაქტივატორები“ გამომეგონებინა. ყველასთვის ცნობილია, რომ ტყემალი გაზაფხულზე ყვავილობს და წელიწადში მხოლოდ ერთ მოსავალს იძლევა. ჩემი პრეპარატით, „ბიორაგით“, დაამუშავეს ტყემლის ძირები და არაჩვეულებრივი რამ მოხდა: ტყემალი სექტემბერში მეორედ აყვავდა და დეკემბერში მოისხა კიდეც. სასწაული იყო ნაყოფსა და მწვანე ფოთოლს თოვლი რომ ედო ზედ. „ბიორაგით“ „გამოკვებილმა“ ერთი წლის ქლიავმაც მოისხა ნაყოფი; შვინდი 20 დღით ადრე დამწიფდა. პრეპარატი არაჩვეულებრივად მოქმედებს ცხოველებზეც და ფრინველებზეც: შესანიშნავად მრავლდება ფუტკარი; ჩვეულებრივზე ოთხჯერ სწრაფად იზრდება წიწილა. მსოფლიოს წამყვან ლაბორატორიებში დადგენილია, რომ ჩემი პრეპარატები ეკოლოგიურად აბსოლუტურად სუფთაა. უფრო მეტიც, პროდუქტში იმატებს ვიტამინების შემცველობა და მიკროელემენტები.

მაგალითად, იოდი 100%-ით იმატებს. როგორც ზემოთ გითხარით, ჩვენი მიწა ქიმიური სასუქებით ისეა გაჯერებული, ნარკომანივით ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტ სასუქს ითხოვს. პრეპარატით დამუშავების შემდეგ, მცენარეებში ძალის აღდგენა შიდა რესურსების ხარჯზე ხდება. ამავე მეთოდით შეიქმნა ბიოენერგოკორექტორი ადამიანებისათვის: პრეპარატი „რამერი“ და მალამო „ვიტარაგი“. ორივეს ფანტასტიკური შედეგები აქვს. ორივე პრეპარატი დანერგილია მედიცინაში და ისეთ სერიოზულ დაავადებებს არჩენს, როგორებიცაა: წითელი ქარი, განგრენა, ვარიკოზი, ქრონიკული სურდო, საშვილოსნოს წყლული, ნევროზი, ჰიპერტონული დაავადებები, ჩიყვი, საერთო სისუსტე, ც ჰეპატიტი და სხვა. წითელი ქარი პრაქტიკულად, არ იკურნება. ჩემმა მალამომ ერთ კვირაში მოარჩინა ავადმყოფი. რომში „ბიორაგის“ დახმარებით ვერცხლისფერი ნაძვების ხეივანია გაშენებული, რომელსაც ჩემს სახელს არქმევდნენ, მაგრამ ამაზე უარი ვთქვი და დღეს „თბილისის ხეივანი“ ჰქვია. „რამერს“ სვამდა ჩვენი უნივერსიტეტის ელექტროშემკეთებელი და 50 წლის კაცი მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

– თქვენ ადამიანში მუსიკის მნიშვნელოვან როლზე ისაუბრეთ. ბოლოს, მოსახლეობას დაავადებების თავიდან დასაღწევ მუსიკალურ რეცეპტებსაც ხომ არ შესთავაზებთ?

– დიდი სიამოვნებით. მუსიკოთერაპია – ტრადიციული მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ჯერჯერობით, ნაკლებად გამოკვლეული მიმართულებაა. ცნობილი რუსი ქირურგი ბ. პეტროვსკი მუსიკას რთული ოპერაციების დროს იყენებდა. ყველაზე სასარგებლო მუსიკად კლასიკური მუსიკაა აღიარებული. ყველაზე დიდი მკურნალი კი, კომპოზიტორებს შორის, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტია, რომლის ნაწარმოებებს ადამიანებზე ზემოქმედების კოლოსალური ძალა აქვს. მისი მუსიკით ყვავილებიც კი იფურჩქნება. მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტით ექიმებმა დაასკვნეს, რომ ნერვული აშლილობის, ისკერიკისა და კაპრიზებისადმი მიდრეკილების დროს ყველაზე კეთილმყოფელ გავლენას ბავშვზე მოცარტის მუსიკა ახდენს. რაც შეეხება რეცეპტებს: ბავშვთა მთელი რიგი ორგანოების დარღვევა ხშირად დაკავშირებულია არასწორ სუნთქვასთან. ამ შემთხვევაში, ხალხური სიმღერების მოსმენით შესაძლებელია 10-15 წუთში სუნთქვის ნორმალიზება; შტრაუსისა და ჩაიკოვსკის მომხიბლავი ვალსები ხელს უწყობს გულის ნორმალურ მუშაობას, ხსნის დაძაბულობას, აუმჯობესებს ძილს. ნერვული დაძაბულობის მოსახსნელად ჯერ მოისმინეთ გამახალისებელი მუსიკა, შემდეგ ჩაიკოვსკის ან ბიზეს მელოდიური მუსიკა; დილის ძილიანობას შესანიშნავად ფანტავს ვივალდის სონატები და კონცერტები, შუბერტის სერენადები; შუადღეს ფინჯან ყავას შეგიცვლით ჰენდელი და მოცარტი; დაღლილობის პროფილაქტიკისთვის ბგერით რაციონში ჩართეთ გრიგის „მუსიკალური დილა“ ან ჩაიკოვსკის „წელიწადის დრონი“; სამსახურში ან სახლში თუ კონფლიქტურ სიტუაციებს თავს ვერ დააღწევთ, თქვენს განწყობაზე შესანიშნავად იმოქმედებს შტრაუსის „საშინაო ნაწარმოებები“, ბახის „გლეხური კანტატა“ ბეთხოვენის „სიმღერა რწყილზე“, როსინის „აბრეშუმის კიბე“ და „ქურდი კაჭკაჭი“; ცუდ მეხსიერებას აღადგენს ვივალდის „წელიწადის დრონის“ ციკლის ნაწარმოებთა პერიოდული მოსმენა.

აქვე შემოგთავაზებთ მუსიკოთერაპიის ცენტრებში აპრობირებულ მუსიკალურ რეცეპტებს: უძილობისას მოუსმინეთ ბეთხოვენის „მთავრის სონატას“, ჩაიკოვსკის „შემოდგომის სიმღერას“, შუბერტის „ავე მარიას“. სტრესის დროს: მუსორგსკის საფორტეპიანო სუიტა „სურათები გამოფენიდან“. გადაღლისა და ნერვული გამოფიტვის დროს კარგია: გრიგის „დილა“, ოგინსკის „პოლონეზი“, შტრაუსის „ცისფერი დუნაი“. ქრონიკულ დაღლილობას შველის ბრამსის „სავიოლინო კონცერტი“, „უნგრული ცეკვები“. დეპრესიას განკურნავს: ბეთხოვენის „მთავარის სონატა“, ლისტის „მეორე რაფსოდია“. გაღიზიანებისა და სიბრაზის მოსახსნელად უსმინეთ: ჰაიდნის „სიმფონიას“, ბეთხოვენის „მთვარის სონატას“, ბახის „კანტატას #2“-ს და „იტალიურ კონცერტს“. ბახისა და ჰაიდნის ეს ნაწარმოებები ასევე რეკომენდებულია შურის შესამცირებლად. ადამიანებთან ურთიერთობისას დაძაბულობის მოსახსნელად დაგეხმარებათ ბახის „სავიოლინო კონცერტი რე მინორი“. გახშირებული გულისცემა ნორმაში მოჰყავს მენდელსონის „საქორწინო მარშს“, რაველის ნაწარმოებებს. მღელვარების, შიშის და საკუთარ თავში დაურწმუნებლობის შესამცირებლად სასარგებლოა: შოპენის „მაზურკები“ და „პრელუდიები“. ჰიპერტონიის დაძლევაში დაგეხმარებათ შოპენის „ნოქტიურნი რე მინორი“ (სხვა ნოქტიურნები ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს), ჩაიკოვსკის „სუიტა“ ბალეტიდან „გედის ტბა“. შაკიკის შემთხვევაში მოუსმინეთ: მენდელსონის „საქორწილო მარშს“. თავის ტკივილს სწრაფად ხსნის: მოცარტის „დონ ჟუანი“, ლისტის „უნგრული რაფსოდია #1“. ალკოჰოლიზმსა და მოწევას, სხვა საშუალებებთან ერთად, კურნავს შუბერტის „ავე მარია“, ბეთხოვენის „მთვარის სონატა“, სენ-სანსის „გედი“. შემოქმედებით იმპულსს ასტიმულირებს რაველის „ბოლერო“, ხაჩატურიანის „ცეკვა ხმლებით“. მუსიკოთერაპია, ბევრ შემთხვევაში, ქიმიოთერაპიის ძლიერი კონკურენტი შეიძლება გახდეს და მისი განმკურნებელი ზემოქმედება უფრო ეფექტიანი აღმოჩნდეს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ძლიერი რეგიონები

საქართველოს რაგბის განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა რეგიონებში

ამ პროგრამის ფარგლებში ფონდმა „ქართუმ“ რამდენიმე სტადიონი ააშენა.

გორის ნაგავსაყრელზე ევროსტანდარტების შესაბამისი სტადიონის აშენებისათვის ფონდმა 5 მილიონ ლარზე მეტი გამოყო.

საქართველოში ყველაზე დიდი ქუთაისის სარაგბო კომპლექსი კი ოთხ მოედანს აერთიანებს, აქედან სამი ბუნებრივი საფარით არის დაფარული. ბაზაზე მორაგბეებისთვის შენდება სასტუმროც, სადაც ჩემპიონატის დროს სპორტსმენები დაბინავდებიან. რამდენიმე თვეში დასრულდება სასტუმროს მშენებლობა, რომლისთვისაც სამ მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი. ქუთაისის სარაგბო კომპლექსის მშენებლობა ფონდ „ქართუს“ 12 მილიონ ლარზე მეტი დაუჯდა. ცენტრალური მოედანი ერთდროულად 4870 მაყურებლის მიღებას შეძლებს.

ქალაქ ფოთში მდებარე სარაგბო ბაზა 2450 მაყურებელზეა გათვლილი და მშენებლობის ხარჯმა შვიდ მილიონ ლარს გადააჭარბა.

ყველა ბაზაზე ბავშვებისთვის რაგბის შესწავლა სრულიად უფასოა.

სამეგრელოში, გურიაში, აჭარასა და იმერეთში ჩაის კულტურის აღორძინება იწყება

დაიწყო ქართული ჩაის აღორძინების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ჩაის კულტურის რეაბილიტაციას. პროექტით გათვალისწინებულია რეაბილიტაციის სხვადასხვა დონე, რაც გულისხმობს შემოღობვას მძიმე გასხვლიდან დაწყებული შედარებით მსუბუქი სამუშაოების ჩათვლით.

პროექტის ფარგლებში პირველი ბენეფიციარები უკვე დაფინანსდა; გარდა ამისა, უკვე გაკეთებულია კოოპერატივების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს დამატებით ხელშეწყობას ამ მიმართულებით, ასევე გადამმუშავებელი ფაბრიკის ინფრასტრუქტურის ხელშეწყობასა და მანქანა დანადგარების შესყიდვას.

„პროექტით უცხოელი ინვესტორები არიან დაინტერესებული. გვაქვს კონკრეტული ოთხი ინტერესი ამ მიმართულებით, რაც პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი ფერმერებისა და გლეხების ინტერესებს, სახელმწიფო ინტერესებს და ინვესტორის ინტერესებს. ჩაის კულტურის განვითარებას ვიწყებთ ყველა იმ რეგიონში, სადაც ტრადიციულად მოდიოდა ჩაი“, - აცხადებს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია.

კახეთში ხორბლის აღება დაიწყო

მოსავლის შეუფერხებლად აღებისთვის პროცესში აქტიურად არის ჩართული შპს „მექანიზატორის“ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისთვის კახეთის რეგიონში 60, საქართველოს მასშტაბით კი 80 ერთეული კომბაინია მობილიზებული.

კახეთი

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს თავთავიანი კულტურების კარგი მოსავალია. გასულ წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგებულია თავთავიანი კულტურების ნათესი ფართობები.

საქართველოს მასშტაბით ხორბლის ნათესი ფართობები 80 000 ჰა-ზე მეტს, ხოლო ქერის 40 000 ჰა-ზე მეტს შეადგენს.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფელ წნორში ხორბლის აღების დაწყების პროცესს დაესწრნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, კახეთის რეგიონის გუბერნატორის მოადგილე გივი მეტრეველი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები დავით გალეგაშვილი და იური ნოზაძე, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

იყალთოში ქვევრის სკოლა-სახელოსნო იხსნება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი სოფელ იყალთოში ქვევრის სკოლა-სახელოსნოს მშენებლობას ახორციელებს. პროექტი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარეობს და მისი მიზანია საქართველოში ქვევრის დამზადების ტრადიციული მეთოდების აღდგენა-შენარჩუნება და სოფელ იყალთოს ისტორიულ-კულტურული, ტურისტულ-რეკრეაციული და საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარება.

პროექტის ფარგლებში აშენდა სამსართულიანი ადმინისტრაციული შენობა და ერთსართულიანი საწარმო - ქვევრის დასამზადებელი საამქროს შენობა. სკოლა-სახელოსნოში ასევე განთავსდება მუზეუმი. ტურისტებს საშუალება ექნებათ, ისწავლონ და თავად დაამზადონ თიხის ჭურჭელი.

„სკოლა-სახელოსნოში ახალ თაობას შესაძლებლობა ექნება, შეისწავლოს ქვევრის დამზადების ხელობა, რაც ხელს შეუწყობს უძველესი ტრადიციების შენარჩუნებას. პროექტის განხორციელებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს მეთოდს იუნესკოს მიერ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული“, - განმარტავენ პროექტის ინიციატორები.

დუშეთი – „თამრო ბებოს ფერმა“ ნატურალურ რძეს გადაამუშავებს

„აწარმოე საქართველოში“ - ამ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნატურალური რძის გადამმუშავებელი მცირე საწარმო გაიხსნა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაგებში. „თამრო ბებოს ფერმაში“ ათი ადამიანია დასაქმებული. ნედლეულით უზრუნველყოფისთვის მეწარმემ საკუთარი მეურნეობაც შექმნა, სადაც 35 სული მსხვილფეხა საქონელი ჰყავს. მათი წველადობა დღეში 400 ლიტრამდე მერყეობს. მფლობელის თქმით, საწარმო რძეს ადგილობრივი მოსახლეობისგანაც ჩაიბარებს.

სამი ადამიანისგან დაკომპლექტებულმა კოოპერატივმა საწარმოსთვის შესაბამისი დანადგარები ევროპიდან შემოიტანა. კერძო და სახელმწიფო ინვესტიციამ 80 000 აშშ დოლარი შეადგინა. საწყის ეტაპზე წარმოებული ნატურალური პროდუქტი: რძე, ხაჭო, თიხის ჭურჭელში შედედებული მაწონი, სხვადასხვა სახეობის ყველი და სულგუნი ადგილობრივ ბაზარზეა გათვლილი.

ამბროლაური

მცირე საწარმოს გახსნას, ადგილობრივებთან ერთად, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი გოჩა ზეიკიძე, დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ტრიპოლსკი, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიზო ჩოხელი, მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი ოთარ ანთია დაესწრნენ.

ამბროლაური – რაჭაში ფერმების ქსელის დაფუძნება დაიწყო

კომპანია „ბლაუენშტაინ საქართველომ“ რაჭაში ფერმების ქსელის დაფუძნება დაიწყო. ამ დროისთვის ონისა და ამბროლაურის რიონებში 4 ფერმა უკვე ამოქმედდა, რომლებსაც უახლოეს პერიოდში ამდენივე ფერმა დაემატება.

პროექტის დაწყება და მის ფარგლებში ფერმების ქსელის შექმნა „ბლაუენშტაინ საქართველოს” დირექტორმა როსტომ კერვალიშვილმა მიმდინარე წლის აპრილში დააანონსა. მაშინ კერვალიშვილი აცხადებდა, რომ რაჭაში მცხოვრებ მოსახლეობას, ვისაც დასაქმების სურვილი ჰქონდა, კომპანია ამის საშუალებას მისცემდა.

„ფერმერებს, ვისაც აქვს 60 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ან საკუთრებაში ან იჯარით, შეუძლიათ მოგვმართონ, ჩვენ მათ ბანკიდან სესხის აღებაში დავეხმარებით. ამ სესხით ეს მეწარმეები ფერმებს ააშენებენ, სადაც „ბლაუენშტაინ საქართველოს” მიერ ჩამოყვანილ პირუტყვს გაზრდიან. ამაში ჩვენ მათ ხელფასს გადავუხდით. საქონელი კი ჩვენი საკუთრება იქნება“, - აცხადებდა კერვალიშვილი.

დღესდღეობით, კომპანიის დირექტორი განმარტავს, რომ რაჭაში ფერმების ქსელის შექმნით ძალიან ბევრი ადგილობრივი დაინტერესდა. „გვაკითხავს ძალიან ბევრი ადამიანი, ვინც უმუშევარია და რამის კეთების სურვილი აქვს. აღნიშნული პროექტის ამოქმედებით რაჭის მოსახლეობა გამოცოცხლდა და მომავლის იმედი მიეცა“, -აცხადებს კერვალიშვილი.

ამ დროსთვის კომპანიას 670 პირუტყვი ჰყავს, ფერმების ქსელით კი ამ რაოდენობის 2000-3000-მდე გაზრდას გეგმავს. აქედან ნაწილს ხორცპროდუქტების წარმოებისთვის გამოიყენებენ, ნაწილს კი რძის პროდუქტების წარმოებისთვის. შესაბამისად, იგეგმება რძის გადამმუშავებელი საწარმოს მშენებლობაც.

შაორის ტბის ტერიტორიაზე ახალი ქალაქი შენდება

არაბული კომპანია Israil Ahmadov Investment LLC რაჭაში, შაორის ტბის ტერიტორიაზე დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის აშენებასა და ადგილზე მინიმუმ 500 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს. პროექტის განხორციელებაში აღნიშნული კომპანიის გარდა ევროპული და სხვა არაბული კომპანიებიც იქნებიან ჩართული.

კომპანიამ პროექტი უკვე წარუდგინა ადგილობრივ და აღმასრულებელ ხელისუფლებას. როგორც კომპანიაში განმარტავენ, მიმდინარეობს შაორის ტბის ტერიტორიის გეოლოგიური და ეკოლოგიური შესწავლა იმის დასადგენად, თუ სად არის შესაძლებელი სამშენებლო სამუშაოები. მათივე ინფორმაციით, ნებართვის მიღების შემთხვევაში, გადაცემულ მიწის ნაწილზე მწვანე საფარი უცვლელი დარჩება.

კომპლექსის მშენებლობა ეტაპობრივად განხორციელდება. პირველი ეტაპი სასტუმროებისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობას ითვალისწინებს. მეორე ეტაპზე კი კომპანიას საცხოვრებელი სახლებისა და კოტეჯების მშენებლობა სურს.

აშენდება: 4 სასტუმრო - (300, 400, 500, და 600 ნომრია-

ძლიერი საქართველოსთვის

ნი), იახტკლუბი, რომელიც 1500 კვ.მ-ზე განთავსდება, ქართული, არაბული, იტალიური, ამერიკული რესტორნები. სპა- და ფიტნესცენტრები, ბავშვთა გასართობი ცენტრი და კოტეჯების ზონა. კოტეჯები 2, 4 და 5 ნომრიანი იქნება. ასევე პროექტი ითვალისწინებს გოლფის მოედნისა და იპოდრომის მოწყობას.

არაბული კომპანია საქართველოში სხვა პროექტებსაც ახორციელებს: უკვე დაასრულა ზუგდიდში საკონსერვო ქარხნის პროექტზე მუშაობა. ასევე კომპანია იმედოვნებს, რომ უახლოეს პერიოდში მთავრობასთან სენაკის აეროპორტის მშენებლობაზე ხელშეკრულებას გააფორმებს.

ზუგდიდში მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე გაიხსნა

რეაბილიტირებული მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე მხარის გუბერნატორმა ლევან შონიამ და ქალაქ ზუგდიდის მერმა ირაკლი გოგოხიამ გახსნეს. სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2014 წლის 23 აპრილს დაიწყო და 2016 წლის 19 აპრილს დასრულდა. შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისადაა გარემონტებული. შენობაში დამონტაჟებულია ადაპტირებული, სენსორული ლიფტი სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის. სასახლის დარბაზი აღჭურვილია თანამედროვე აპარატურითა და სასცენო ეფექტებით.

რეაბილიტაცია ორ ეტაპად განხორციელდა. პირველი ეტაპის სამუშაოების ხელშეკრულება 2014 წ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაფორმდა და იმავე წელს, ვალდებულებით სახით, გადაეცა ქ. ზუგდიდის მერიას, რომელმაც დაასრულა როგორც პირველი, ასევე მეორე ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პირველ ეტაპზე, 2014-2015 წწ. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ - 264 978,85 ლარი, მეორე ეტაპზე კი, ქალაქ ზუგდიდის მერიის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ 1 023111.63 ლარი შეადგინა.

ზუგდიდი

ზუგდიდს ცენტრალიზებული წყალმომარაგება ექნება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა გიორგი კობერიძემ და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ ქალაქ ზუგდიდში წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერეს.

ზუგდიდში წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემა დღემდე არ არსებობდა. პროექტის ფარგლებში შენდება წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელი, სატუმბი სადგური და რეზერვუარები, ასევე ეწყობა წყალმომარაგების მაგისტრალური მილსადენი.

სამუშაოების დასრულების შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას ათწლეულების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემა მოუგვარდება და ზუგდიდის მცხოვრებლები 20-24 საათიანი წყალმომარაგებით იქნებიან უზრუნველყოფილი.

ზუგდიდის წყალმომარაგების სისტემის სამშენებლო სამუშაოები აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს. პროექტი, რომლის ღირებულება 88 მლნ ლარზე მეტია, 2018 წელს დასრულდება. სამუშაოებზე 150-მდე ადამიანია დასაქმებული.

ბორჯომში მრავალბინიანი შენობების სახურავების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

პროექტის ფარგლებში გურამიშვილის, რუსთაველისა და 9 აპრილის ქუჩებზე მდებარე შენობებზე მთლიანად შეიცვლება ხის დაზიანებული კონსტრუქციები, განხორციელდება ახალი მეტალოკრამიტის სახურავების მოწყობის სამუშაოები. იგეგმება წყალმიმღები ღარების მონტაჟიც.

9 აპრილის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში გათვალისწინებულია ასევე კიბეების, ლითონის მოაჯირებისა და შენობის დაზიანებული საყრდენი კედლის გამაგრება.

პროექტი ბორჯომის მუნიციპალიტეტისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებით ხორციელდება და სამუშაოებისთვის ჯამში 67 260 ლარი დაიხარჯება.

კონკურს-ფესტივალი „სხვა საქართველო სად არის“ მარნეულში

ქართული ტრადიციული სიმღერის კონკურს-ფესტივალი „სხვა საქართველო სად არის“ გალა-კონცერტით დასრულდა. ფესტივალში მონაწილეობდნენ ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდა შემსრულებლები.

ფესტივალის დასკვნით ღონისძიებას ესწრებოდნენ: კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, მომღერლები თამარ ჭოხონელიძე, ირმა სოხაძე, ნუგზარ კვაშალი, ქვემო ქართლის გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, ქვემო ქართლის სხვა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

მარნეული

კონკურსის გამარჯვებულებს ორგანიზატორების სახელით სხვადასხვა პრიზი და საჩუქრები გადაეცათ. მათ მუსიკალური ნომრები ქართული ესტრადის წარმომადგენლებთან ერთადაც შეასრულეს.

„კონკურს-ფესტივალის მიზანია როგორც ქართველ, ისე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოზარდებში ქართული ტრადიციული სასიმღერო კულტურის გაცნობა, შესწავლა და პოპულარიზაცია. მოხარული ვართ, რომ ამ ფესტივალს მარნეულმა უმასპინძლა“, - განაცხადა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ თოფჩიშვილმა.

ფესტივალი კავშირ „დემოსის“, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრის ინიციატივით შემუშავდა, ფინანსურ მხარდაჭერას კი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უწევდა.

კვიპროსში

სეტყვით დაზარალებულ მოსახლეობას ზარალს სადაზღვევო კომპანია აუნაზღაურებს

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად დასეტყვილ სოფლებში იმყოფებოდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ შექმნილ ვითარებას და მოსახლეობას შეხვდნენ. საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლებმა კიდევ ერთხელ განმარტეს აგროდაზღვევის პირობები და ადგილობრივებს სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად დაზღვევისკენ მოუწოდეს.

ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი (მარცვლეული კულტურის შემთხვევაში - 30 ჰა.) თითოეული დამზღვევი 70-პროცენტიან თანადაფინანსებას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე - 50 პროცენტს.

აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის ამაღლებას და მათი მხრიდან სადაზღვევო რისკების სწორად შეფასებას.

„ელესა“ და „ხორუმი“ კვიპროსში

კვიპროსის რესპუბლიკის საპორტო ქალაქ პაფოსში, აჭარის არ დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში, ქედის კულტურის ცენტრთან არსებულმა ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ელესამ“ და აჭარის ხალხური ცეკვის ანსამბლმა „„ხორუმმა“ ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით კონცერტი გამართეს. „ელესამ“ 12 ტრადიციული სიმღერა, ხოლო „ხორუმმა“ ძირძველი ქართული საცეკვაო ნომრები შეასრულა, რამაც დამსწრეთა აღფრთოვანება და ოვაციები დაიმსახურა.

დელეგაციას პაფოსში წარმოადგენენ ქალაქ ბათუმის მერი გიორგი ერმაკოვი, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი დავით ბალაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნათია სირაბიძე.

შეხვედრა „შუახევჰესის“ მშენებლობის საკითხებზე

შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე ხელმძღვანელ პირებთან ერთად „შუახევჰესის“ მშენებარე კომპანიის, შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ აღმასრულებელ დირექტორს რონი სოლბერგს და კომპანიის წარმომადგენლეს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ ასევე სოფელ ჩანჩხალოს მოსახლეობის წარმომადგენლები. მხარეებმა განიხილეს ჰესის მშენებლობის, გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის, სოციალური პროექტების განხორციელებისა და სხვა საჭირბოროტო საკითხები.

ხულოს გამგებელი იალაღებზე არსებული მდგომარეობას გაეცნო

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ბაუჩაძე და მისი მოადგილე ნოდარ მიქელაძე სხალთის, ფუშრუკაულისა და თხილვანის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლების იალაღებზე იმყოფებოდნენ.

მუნიციპალიტეტის პრესსამსახურის ინფორმაციით, გამგებელი გაეცნო ელექტროსისტემისა და შიდა გზების მოწესრიგების სამუშაოების მიმდინარეობას და მოსახლეობის პრობლემები მოისმინა.

„მიირთვით გომბეშო“!

43 წლის ჯეჯელავა „მართვის აკადემიის“ თავმჯდომარე და ლიდერ-ტრენერი გახლავთ. ამბობს, რომ პროექტების მენეჯმენტში 20-წლიანი გამოცდილება აქვს. მართალია, მისი ბიოგრაფიის გადახედვის შემდეგ აღმოვაჩენთ, რომ მენეჯმენტთან შეხება 15 წელია, რაც აქვს და უმეტესად, პროექტების კონსულტანტად მუშაობდა, მაგრამ წვრილმანებზე როგორ გამოვეკიდებით. რაც შეეხება განათლების სფეროს, ბატონი სანდრო ყველაზე მეტად ცნობილია პროფესიონალური ტრენინგებით, რომლებიც მოიცავს ლიდერობას, გაყიდვების მართვას, დროის მართვას და ა.შ.

ჯეჯელავას ტრენინგ-ლექციათა ერთ დიდ მონაკვეთს – „მიირთვით გომბეშო“ ჰქვია. მსგავსი სახის ტრენინგები დღეს მრავლად ტარდება და ბევრს

აქვს შესაბამისი კურსი შემუშავებული, მაგრამ მინისტრობა მხოლოდ ბატონმა სანდრომ დაიმსახურა, ამიტომ გადავწყვიტე მისი ტრენინგების ვიდეოჩანაწერები მენახა. ვნახე და დავრწმუნდი, რომ ბატონ პრემიერს არასოდეს მოუსმენია ამ ადამიანის ტრენინგ-კურსი (ან უარესი), რადგან ამ კაცს არათუ არავითარი შეხება არ ჰქონდა განათლების სისტემასთან, მეტიც, არც უნდა ჰქონოდა არასოდეს...

დავიწყოთ იმით, რომ ქართულად ვერ და არ მეტყველებს, ნუ „ეხლა“ და „ახლა“-ს შორის რომელია მართებული ფორმა, მაგის არცოდნა ისევ და ისევ წვრილმანად ჩავთვალოთ და არ გამოვეკიდოთ, მაგრამ გთავაზობთ სიტყვების არასრულ ჩამონათვალს, რომლებიც ჩვენი მოძველბიჭო მინისტრის მხოლოდ ერთი ტრენინგის მოსმენისას ამოვიწერე: დვიჟენიობა, ნავაროჩენი, ნავაროტკები, ხოდზე, ბუკეტი, ლოხი, კაროჩე, ბლატაობა, კაიფი, პახოდუ, პროსტო, ჟილკა, ჯინა (საერთოდ გაურკვეველი წარმომავლობის ფორმა).

მესმის, როცა გაუნათლებელ, დაბალი ინტელექტის მქონე ჯგუფთან შედიხარ სამუშაოდ, ცდილობ მისი სიტყვებით აუხსნა სათქმელი, მაგრამ ეს ტრენინგი წაიკითხა „გაუ“-ში და დასაწყისშივე აღნიშნა „გაუ“-ს სტუდენტები ქართველი სტუდენტების ელიტა ხართო... თუ ელიტად თვლიდა იმ ადამიანებს, ვისაც ტრენინგს უტარებდა, მაქვს კითხვა: ქართულად ველარ იგებს სათქმელს სტუდენტობის ელიტა თუ ჩვენი ახლადგამომცხვარი მინისტრი ვერ საუბრობს ქართულად?

ლოგიკასთანაც ვერ აქვს საქმე მთლად კარგად ჩვენს მინისტრს: სტუდენტებს, როგორც უკვე ავღნიშნე, მოახსენა ელიტა ბრძანდებით თქვენ ქართველი სტუდენტობისო და თქვენ თუ არ გააკეთებთ კარგ ბიზნესს (ტრენინგის თემა იყო ბიზნესი და სიყვარული), აბა, სხვა ვინღა გააკეთებსო და იქვე, ცოტა მოგვიანებით, რიტორიკულ კითხვას სვამს სტუდენტებთან: ბიზნესს ვინც გასწავლით, ბიზნესის აზრზე არიან? რამე გაუკეთებიათ? ვინ გასწავლით, რატომ უნდა გასწავლოთ იმან, ვისაც არაფერი გაუკეთებია?

ოჰო, ანუ ამ სტუდენტებს არაპროფესიონალი ლექტორები ჰყავთ? და მაინც ელიტარული სტუდენტები არიან!..

ოჰო, ბილ გეითსი უნდა მოვიწვიოთ ლექტორად? და თქვენ რომ კითხულობთ ბიზნესზე ტენინგებს, მაჩვენეთ თქვენი წარმატებული ბიზნესი, ბატონო სანდრო, სად არის? ანუ ქართულ ენას ვინც გვასწავლის, შედეგი უნდა ჰქონდეს დაწერილი? მათემატიკა აინშტაინმა უნდა წაგვიკითხოს? მუსიკა ბეთჰოვენმა გვასწავლოს? უპატივცემულობას უნერგავთ იმ ადამიანების მიმართ, რომელთა პატივისცემაც თუ არ ექნებათ, განათლებას ვერ მიიღებენ...

თქვენ ოცნება არ იცითო... უმეტესად ოცნებობთ იმაზე, რომ დაამთავროთ სასწავლებელი, დაიწყოთ სამსახური, იყოლიოთ ოჯახი... ისწავლით მენეჯმენტს და ათას უბედურებას (?), მერე შექმნით ოჯახს, რომელიც რუტინაა ყოველდღიური, აბა, ფეირვერკებს ოჯახურ ცხოვრებაში მხოლოდ ჰოლივუდში აჩვენებენო... იქამდეც კი ვერ მიდიხართ, რომ დიდ ჯიპზე იოცნებოთ, რადგან სკოლაში მასწავლებელმა გასწავლათ, რომ შავი ჯიპი მხოლოდ ვირიშვილებს აქვთო...

მინისტრმა ლექსიის დროს თითქოს ისე, სხვათა შორის ახსენა ოჯახური ცხოვრება და როგორ კონტექსტში ახსენა... რა არის რუტინა? საყვარელი ადამიანის გვერდით გაღვიძება? შვილების აღზრდაა რუტინა? მერე ასევე სხვათა შორის ამბობს: ის რომ უბედური არ ხარ, არ ნიშნავს, რომ ბედნიერი ხარ, როცა უბედური არ ხარ - მაგას არუბედური ჰქვიაო... როცა დედას შვილი ეყოლება, ის არუბედურია და არა ბედნიერიო, ბედნიერი მხოლოდ ის დედაა, რომლის შვილზეც იტყვიან რა დედამ გაზარდაო... ჯერ ერთი, დედისთვის ყველა შვილი ბედნიერებაა, ბატონო სანდრო, მეორეც, რას ნიშნავს თქვენთვის კარგი შვილი, ამას ქვემოთ ავხსნი....

მშობლების, უფროსი და-ძმების და ზოგადად, უფროსი ადამიანის რჩევა-დარიგებებს გსურთ, რომ მოაშოროთ ახალგაზრდობა. ჯიუტი უნდა იყო, მერე რა, ეს სიჯიუტე განა შენი გაუნათლელობის ბრალია, უბრალოდ 2000 წელს შემდეგ დაიბადე და ასეთი უნდა იყო, ამიტომ თქვენ სხვა ჯიშის ხართო, (ჰო, არ მოგესმათ, ჩვენი შვილები და შვილიშვილები არიან სხვა ჯიშის) და თქვენი უფროსი და-ძმები და მშობლები სხვა ჯიშისანი არიანო: „დედა ვერ გაიგებს, რას ეუბნები მაზიანზე, იმიტომ რომ სხვა ჯიშისაა ფუნდამენტურად“....

არ ვიცი, ახლა კითხვისას თქვენ რას ფიქრობთ, მაგრამ მე როცა მოვისმინე დამბურძგლა და ახლაც მბურძგლავს ამ სტრიქონების წერისას, ანუ ჩვენი სისხლი და ხორცი სხვა ჯიშია, ანუ ჩვენი თაობა და ჯიში სანამ ფიზიკურად ამოწყდება, მანამდე მორალურად უნდა ჩამოიწეროს, მორალურად უნდა გაირიყოს, არასაჭიროა, ბარიერია ამ თავისუფალი, ჯიუტი „მილენიუმის თაობისთვის“...

მინისტრს თავს მათემატიკოსად მიიჩნევს და ამბობს: „ადამიანს პა რაშოტუ დაქორწინება სურდა, მაგრამ არ გამოუვიდა, რადგან ჰუმანიტარი იყოო“ – მათემატიკაში ყველაფერი გამზადებული დაგხვდათ ბატონო სანდრო, ოცამდე ამოცანაა სულ დარჩენილი ამოსახსნელი, დანარჩენი მზა ფორმულებია, რაც შეეხება ჰუმანიტარებს, ზუსტად ისინი ცდილობენ საუკუნეების მანძილზე, რომ თაობათა შორის დაპირისპირება აღმოიფხვრას, თაობები მაქსიმალურად ახლოს იყვნენ ერთმანთთან, მაგრამ თქვენ ეგ საიდან გეცოდინებათ, კლასიკოსების შედევრები დაობებულია თქვენთვის, თუმცა თქვენც გყოლიათ ერთი საყვარელი პოეტი, რომელსაც ციტირებთ ხოლმე: „ ვასო ფხაკაძის ლექსი გამახსენდა: მე კი არა მიშავსო და შენ რა გეშველება, მეექვსე თაობის აიფონი რომ გამოვაო“... ბიჭოს, ბიჭოს, ვასო ფხაკაძის ლექსი გამახსენდაო, ლექსი გამახსენდაო.... ვასო ძალიან კარგი კომიკოსია, მაგრამ, ალბათ, თავადაც ჯერ გაეცინება და მერე შერცხვება, რომ განათლების მინისტრი იუმორისტული შოუსთვის მის დაწერილ „ლექსებს“ ციტირებს...

ჩემმა ამერიკელმა მეგობარმა მითხრაო, თბილისში ნიჭით, სამ ლარად ერთ ჭიქა ყავას დალევო... აქედან დასკვნაო, ნიჭი კაი რამეა, მაგრამ ნიჭის ლომბარდი არ იძლევა თანხას, მაქსიმუმ, ბუბლიკი მოგცენო...

მაგრამ, ვინ გეხმარება მოზარდს მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში? უფროსი და-ძმა და დედ-მამა ვერ დაგეხმარებიან თურმე, ვერც უფროსი კოლეგები, ეს ტიპები აზრზე არ არიან, ვინ ხართ, რას წარმოადგენთ და რა ჯიშის ხართო...

დემოგრაფიული პრობლემებიც გამოუკვლევია ჩვენს მინისტრს: ახლა დემოგრაფიული ორმო გვაქვსო, რადგან 90-იანი წლები მძიმე იყოო და შობადობა ქვეყანაში შემცირდა, მაგრამ ეს თქვენთვის კარგია, რადგან ნაკლები კონკურენტი გეყოლებათ კარიერის შექმნისკენ გზაზეო...

ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის დაგზავნილი სანდრო ჯეჯელავას მესიჯებიდან, მაგრამ ყველაზე საშიში მაინც ისაა, რომ მინისტრს თავის მოკატუნება სცოდნია და უფროსი თაობის ადამიანებთან სულ სხვაგვარად საუბრობს...

გადაცემა „პოლიტიკაში“ ბრძანდებოდა სტუმრად და გულისგამგმირავად აღწერა, რომ ჩვენს საზოგადოებაში პატივს აღარ სცემენ პედაგოგებს, ღირსებად აღარ თვლიან მასწავლებლობასო... აჰა, ბატონო, ქამელეონი, რომელიც ძალიან ჰგავს გომბეშოს, მისივე წერილების ციკლიდან „მიირთვით გომბეშო“.

მაგრამ კვლავ მინისტრს მოვუსმინოთ: ოთხ თვეში არჩევნებია, მაგრამ მე არჩევნების მერეც ვაპირებ, რომ განათლების სამინისტროს ვუხელმძღვანელოო.

ოთხი თვე ბევრია, ბატონო მინისტრო, მაქსიმუმ, სექტემბრამდე შეგვიძლია აგიტანოთ, რადგან ზაფხულში სასწავლო პროცესებისგან მოშორებით, იმედია, ბევრის დაშავებას ვერ მოასწრებთ...

ბატონმა სანდრომ ბავშვობაში მუდამ იმას ვამბობდი, რა ბედნიერია, ვისაც აკვარიუმი აქვს, ყველა დღე თევზს ჭამსო... და ამ კაცს ჩავაბარეთ ბავშვებით სავსე „აკვარიუმი“?

აი, ახლა, მე მივირთვი გომბეშო... იმათთვის, რომლებსაც არ ჰქონიათ პატივი, მოესმინათ ბატონი სანდროს ტრენინგები, განვმარტავ, რომ ასე ქვია მინისტრის ერთ-ერთ ტრენინგს, სადაც საუბარია იმაზე, რომ გომბეშო არის დღის წესრიგში ყველაზე უსიამოვნო საქმე.. ამიტომ, გომბეშო ბოლოსკენ კი არ უნდა მოვიტოვოთ, არამედ დასაწყისშივე უნდა შევახრამუნოთ, რომ მერე სულ სასიამოვნო საქმეები დაგვრჩეს მოსაგვარებელი... თან კარგ ხასიათზეც დავდგებით, რადგან რთული და მძიმე საქმის მოგვარების შემდეგ, ადამიანები მუდამ კარგ ხასიათზე დგებიან..

ჰოდა, მივირთვი გომბეშო, თუმცა რატომღაც ხასიათი ვერ გამომიკეთდა... მინდა, მართლა გულწრფელად მინდა, რომ გომბეშოებით კვება შევწყვიტო და ბატონი მინისტრი აწი მაინც მოეგოს გონს და სულ სასიამოვნო თემები გავაშუქოთ...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

თვითგანადგურების ზღვარზე

დედაჩემს როგორ შეეხნენ, ჩემი დედა მოვ..ან?!

მახსოვს პირველად სიტყვა „შეჩემა“, რომ გავიგონე, მეშვიდე თუ მერვეკლასელი ვიყავი... ეს ისეთ კონტექსტში მოვისმინე და ისეთი გამომეტყველები, რომ გადავწყვიტე, მიმართვის ახალი ფორმაა-თქო, ნუ, დაახლოებით, შენ, ჩემო კარგო მეგობარო, ან შენ, ჩემო კარგო... მაგრამ, რაკი ეჭვი შევიტანე, რომ მთლად დახვეწილი ფორმა არ უნდა ყოფილიყო, მაინც ჯერ მამასთან დავტესტე... მას შემდეგ, გამეორების სურვილი აღარ გამჩენია...

ახლა უკვე 21-ე საუკუნეა, ახლა დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ახლა ევროპასთან უვიზო მიმოსვლას ველოდებით, ახლა კანონიერი ქურდები აღარ წყვეტენ ვინ მტყუანია და ვინ მართალი და თითქოს უფრო განვითარებულნი, უფრო კულტურულნი უნდა ვიყოთ, ჰო?

ნურას უკაცრავად...

რამდენი და როგორი გინება და ლანძღვაც ახლა მესმის, არ

გამიგია არასოდეს, არც 90-იან და არც 2000-იან წლებში... თან უცნაური ისაა, რომ ადრე თუ გინება შეიძლებოდა მოგესმინა ქუჩაში, ე.წ. უსაქმურების ბირჟაზე, ახლა გვესმის ტელევიზიიდან, ვკითხულობთ ცნობილი ადამიანების ფეისბუქ–გვერდებზე.

მახსოვს, ერთმა პოლიტიკოსმა ტელეგადაცემის დროს ჟურნალისტ გოგონას რომ უთხრა: – რა ყ-ობას მეკითხებიო – სუნთქვა შემეკრა, ახლა ან რეკლამას გაუშვებენ, ან ჟურნალისტი უხეშად უპასუხებს-თქო, გავიფიქრე და დავიძაბე, მაგრამ ჟურნალისტმა მშვიდად უპასუხა: არა, რატომ არის ეს კითხვა ყ-ეობაო...

ზოგჯერ მგონია, რომ ბილწსიტყვაობაში ერთმანეთს ვეჯიბრებით... არა, სიტყვებს უკვე ვეღარ მოვიგონებთ ახალს, იმიტომ, რომ ყველა ცუდი სიტყვა უკვე ნათქვამია ხმამაღლა და რიხით, მაგრამ კონტექსტები შეგვიძლია ახალ-ახალი მოვიგონოთ:

ერთ-ერთი ყოფილი მინისტრის და მისი მეუღლის ფოტოზე, ასევე ერთ-ერთმა რეჟისორმა კომენტარი გააკეთა: “კარისკაცები და კარის ქალები, კარის მხატვრები და კარის პოეტები, კარის რექტორები და ტრაკის ჭიები, კარის ფილოსოფოსები და ჰარამჰანის ურცხვი კაცები, ქალები – მუდამ იყვნენ და მუდამ იქნებიან, ყველაფერი ყლ&&ე ჰკიდიათ, მაშინაც, როცა ასო არც გააჩნიათ!”.

ყოფილი მინისტრის მეუღლე, რა თქმა უნდა, თავის წარმოჩენის შანსს ხელიდან ვერ გაუშვებდა და “ფეისბუქის” საკუთარ გვერდზე მაშინვე უპასუხა:

„მე მაინტერესებს, თქვენ როდის ნახეთ თქვენი ასო ბოლოს, ბატონო..?

ვერ და არ გამოვტოვებ ერთ ცნობილ ნაციონალ ქალბატონს, რომელმაც ასევე ტელესივრცეში წაიკითხა შემდეგი ტექსტი: „როგორც გინდათ ისე გამიგეთ, მირჩევნია დამოუკიდებელ საქართველოში ვიცხოვრო, სადაც თუნდაც პატიმრებს ტ-ნავენ, ვიდრე იმ საქართველოში, რომელიც რუსეთს ეყოლება წაკუზული... თუ არჩევანია გასაკეთებელი, მე ბარიგის მოტ-ვნა მირჩევნია, ჩემი სამშობლოს მოტ-ვნას“.

ძალიან საინტერესოა ერთ-ერთი ტელევიზიის დირექტორის ფრაზებიც: ფეისბუქზე პოლიტიკოსთან კამათისას: „რას ვერ მიხვდი? თავს ი...ლევებ თუ მე მა...ლევებ?“ და ჟურნალისტის უტაქტო ხუმრობაზე: “მითხრეს რაც იყო ჩემს ჟურნალისტზე და გადავახვიე. ისე მაგას რა მაყურებინებდა, უნიჭო ვადაგასული სირების ჯღანაობას...”

ცნობილი პოლიტიკოსის არანაკლებ ცნობილი მეუღლე საკუთარ ფეისბუქზე წერს: „ვისაც ორალური სექსი მოსწონს, იმისთვის კარგია. ვინც ამბობს, რომ ცოლს ორალურ სექსს არ აკადრებს, იმისთვის ცუდი დაწყნარდით, მოეშვით და მიიღეთ სიამოვნება, ან არ მიიღოთ. ლედი გაგა ამბობს, რომ ვაგინალური სექსი საერთოდ არ აქვს, იმიტომ რომ პენეტრაციის დროს მისი ნიჭი გაფრინდება. რას აშავებს?“

ერთმა მსახიობმა კი, ასე უპასუხა იმ ადამიანებს, რომლებმაც დაჯილდოების ცერემონიალზე მისი ჩაძინების ფაქტი გააპროტესტეს: „მაგათი დედა მოვტ-ან, მეძინა, ხომ არ ჩავიფსი“...

უხეში და უხამსი გამონათქვამები მოდად ითვლება, ეტყობა... საერთოდ, უცნაური ქვეყანა ვართ, როცა ვინმე რამე ისეთს ამბობს, რაც მიუღებელია, ეს ყოველთვის „სვეცკობად“ აღიქმება... არ ვიცი, ცოტა ხანში, შეიძლება, უხამსობა იმდენად მისაღები აღმოჩნდეს, რომ აღარავის გაუკვირდეს... დღეს თუ ლექსიკური მარაგის სიმწირეა სერიოზული პრობლემა, ალბათ, მერე, ლექსიკური მარაგი რამდენიმე ასეულ სიტყვამდე დავა...

2001 წელს ყურადღების ცენტრში მოპოლიტიკოსო მოპრეზიდენტო ფილოსოფოსის ფილოსოფიური წერილი მოექცა, აი, ერთი ამონარიდი: „ერი, რომელიც ყველას უყვარს და ყველას ეცოდება.... მაგრამ, რომელსაც ვერ შველიან საკუთარი სისულელის, სიჯიუტის და სიჩლუნგის გამო. დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია: გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმით, ანუ ფაქტობრივი მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ მდგომარეობამდე. ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისთვის შესაფერისი აზროვნება – აი, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა“...

მთალად ამასაც ნუ დაუჯერებთ, მერე რა, რომ წაიპოლიტიკოსებს, მერე რა, რომ წაიფილოსოფოსებს.... მერე რა, რომ წაიპრეზიდენტებს...დებილები არ ვართ, გენაცვალე, ამბიციურები ვართ, ამპარტავნები და მოდას გადაყოლილნი... მაგრამ, ასე თუ გავაგრძელეთ, ალბათ, აგვიხდება მისი სიტყვები და გამოვდებილდებით....

ერთ-ერთ ქართულ ფორუმზე იდო გამოკითხვის შედეგი, კითხვა ასე იყო ფორმულირებული: „მისაღებია ქუჩაში გინება: ჩემი დედა ... და ეგეთები?

15 ადამიანმა უპასუხა: კი, ამით არაფერი შავდება.

119-მა: მარაზმია და მეტი არაფერი

53-მა: მკიდია, კისერიც უტეხიათ.

თავიდან ცოტა კულტურულად შემოაპარეს ქართველებმა დაგინება – აუ, დედაჩემი იყოს ჩემი ცოლიო, ან მამაჩემს გავყვე ცოლადო...

მერე? მერე „გაუტკბათ“, ახლა, ყველაფერს ერითმება ეს „ჩემი დედა“...

აუ, რა მაგარი ამინდია, ჩემი დედა მოვტ.ან; აუ დედაჩემმა რა კაი საჩუქარი გამიკეთა, ჩემი დედა მოვტ.ან; რა გოლი ვერ გაიტანეს, ჩემი დედა მოვტ.ან, ჩემი ცოლი კარტოშკას წვავს... აუ, ჩემი დედა მოვტ.ან... დედაჩემს როგორ შეეხნენ, ჩემი დედა მოვ*ან?!

თავის მართლება ვიცით შეუდარებელი: ყველაფერს დასავლეთის ან ამერიკის გავლენას ვაბრალებთ, ყველფერზე პასუხი გვაქვს, რა მოხდა, 21-ე საუკუნეა, ეგ გიკვირს?! 21-ე საუკუნე რომ არის და მინიმუმ, 21 საუკუნე და მეტი რომ მოდიხარ, მეტი არ მოგეთხოვება? დასავლეთში თუ რომელიმე პოლიტიკოსი ან საზოგადო სახე აღელდება და შეუფერებელ სიტყვას იტყვის, დამშვიდებული, უმალვე ბოდიშს მოიხდის, რადგან იცის, ამომრჩეველთა ხმას დაკარგავს, თუ ასე გააგრძელებს.. ამერიკაში ჯანეტ ჯექსონს კაბის თასმა რომ ჩამოუვარდა და მკერდი მოუშიშვლდა, ჯარიმა დაუწესეს, საქართველოში კი ლანძღვაც მოსულა, გინებაც, მერე მაგინებელის და გინებულის ქეიფიც ერთად, შიშველი ტაკოს და მკერდის ჩვენებაც მოსულა ტელეეთერით და ბევრი ისეთი რამ, რის უფლებასაც დასავლეთში თავს არ მისცემენ...

და ქართველებს, აი იმ „53“ მკიდია ქართველებს განსაკუთრებით, ძალიან გვიყვარს გამოთქმა – ხომ გეუბნებოდი?!

მე არ შემიძლია გაჭირვებულ ადამიანს ფეხი დავადგა, ამიტომ, ხომ გეუბნებოდი-თქო, არ გეტყვი, ახლა გეუბნები, ახლა!... ზღვარზე ვართ, ტრადიციების, გენის, ჯიშის დაკარგვის ზღვარზე!

რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ეს თვითგანადგურებას, თვითლიკვიდაციას ჰგავს, ქართველებო და ცოტა აზრზე მოდით – ზღვარზე ვართ!

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

დასავლეთი შოკშია: რუსეთმა ნატოს წყალქვეშა ნავების საიდუმლო ბაზა შეიძინა!

დასავლეთის პრესასა და სოციალურ ქსელებში დიდი ხმაურია ატეხილი: ვერაგმა რუსებმა დაიკავეს სმხედრო-საზღვაო ბაზა, რომელსაც ნატო სსრ კავშირთან დაპირისპირებისთვის აშენებდა და ამ მშენებლობაზე ნახევარი მილიარდი დოლარი დახარჯა! ყველაზე საწყენი კი ნატოელებისთვის ის გახლავთ, რომ ჩრდილოამერიკულ საიდუმლო ბაზაზე რუსული ხომალდების ყოფნა ისეა გაფორმებული, რომ მათ იქიდან გამოდევნას ვერც ერთი სასამართლო ვერ შეძლებს.

რა მოხდა სინამდვილეში?

აუქციონზე გაყიდვა

ეს ბაზა ჩრდილოეთის მივარდნილ მხარეში, ნორვეგიული ტრომსეს მახლობლად, 60-იანი წლების ბილოს აშენდა. ბაზის აშენება იმ დროისთვის უზარმაზარი თანხა – 500 მლნ აშშ-ის დოლარი დაჯდა. კლდეებში იჭრებოდა გვირაბები, ეწყობოდა ნავმისადგომები, რომლებიც აღჭურვილი იყო მრავალრიცხოვანი აპარატურით. ნატოს წყალქვეშა ნავებს შეეძლოთ იქ თავი შეეფარებინათ, შეევსოთ სურსათ-სანოვაგის, საწვავის და სხვა საჭიროებების მარაგი, ჩაეტარებინათ წვრილმანი რემონტი.

გეოგრაფიული მდებარეობის გამო ოლავსვერნი შესანიშნავი საყრდენი პუნქტი გახლდათ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჩრდილოეთის ზღვაში სათვალთვალოდ და მის შესაკავებლად. წყალში გასულ ნატოს სუბმარინებს სწრაფად შეეძლოთ საბჭოთა ხომალდებისთვის ნორვეგიის ზღვისკენ და დასავლეთი ნახევარსფეროსკენ გზის გადაკეტვა, მაგრამ უკანასკნელ ხანს ამ კლდოვან ნაპირთან წყალქვეშა ნავს ვერ შეხვდები. 2009 წელს საიდუმლო სამხედრო ობიექტი აუქციონის წესით გაიყიდა. ნატოში იმსჯელეს, რომ რუსეთი საფრთხეს აღარ წარმოადგენდა, ის დამარცხდა უპირობოდ და სრულიად. ჰოდა, გადაწყვიტეს, რომ ამ გვირაბებისთვის ფულის გადახდა საჭირო აღარ იყო.

სხვათა შორის, მყიდველი მალევე არ გამოჩენილა. განცხადება დიდხანს იყო ინტერნეტ-აუქციონზე განთავსებული ნახმარი მანქანებისა და ყავის სახარშების გვერდით. ლოტის ფასი სულ უფრო და უფრო ქვევით იწევდა. საწყისი ფასიდან, 12 მლნ-დან, ფასი 4,4 მლნ ევრომდე დაეცა – სწორედ ამ ფასად შეიძინა ნატოს ბაზა 2012 წელს ნორვეგიელმა ბიზნესმენმა გუნარ ვილჰელმსენმა.

ბაზის ტერიტორია 25 ათას კვ.მ-ს შეადგენს, 3 000 კვ.მ ღრმაწყლიანი ნავმისადგომებით, 124 კეთილმოწყობილი სასტუმროს ნომრით ყოფილ ყაზარმაში

ნამდვილი სიგიჟე

იცით, ვინ გაყიდა ბაზა? ნატოს ამჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა, იგი მაშინ ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი იყო. სტოლტენბერგი მაშინ, ალბათ, გახარებული იყო, ეს საეჭვო მემკვიდრეობა თავიდან რომ მოიშორა. მაგრამ, მოგვიანებით, როცა ოლავსვერნთან რეიდზე სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებოდა რუსული დროშა, იგი გამოფხიზლდა. ეს იყო სამეცნიერო-კვლევითი ხომალდები „აკადემიკოსი ნემჩინოვი“ და „აკადემიკოსი შატსკი“. ნორვეგიელებმა იეჭვეს, რომ ეს ხომალდები თავდაცვის სამინისტროსთვის მუშაობდნენ.

თავად სტოლტენბერგი იმ დროისთვის უკვე ბრიუსელში გაემგზავრა, ხოლო ადგილობრივი მაცხოვრებლები ფრიად გახარებულები იყვნენ ახლომახლო სოფლების ეკონომიკური რენესანსის მოლოდინით. სამხედროები კი შეშფოთდნენ – რუსეთი კვლავ იბრუნებს ძალებს, აღადგენს სამხედრო ფლოტს. ვაითუ, რუსულმა სუბმარინებმა ნორვეგიის ფიორდებშიც დაიწყონ რეიდები!

– ჩვენ გავყიდეთ წყალქვეშა ნავების ერთადერთი ღირსეული ბაზა, უარი ვთქვით უმნიშვნელოვანეს პლაცდარმზე. ეს სუფთა წყლის სიგიჟეა! – განაცხადა ადმირალმა ეინარ სკორგენმა, ნორვეგიის ჩრდილოეთის ძალების ყოფილმა მთავარსარდალმა.

მთავრობამ ვილჰელმსენს პრეტენზიები წაუყენა, ბიზნესმენმა ყველა მათგანის გაქარწყლება შეძლო წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე. ნორვეგიის ხელისუფლება საკუთარი გადაწყვეტილების ხაფანგში გაება, როდესაც ჩათვალა, რომ ოლავსვერნი ქვეყნისთვის არავითარ ფასეულობას არ წარმოადგენდა.

ბოლოს და ბოლოს, ნატოელებმა აღიარეს, რომ ბაზის დაბრუნება სასამართლოს გზითაც კი უპერსპექტივოა.

– ქონების მფლობელს უფლება აქვს, სურვილისამებრ გამოიყენოს, თავისი საკუთრება, – განაცხადა ნორვეგიის თავდაცვის მინისტრის მრჩეველმა ოდუნ ჰალვორსენმა. – ჩვენ უფლებამოსილები არ ვართ, დავაწესოთ ბაზაზე სამოქალაქო ხომალდების შესვლაზე შეზღუდვა.

სხვა ინვესტორები

ბევრი მცდელობის მიუხედავად, რეალური მეპატრონის ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა. ხომალდები „აკადემიკოსი ნემჩინოვი“ და „აკადემიკოსი შატსკი“ „როსგეოლოგის“ დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურულ ერთეულს «Севморнефтегеофизик»-ს ეკუთვნის, რომელიც მურმანსკში მდებარეობს.

გუნარ ვილჰელმსენიც არაფერს ამბობს, ეს კომერციული საიდუმლოაო, მაგრამ, როგორც ჩანს, ოლავსვერი მხოლოდ სურსათის საწყობი და საწვავის მარაგის ადგილი როდია.

ვილჰელმსენის საიტზე ბაზის აღწერისას ერთი საინტერესო ფაქტი გამოჩნდა: როგორც ჩანს, ჯერ კიდევ 2013 წელს, ბაზის გაყიდვის შემდეგ, ოლავსვერნს სხვა ინვესტორებიც გამოუჩნდა. ე. ი. ვილჰელმსენმა ბაზის ნაწილი სხვასაც მიჰყიდა.

მაგრამ ვის? ბაზას მყიდველი სამი წლის განმავლობაში არ ჰყავდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც გარიგება შედგა, აქ მხოლოდ რუსეთის დროშის ქვეშ მცურავ ხომალდებს ხედავენ. ასე რომ, ოლავსვერნი რუსებმა შეიძინეს. რა თქმა უნდა, ნაწილი ვილჰელმსენსაც დარჩა. იგი იჯარით აძლევს რუსეთის ხომალდებს ნავმისადგომებს, რათა არავინ განერვიულდეს არც ნორვეგიაში და არც ნატოში. ეს ფორმალურად ხდება, რადგან, სინამდვილეში, რუსული ხომალდები „საკუთარ სახლში“ შედიან.

სინამდვილეში რისთვისაა საჭირო ეს ბაზა, ამაზე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება, მაგრამ ის, რომ რუსეთმა ასე ადვილად ჩაიგდო ხელში სავარაუდო მოწინააღმდეგის სუპერსაიდუმლო სამხედრო ობიექტი, მრავლის მთქმელია. თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, რუსეთმა ჰენტაგონი და ბრიუსელის ნატოს შტაბ-ბინაც შეიძინოს, ან იჯარით აიღოს... ნატოს გენერლები კი ამის შესახებ ყველაზე ბოლოს შეიტყობენ...

რუსი ზღვის მგლები ნატოს „ბუდეში“

(რუსი სამხედრო ექსპერტის ვიქტორ ბარინეცის მოსაზრება)

„რუსულ-ნორვეგიულ გარიგებას ობივატელის თვალით თუ შევხედავთ, ყველაფერი სენსაციურად გამოიყურება: ნატოს უძველესი წევრი მოსკოვზე „გაიყიდა“! უცნაური კი ის არის, რომ ოლავსვერნის ყოფილ საიდუმლო სამხედრო-საზღვაო ბაზაზე რუსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები უკვე რამდენიმე წელია, იმყოფებიან, ნორვეგიის მაღალ ეშელონებში კი ხმაური მხოლოდ ახლაღა ატყდა. როგორც აღმოჩნდა, ყველაფერს თავისი ახსნა აქვს: ნატოს ამჟამინდელი ხელმძღვანელი იენს სტოლტენბერგი მოითხოვს, რომ ოსლომ ხელგაშლილობა გამოიჩინოს და ნატოს წევრობისთვის მისსავე ხაზინაში მთლიანი შიდა პროდუქტის 2,2% გადარიცხოს. მთლიანად რომ არ გაჩანაგებულიყო კრიზისის გამო ისედაც გაღატაკებული ნორვეგიის

24 ბ.

რომელ სინდის-ნამუსზე გველაპარაკება ჭიაბერაშვილი, რომელმაც ქართლის დედა, ჩვენი ქვეყნის სიმბოლო ლაფში ამოსვარა?!

„ნაცმოძრაობის“ სექტის წევრები იმის ნაცვლად, ჩადენილ ცოდვებს ინანიებდნენ, აქეთ შეტევაზე გადმოდიან. თურმე, ნუ იტყვით და, მათი ზეობის დროს ქვეყანა აყვავებული იყო, უბატონოდ ხმას არავინ არავის სცემდა, განსაკუთრებით სამართალდამცველები, ხალხი მასობრივად დასაქმებული ჰყავდათ, პენსიონერები ხომ, საერთოდ, სრულიად უზრუნველად ცხოვრობდნენ, სოფლის მეურნეობა და ეკონომიკა აყვავებული ჰქონდათ...

დიახ, ეს სექტანტი ნაცების გამონათქვამებია. საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე შემოგვედავება და იკითხავს, კი, მაგრამ, მაგ ხალხს სინდის-ნამუსი არ აქვთ, შუბლის ძარღვიც გაწყვეტილიო?! და მართლებიც იქნებიან. თუმცა, ჩვენის მხრივ შეგახსენებთ, რომ მათ სინდის-ნამუსი არასოდეს ჰქონიათ, რომც ჰქონოდათ, იმწამსვე გაყიდდნენ (გაიხსენეთ კახა ბენდუქიძის გამონათქვამი). რაც შეეხება შუბლის ძარღვს, არასოდეს ჰქონიათ, რადგან მხრებზე

პლასტმასის, ან, უკეთეს შემთხვევაში, ხის თავები ადგათ.

რომელ სინდის-ნამუსზე უნდა ელაპარაკო არსება (ადამიანს და მით უფრო, კაცს, მას ვერ ვუწოდებთ) ჭია-ჭიაბერაშვილს, რომელმაც ქართლის დედა, ჩვენი ქვეყნის სიმბოლო, რბილად რომ ვთქვათ, ლაფში ამოსვარა. ძაღლური ერთგულების დასამტკიცებლად თუ კარიერისთვის ახლო მეგობარს საკუთარ დაბადების დღეზე მირთმეული საჩუქარი მეორე დღეს ქრთამად ჩაუთვალა და სამსახურიდან იპინტრიშა!

სწორედ ასეთი ამორალური ადამიანი დაასახელეს სექტანტებმა საგარეჯოში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად (თუმცა, საკითხავია, რომელი მათგანი გამოირჩევა მაღალი მორალით). დღეს ეს არსება შავი ფერებით ხატავს ქვეყანაში არსებულ ვიტარებას და ნიანგის ცრემლებს ღვრის უმუშევრობაზე, გაძვირებულ მედიკამენტებზე, უსამართლობაზე და ა.შ.

თქვენ თუ მოკლე მახსოვრობა გაქვთ, სექტანტებო, შეგახსენებთ თქვენსავე დანაპირებ მილიონ სამუშაო ადგილს, ასდოლარიან პენსიებს, მოკლედ, სამოთხეს.

ჩვენ კი გვახსოვს ქუჩაში დახოცილი ხალხი, სასტიკად დარბეული მიტინგები და ტელევიზიები, ციხეების გავსება, სოფლის მეურნეობის განადგურება, ტერიტორიების დაკარგვა... რომელი ერთი გაგახსენოთ?

თბილისში, ფილარმონიასთან სამკუთხედი, რომელიც თქვენი „ჭია-მერიკობის“ დროს აღმოცენდა, დღესაც მძიმე ტვირთად აწევს დედაქალაქს. კახეთის გზატკეცილი ვითომ საშვილიშვილოდ გააკეთეს, მაგრამ იქ ასფალტის საფარი კიდევ რამდენჯერმე დააგეს. ეგ კი არა და, იქ გზის მონაკვეთები დღემდე დანგრეულია. ჭავჭავაძის გამზირზე ასფალტის დასაგებად მუშებიც თურქეთიდან ჩამოიყვანეს ჭიაბერაშვილის მერობის თუ „მერიკობის“ დროს.

საქართველოს მოსახლეობის წინაშე დამნაშავე „ნაცმოძრაობის“ ყველა წევრია — ძველიც და ახალიც. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც „მოქკავშირში“ იყვნენ და თავს „ახალგაზრდა რეფორმატორებს“ უწოდებნენ, იქიდან მოყოლებული, ყველაფერს აკეთებდნენ ქვეყნის საწინააღმდეგოდ, რათა როგორმე მოსულიყვნენ ხელისუფლებაში. ფაქტები, იცოცხლეთ, ბევრია. მართალია, ბოლო პერიოდში რამდენიმე წევრმა დატოვა „ნაცმოძრაობა“, მაგრამ წარსულს რა ვუყოთ? თუნდაც გიორგი ვაშაძის საჯარო რეესტრის ხელმძღვანელობის დროს რამდენი ყალბი პირადობის მოწმობა აქვს გაცემული, ვგონებ, თავადაც არ ახსოვს. ამისთვის პასუხი არავის მოუთხოვია. სამაგიეროდ, ახლა თავი პატიოსან და ქვეყნისთვის მებრძოლ კაცად მოაქვს.

დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლები და მათი სატელიტი პარტიები ახლა ტელევიზიებიდან სიცრუეს და გესლს ანთხევენ, ქვეყანა გვექცევაო, ერთხმად გაიძახიან და გამოსავალს მათი ხელისუფლებაში მოსვლით ხედავენ. სამწუხაროდ, ხელს ჩვენი კოლეგა ჟურნალისტებიც უწყობენ, ყველაფერზე ჭკუას მათ ეკითხებიან, მაგრამ მწვავე კითხვებისგან თავს იკავებენ. გასაგებია, ზოგიერთი მათგანი დიდად არის ვალში რეჟიმის წევრებთან.

საბედნიეროდ, ქართველი ხალხი ოდითგანვე გამოირჩეოდა გონიერებით. ახლაც, რამდენიც უნდა იყაყანონნაცებმა და მათმა სატელიტებმა, მიზანს ვერ მიაღწევენ, რადგანაც ჯერ კიდევ კარგად გვახსოვს მათი „საქმენი საგმირონი“. თუმცა შემოდგომის ბუზებივით ახლაც მწარედ იკბინებიან მოისურვებენ და ქვეყნისთვის ზიანის მიყენებასაც არ ერიდებიან.

გია ბურდული
551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

— უკვე რამდენიმე წელია, დაკარგულია ჩემი ახლობელი. მის ცოლ-შვილს აქვს მემკვიდრეობის მიღების პრობლემა. როგორ მოვიქცეთ?

— უნდა მიმართოთ სასამართლოს პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების თაობაზე. დაგიკონკრეტებთ:

მუხლი 21. პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად

1. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები.

2. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ. მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არა აქვს.

* * *

— როგორ ხდება ვადების გამოთვლა სამოქალაქო სამართალში?

— საინტერესო შეკითხვაა. თემა აქტუალურია, რადგან ბევრმა არ იცის ვადების საკითხი და უშვებს სერიოზულ სამართლებრივ შეცდომებს. ეს რომ არ მოხდეს, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ქვემოთ მითითებულს:

მუხლი 122. ვადის დასაწყისის აღმნიშვნელი დრო

თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო.

მუხლი 123. ვადის დამთავრება

1. დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.

2. ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით - წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, - მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს.

3. თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას.

მუხლი 124. ცნებები

1. ნახევარი წელი ნიშნავს ექვსთვიან ვადას,კვარტალი - სამთვიან ვადას, რომელიც აითვლება წლის დასაწყისიდან, ხოლო ნახევარი თვე - თხუთმეტდღიან ვადას.

2. თუ ვადა შედგება ერთი ან რამდენიმე მთლიანი და ნახევარი თვისაგან, ბოლოს უნდა გამოითვალოს თხუთმეტი დღე.

მუხლი 125. ვადის გამოთვლა ვადის გაგრძელებისას

ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან.

მუხლი 126. ვადის გამოთვლა თვეების მიხედვით

1. თუ დრო განსაზღვრულია თვეების ან წლების მიხედვით იმგვარად, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასვლა, მაშინ თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი სამას სამოცდახუთით.

2. თვის დასაწყისად ითვლება თვის პირველი დღე, შუა თვედ - თვის მეთხუთმეტე დღე, ხოლო თვის დასასრულად - თვის ბოლო დღე.

მუხლი 127. გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები თუ მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო ანდა სხვა გამოსასვლელ დღეებს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

* * *

— შეიძლება თუ არა ჩემი 15 წლის ქალიშვილი მშობლების თანხმობით სამოქალაქო წესით დაქორწინდეს ვაჟზე, რომლისგანაც ბავშვს ელოდება?

— არა. ასეთი გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ 16 წლის ასაკიდან, მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით / საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მე-2 ნაწილი/.

დასავლეთი შოკშია: რუსეთმა ნატოს წყალქვეშა ნავების საიდუმლო ბაზა შეიძინა!

22 ბ3.

ხაზინა და აღეკვეთათ ყოფილი პრემიერის მცდელობა, მას ოლავსვერნის ბაზის გაყიდვა გაუხსენეს.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი მიზეზი: ცივი ომიდან მოყოლებული, 2000-იან წლებამდე, ნორვეგიის სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზას ძირითადად ამერიკული წყალქვეშა ნავები იყენებდნენ. ხოლო როდესაც ამ ბოლო წლებში რუსეთმა არქტიკაში დაბრუნების გრანდიოზული პროგრამა გაშალა, პენტაგონი მიხვდა, როგორი შეცდომა დაუშვა, როცა ასეთი მნიშვნელოვანი ობიექტი დატოვა. ნატომ ოსლოს მიანიშნა, რაც შეიძლება მალე გააძევოს ოლავსვერნიდან რუსეთი. ეს პრობლემა ამერიკის ჩაწოდებით გამოჩნდა ნორვეგიის პოლიტიკურ და საინფორმაციო სივრცეში.

მოკლედ, ამერიკელებს სურთ არქტიკასთან ახლოს განლაგებული სამხედრო „ბუდის“ დაბრუნება, რათა რუსეთს აღუდგნენ წინ, მაგრამ რუსი მკვლევარების ოლავსვერნიდან სწრაფად გაძევების შანსი არ არსებობს, რადგან არსებობს მიწისქვეშა ბაზის იჯარით გაცემის გრძელვადიანი ხელშეკრულება და მის ვადამდე დარღვევის შემთხვევაში, ნორვეგიელები იძულებულნი იქნებიან, მოსკოვს პირსაგამტეხლო დიდი თანხა გადაუხადონ. ბაზის იჯარისთვის რუსეთი წელიწადში დაახლოებით 20 მლნ აშშ-ის დოლარს იხდის და აქედან ნაწილი ნორვეგიის ხაზინაში შედის. სხვათა შორის, „აკადემიკოსი ნემჩინოვი“ და „აკადემიკოსი შატსკი“ ბარენცის ზღვაში სამუშაოებს ნორვეგიელი შემკვეთევისთვისაც ასრულებენ. ეს გარიგება ორივე მხარისთვის ხელსაყრელია.

რა თქმა უნდა, არასერიოზული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ზღვებსა და ოკეანეებში გასული რუსი მეცნიერები, რომლებიც უნიკალურ აპარატურას ფლობენ (მათ შორის, ბატისკაფებს), მხოლოდ სეისმურ პრობლემებს იკვლევენ და ნავთობის ან გაზის საბადოებს ეძებენ და ყურადღებას არ აქცევენ მათი ძიების რაიონში მოძრავ წყალქვეშა ნავებს ან ხომალდებს. რა თქმა უნდა, ამგვარი ინფორმაციაც ფიქსირდება – ასე აკეთებენ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი ხომალდები, მათ შორის, ნორვეგიული და ამერიკულიც. მაგრამ ნორვეგიის მთავრობამ არჩევანი უნდა გააკეთოს, რა უფრო მნიშვნელოვანია მათი ქვეყნისთვის – რუსეთის მშვიდობიანი სამეცნიერო-კვლევითი ხომალდები, რომლებიც ნორვეგიის ინტერესების გათვალისწინებითაც მუშაობენ, თუ ამერიკული წყალქვეშა ნავები, რომლებიც წყალქვეშა გამოქვაბულებში იმალებიან და ომის შემთხვევაში, თუ რუსეთის შეიარაღების დონესაც გავითვალისწინებთ, ეს გამოქვაბულები ძალიან ადვილად შეიძლება ნანგრევებად იქცეს.

კიდევ სად მდებარეობს მიწისქვეშა სამხედრო-საზღვაო ბაზები?

რუსეთი

ყირიმში არსებობდა უნიკალური ნაგებობა – ობიექტი 82ГТЫ (6К-825). მიწისქვეშა წყლის არხი მშრალი დოკით, განლაგებული იყო ტავროსის მთაში, ბალაკლავაში. არხის სიგრძე 602 მ. ეტეოდა 7 წყალქვეშა ნავი. კომპლექსში შედიოდა ასევე სარემონტო-ტექნიკური ბაზა ბირთვული იარაღის შენახვა-მომსახურებისთვის. დახურვის შემდეგ, 1993 წელს, კომპლექსის დიდი ნაწილი მაინც დაცული იყო. 2000 წელს ობიექტი უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალებს გადაეცა. 1993-2003 წწ. პერიოდში ყოფილი ბაზა განადგურდა, დემონტირებულია ყველა კონსტრუქცია, რომელიც ფერად ლითონებს შეიცავდა.

შვედეთი

მიწისქვეშა სამხედრო-საზღვაო ბაზა განლაგებული იყო კუნძულ მუსკზე, შვეციაში. გათვლილი იყო წყალქვეშა ნავების და მცირე ზომის წყალსზედა ხომალდებისთვის, რომლებიც ომის პირობებში ბირთვულ იარაღს გამოიყენებდნენ. ბაზის ძირითადი სტრუქტურა 34 გვირაბი-დოკისგან შედგება, რომლის სიგრძე 20 კმ-ზე მეტია და ბალტიის ზღვის აკვატორიას უერთდება. ამჟამად ბაზა დაკონსერვებულია, ნაწილობრივ გამოიყენება, როგორც სამოქალაქო ნავსადგომი და ფლოტის დამხმარე სადგომი.

გერმანია

ბუნკერი „ვალენტაინი“ წყალქვეშა ნავების მსხვილი თავშესაფარია, რომელიც კრიგსმარინში, მდ. ვეზერზე შენდებოდა 1943-45 წლებში. გათვალისწინებული იყო ქარხნებიდან დიზელზე მომუშავე წყალქვეშა ნავების რემონტისთვის, საწვავსაპოხი ნივთიერებების საწყობი, ნაღმებისა და ტორპედოების განყოფილება. ყველაფერი ეს შემოტანილი წყალქვეშა ნავების სექციების ასაწყობად და მშენებარე სუბმარინების საჰაერო თავდასხმებისგან დასაცავად. ბუნკერის სიგრძე 426 მ, სიგანე ყველაზე განიერ ნაწილში 97 მ და სიმაღლე 27 მ-ია. სახურავი მრავალრიცხოვანი რკინა-ბეტონის თაღებისგან აიწყო, რომლებიც ადგილზე მზადდებოდა. 1945 წლის 27 მარტს ბუნკერი სერიოზულად დაზიანდა ბრიტანული ავიაციის დაბომბვის დროს. 2008 წელს გფრ-ის მთავრობამ ბაზა გასაყიდად გამოიტანა. ბუნკერი კერძო ინვესტორების ჯგუფმა შეიძინა, რომლებსაც მისი მუზეუმად და ნაციზმის მსხვერპლთა მემორიალად გადაქცევა სურთ.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com